საკროსვორდო-შემეცნებითი ჟურნალი

# ფანტაზია plus

№ 7 (249) 1 მარტი, 2002 წ

ფასი 40 თეთრი

## ღიას კარს ვარდი შემო ფრინდა....





## ფეხბურთის მოყვარულთა ვიქტორინა

თარაზულად: 1.გურიაში მომხდარი ამბავი... ეგნატე ნინოშვილის თანახმად. 4. სიტყვა, რომელიც ძალზედ თეთრ ფერს გამ- 9. უდაბნოს გადასალახავი საუკეთესო სატრანსპორტო „ერთეული”. 10. ობოლთან დაკავშირებული კონდიტერული ნაწარმი. 13. სახელი, რომლის ხსენება ყველა ლინგვისტურ პრობლემას აგვარებს საქართველოში. 14. ნიშნები ანუ რაები? 16. რა ეპითეტი გვახსენდება ტირიფის ხსენებისას? 17.რამაზ ჩხიკვაძის თეატრალური პერსონაჟი, რომელიც ძალზედ ჰგავს დღევანდელი ნომრის პირველი გვერდის მთავარ გმირს. 20. შრომის პროდუქტი. 21. საეკლესიო რეგიონი. 24. ვოლტერის ნაწარმოები. 25. უკანასკნელი კომუნისტური ბასტიონი. 28. ქალაქი კანადაში. 29. ბანქოს პერსონაჟი, რომელიც ძალიან ჰგავს დღევანდელი ნომრის პირველი გვერდის მთავარგმირს. 31. სამკურნალო მცენარე. 32. მოჩვენებითობა ანუ რა?

შვეულად: 2. ნახტომი ასეთიც არსებობს. 3. გამასპინძლების ყველაზე იაფი საშუალება. 5. სიტყვის გამეორება ფრაზაში. 6. მეფე ლირის ერთ-ერთი ქალიშვილი. 7. ტლანქი და უხეში ანუ? 8. მაშ, როგორი ცოდნაა საჭირო „ფანტაზიის” კროსვორდების შესავსებად? 11. რეალიზებული ცრემლების რეზერვუარი. 12. ორგანიზმში ტემპერატურის ამწევი აგენტების შეყვანა მკურნალობის მიზნით. 15. ლავუაზიეს კანონის შემადგენელი ნაწილი. 18. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო. 19. „აბბას” ერთ-ერთი სოლისტი ქალბატონის სახელი. 22. რა უნდა იცოდეს ფულთან მიმართებაში კაცმა... პარუნ ოსეფას აზრით? 23. საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონული ცენტრი. 26. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წინსართი. 27. ჩვენთან დაბრუნებული რელიგიური დღესასწაული. 30. კრემიანი ნამცხვრის სახესხვაობა.

## შეავსეთ და წაიკითხეთ

- საკროსვორდო ჩემპიონატი ეკვატორს მიუახლოვდა
- ამბავი ერთი სიყვარულისა (ჯონ ლენონი – იოკო ონო)
- შეამოწმეთ თქვენი საკროსვორდო რეიტინგი!
- ვინ იმალება კროსვორდის უკან?
- ექსპერიმენტუ სკანდინავიური კროსვორდები
- განვავრცობთ დაბეჭდილს – აშშ-ს შტატები
- XX საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი
- „ჩვენ ვსწავლობთ ესპანურს“ (მეორე გაკვეთილი)
- „ფანტაზიის“ საკროს დო ენციკლოპედია
- ინგლისური ენის შემსწავლელთათვის – 111-ე სონეტი
- ფერადი იაპონური ნახატი და თავსატეხები
- საკროსვორდო გაკვეთილები ბავშვებისათვის

# 2002 წლის თქვენს ბიბლიოთეკას შემატება

ალექსანდრე ელერდაშვილის

# უნივერსალური საკროსვორდო ენციკლოპედია

პირველი ნაწილი

(ა - გ)

წიგნს დავურთავთ ენციკლოპედიური დატვირთვის მქონე მასალას (ნობელის და ოსკარის პრემიის ლაურეატები, ფრანგი მწერლები, იტალიელი მხატვრები, გაეროს ქვეყნები, ყველა ქვეყნის ფული და ა.შ.), რაც წლების განმავლობაში იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში.....

**დაინტერესებული პირების საყურადღებოდ!**

დიდი სურვილი გვაქვს იმისა,რომ „ფანტაზიის“ საჟურნალო ვარიანტში წარმოგიდგინოთ ის ახალი წიგნები,სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის ნაშრომები,თარგმანები,საგაზეთო პუბლიკაციები თუ სხვა საინტერესო მასალა, რომელსაც სარეალიზაციო ქსელში გასვლამდე სათანადო წარდგინება სჭირდება მკითხველთან.

**P.S.**...ჩვენ შეგნებულად არ ვახსენებთ სიტყვა „რეკლამას“ გასაგები მიზეზებისა გამო!

.- როგორც იქნა ავისრულეთ დიდი ხნის ოცნება და „ფანტაზიის” სახელით გამოვეცით ჟურნალი, რაც გარკვეულ სამომავლო იმედებს გვისახავს.

- გვსურს განვმარტოთ, თუ რა პერიოდულობითა და ფორმით ვაპირებთ მუშაობის გაგრძელებას:

„ფანტაზია” ჟურნალის სახით და გვერდების გაზრდილი რაოდენობით ჯერჯერობით გამოვა თვეში ერთხელ, რასაც შენარჩუნებული ექნება გაზეთის რიგითი ნომერი, რაც იმის ნიშნად გვსურს ჩავთვალოთ, რომ დროთა განმავლობაში საჟურნალო გამოცემის პერიოდულობა ყოველკვირეული გახდება და ჩაენაცვლება იმ გაზეთს, რასაც თქვენ უკვე ექვსი წელია იცნობთ.

- ჯერჯერობით არ გვსურს ფასის გაზრდა და ვთვლით, რომ ეს ჩვენი საგაზაფხულო საჩუქარია ჩვენი მკითხველებისადმი და აქვე ვთხოვთ ჩვენს ერთგულ გულშემატკივრებს - თუ გექნებათ სურვილი და საშუალება, დამატებით შეიძინეთ ჩვენი ახალი გამოცემის თითო ეკზემპლარი და საჩუქრად მიართვით თქვენთვის საყვარელ და სასურველ ადამიანებს და განსაკუთრებით მათ, ვისაც „ფანტაზიის” შესახებ არაფერი სმენია...

- ბოდიშს მოგახსენებთ იმის გამო, რომ ჩვენს თავს ასეთი არაკორექტული რჩევა-განცხადების უფლება მივეცით, მაგრამ ვიცით, რომ თქვენც ხართ დაინტერესებული ჩვენი გამოცემების სასიკეთო მომავლით და ამიტომაც მოგმართეთ ასე.

**„ფანტაზიის“ მორიგი ნომერი 8 მარტს გამოვა ჩვეული საგაზეთო სახით**

# ჟურნალ «ფანტაზიის» პირველი საცდელი ნომრის შინაარსი


- **საკროსვორდო რეიტინგი** — *შეეცადეთ დაადგინოთ თქვენი საკროსვორდო მომზადების დონე* — 3
- **ინგლისური და ესპანური ენების შემსწავლელთათვის** — *შექსპირის 111-ე სონეტი თარგმანითურთ და ესპანური ენის მეორე გაკვეთილი* — 4
- **„მალულა-კორპორეიშენი“** — *და აფორიზმების ანთოლოგია* — 5
- **სუპერკროსვორდი** — *იაპონური ნახატითურთ* — 6-7
- **საფეხბურთო ვიქტორინა** — *მიძღვნილი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატისადმი* — 8-9
- **უბრალოდ კროსვორდები** — *ვახო ელერდაშვილის და დავით ჭილიტაშვილის რეპერტუარიდან* — 10-11
- **ექსპერიმენტული სკანდინავიური კროსვორდები** — *გიორგი ვეკუას ნააზრევიდან* — 12-13
- **საკროსვორდო ჩემპიონატის მორიგი ტური** — *ანუ კროსვორდზეც ანგელოზები სხედან...* — 14-15
- **გავიცნოთ ერთმანეთი** — *ელეონორა ფურცელაძე* — 16
- **საბავშვო კროსვორდები** — *შალვა და თეონა ქართველიშვილების და მათი მსგავსი ანგელოზებისათვის* — 17
- **XX საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი** — *გოლდა მეიერი, ჰენრი მილერი, ჟოან მირო, ანრი მატისი და სხვები* — 18
- **იტალიური კროსვორდი** — *მარტინა ჰინგისი ახალ ამპლუაში* — 19
- **ეს უცნაური ესპანელები** — *ანუ El padre de Rosa habla con Enrique* — 20
- **აშშ-ს შტატები - აიდაჰო** — *განვავრცობთ გასული წლების პუბლიკაციას* — 21
- **ამბავი ერთი სიყვარულისა** — *ჯონ ლენონი და იოკო ონო* — 22-23
- **საკროსვორდო ენციკლოპედია** — *ასო გ - 819 სიტყვა* — 24
- **2001 წლის ნობელის პრემიის ლაურეატები** — *იბეჭდება ბატონი ნუკრი მაისურაძის მითითებით* — 25
- **სხვადასხვა:** *იუმორი, ანონსი, თავსატეხი, იაპონური ნახატი, და დღევანდელი ნომრის ზეამოცანა* **- მოეფერეთ მეგობრებს!** *რომლის იდეა ნასესხებია ქალაქ კასპის დიდებული თამადის, ბატონი ავთანდილის შემოქმედებიდან.* — 26


# დაადგინეთ თქვენი საკროსვორდო რეიტინგი



| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | 21 | |
| 2 | | 22 | |
| 3 | | 23 | |
| 4 | | 24 | |
| 5 | | 25 | |
| 6 | | 26 | |
| 7 | | 27 | |
| 8 | | 28 | |
| 9 | | 29 | |
| 10 | | 30 | |
| 11 | | 31 | |
| 12 | | 32 | |
| 13 | | 33 | |
| 14 | | 34 | |
| 15 | | 35 | |
| 16 | | 36 | |
| 17 | | 37 | |
| 18 | | 38 | |
| 19 | | 39 | |
| 20 | | 40 | |

1. ინდოეთის შტატიც და „პა-სეანსის“ ანეკდოტების გმირთა სამოსიც (**6**). 2. მაგალითი ისტორიიდან, აღებული რაიმეს დასამტკიცებლად, შესადარებლად (**9**). 3. მმართველი ორგანოც და საწერი მაგიდაც (**6**). 4. ჰოლანდიური ავიაკომპანიის აბრევიატურა (**10**). 5. რკალის წერტილების შემაერთებელი წირიც და ზოგი ორგანიზმის ზურგის სიმიც (**5**). 6. **იხილეთ ფოტო** №1 და გაიხსენეთ მისი შემოქმედების ყველაზე „ახალგაზრდა“ და „ვნებიანი“ პერსონაჟი (**7**). 7. კრიმინალური ელემენტის სახესხვაობა (**1**). 8. რა სიტყვა აერთიანებს იტალიის ერთ-ერთ ქალაქს და მემორიალური ნაგებობების ცეცხლს? (**4**). 9. ეს სახელი კი აჭარაში მდებარე უღელტეხილს და უპოპულარესი ქართული ფილმის პერსონაჟს აერთიანებს (**3**). 10. ერთ-ერთი სახარების ავტორი (**4**). 11. გემების დიდი შენაერთი (**5**). 12. ქართული პარლამენტის „ხელჯოხიანი“ მუშაკი (**7**). 13. ახლა კი ამერიკული კომპიუტერული გიგანტის აბრევიატურა გაიხსენეთ (თუ გსმენიათ, რა თქმა უნდა ასეთი) (**9**). 14. ტბა ჩრდილოეთ ირანში (**6**). 15. ტროპიკული კულტურა, იგივე მანილის ქერელი, რომლისგანაც მზადდება თოკები, ბაგირები და ა.შ. (**8**). 15. რუსული საესტრადო ჯგუფი, რომლის ლიდერია ვალერი სიუტკინი (**8**). 16. ძვირფასი შუშა (**1**). 18. მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის „დაგვიანებული“ პერსონაჟი (**6**). 19. ცოტა ხნის წინ ქართულ სცენაზე დადგმული დოსტოევსკის „მარადი (...)“ (**7**). 20. რუსეთის უბედურება წინათ (და ალბათ ახლაც) იყო სულელები და (......) (**6**). 21. მაყურებელთა შეძახილი კორიდაზე, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ყოჩაღ“ (**5**). 22. დიდგვაროვანთა ხროვა (ესპანურ) სამეფო კარზე (**10**). 23. სიტყვა, რომლითაც საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი ხალხის წარმომადგენელს მოიხსენიებდნენ ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე (**3**). 24. სამხედრო ხელოვნების ნაწილი (**2**). 25. ანა კალანდაძის მშვენიერ პატარა ლექსში მოხსენიებული საქართველოს ისტორიული მხარე (**1**). 26. კომედია ადრიანო ჩელენტანოს და ენტონი ქუინის მონაწილეობით (**4**). 27. სიტყვა „მსუბუქის“ სინონიმი (**1**). 28. მეჩნიკოვის ბაქტერიებით მიღებული „მაწონი“, იგივე ლაქტობაცილინი (**9**). 29. ტიან-შანი ანუ, ცისფერი კი არა, არამედ (როგორი) მთები? (**7**). 30. ქედი საქართველოსა და თურქეთის დამაკავშირებელ რეგიონში (**5**). 31. ქვეყანა ოკეანეთში, ე.წ. „ზღვაოსანთა კუნძულები“ (**7**). 32. იმ კუბოების მასალა, რომლითაც საბჭოთა მეომრების ცხედრებს მოასვენებდნენ ავღანეთიდან (**5**). 33. დავრჩეთ ავღანეთში (ჩვენი მტერი დარჩეს იქ!): რა შეიძლება აღარ იყოს ქალების სამოსის აუცილებელი ნაწილი ამ ქვეყანაში, თუკი მისი „ამერიკანიზაცია“ გაგრძელდა? (**3**). 34. (თუნდაც) ნიკოლოზ ვავილოვი საბჭოთა ხალხისთვის „კომპეტენტური ორგანოების“ აზრით (**3**). 35. ჩარლზ დარვინის გემი (**8**). 36. ერთგვარი ნახტომი კლასიკურ ბალეტში, ზოგადად - ცეკვაში (**7**). 37. შეიარაღების რომელი სახესხვაობა მონათლა სტალინმა „**Бог**“-ად (**2**). 38. საკმაოდ დიდი ზომის ანტილოპი (**5**). 39. **იხილეთ ფოტო** №2 და თუ ამ კაცის სახელს გაიხსენებთ, შეძლებთ ერთგვარი ინტელექტუალური გასართობის სახელწოდების გახსენებასაც (**4**). 40. **იხილეთ ფოტო** №3 და ამ პროვნების სამშობლო ქვეყნის მეორე, უფრო პოეტური საელი გაიხსენეთ (**6**).


1


2


3

| | |
|---|---|
| 01-40 | - დღეს გაიცანით „ფანტაზია?“ |
| 41-80 | - ალბათ, ხშირად არ სწყალობთ ჩვენს გაზეთს.. |
| 81-120 | - კარგია, მაგრამ მეტი შეგიძლიათ. |
| 121-160 | - ყოჩაღ! მომწონს თქვენი აზარტი! |
| 161-200 | - შესანიშნავია! |
| 201-214 | - ბრავო მაესტრო! |
| 215 | - ჰო, კარგი, გვჯერა, რომ პასუხები არ გინახავთ! |

**კროს-რეიტინგის პასუხები იხილეთ 24-ე გვერდზე**

*ინგლისური ენის შემსწავლელთათვის*



## უილიამ შექსპირი
## სონეტები

...განვაგრძობთ შექსპირის სონეტების ბეჭდვას და იმედი გვაქვს, რომ ეს თქვენს ყურადღებას იმსახურებს. შემდგომ შევეცდებით კომენტარებიც დავურთოთ.

**111**
**O, for my sake do you with Fortune chide,**
**The guilty goddess of my harmful deeds,**
**That did not better for my life provide**
**Than public means which public manners breeds.**
**Thence comes it that my name receives a brand,**
**And almost thence my nature is subdued**
**To what it works in, like the dyer's hand:**
**Pity me then and wish I were renew'd;**
**Whilst, like a willing patient, I will drink**
**Potions of eisel 'gainst my strong infection**
**No bitterness that I will bitter think,**
**Nor double penance, to correct correction.**

**Pity me then, dear friend, and I assure ye**
**Even that your pity is enough to cure me.**

**МАРШАК**
**О, как ты прав, судьбу мою браня,**
**Виновницу дурных моих деяний,**
**Богиню, осудившую меня**
**Зависеть от публичных подаяний.**
**Красильщик скрыть не может ремесло.**
**Так на меня проклятое занятье**
**Печатью несмываемой легло.**
**О, помоги мне смыть мое проклятье!**
**Согласен я без ропота глотать**
**Лекарственные горькие коренья,**
**Не буду горечь горькою считать,**
**Считать неправой меру исправленья.**
**Но жалостью своей, о милый друг,**
**Ты лучше всех излечишь мой недуг!**

**ФИНКЕЛЬ**
**О за меня фортуну разбрани,**
**Она виною всех моих страданий.**
**Так ею исковерканы все дни,**
**Что я завишу от людских деяний.**
**Вот почему судьба моя жалка,**
**И ремесла отмечен я печатью,**
**Как краскою красильщика рука.**
**О сделай так, чтоб чистым стал опять я!**
**Из трав любых готов я пить отвар,**
**Приму и желчь и уксус терпеливо,**
**Готов снести тягчайшую из кар**
**И не считать ее несправедливой.**
**Лишь пожалей меня, мой милый друг,**
**И жалостью излечишь мой недуг.**

შეუბრალებელ უდროობად ქცევა დროისა
ჩემს ბედს მოჰკითხე!... მე მის ცოდვას რას მემართლები?!
მისგან დევნილმა მე შენდობა ვპოვე ბრბოისა
და მოვიარე წუთისოფლის ბნელი ხლართები.

და რადგან ვითმენ ამდენ სირცხვილს, თავზე დატეხილს,
რადგან, ვით მღებავს, მეც შემომრჩა ცოდვა ლაქებად...
მიტომ გავედრებ ჩემს სიცოცხლეს სახელგატეხილს,
რომ ბედისწერა მომიქციო ნანატრ განგებად!

რომ შემიბრალო! - თუნდ გესლიანს მაღირსო წამალს,
რომ განმიკურნო უიღბლობის სენი მზაკვარი,
რომ ჩემთა ფიქრთა უნაპიროდ გადაშლილ ტრამალს
კვლავაც დააჩნდეს ღვთაებრივი შენი გზა-კვალი!

გთხოვ, მაპატიო... განმაშორო ძველი ცდუნება
და ეს იქნება ჩემთვის შვება და განკურნება.

**თარგმნა ალ. ელერდაშვილმა**

# ESTUDIO ESPAÑOL

*ესპანური ენის შემსწავლელთათვის*

# მეორე გაკვეთილი (1.03.2002 წ.)

## ფონეტიკა

**თანხმოვნები** [d, đ, r, r̄, k, θ, č]

- თანხმოვანი [**d**] აღინიშნება ასო **D, d**-თი და წარმოითქმის როგორც ქართული **დ** სიტყვის თავში პაუზის შემდეგ, ასევე **N** და **L** ასოების შემდეგ სიტყვის შუაში - data, duna, balda, donde

- თანხმოვანი [**đ**] აღInიშნება ასო **D, d**-თი და წარმოითქმის დაახლოებით როგორც ქართული **თ**, ყველა სხვა შემთხვევაში ზემოთქმულისაგან განსხვავებით, ასევე არტიკლის შემდეგაც - dado, dedo, duda, adelfa, una dama, edad, identidad. (სიტყვის ბოლოში ეს ბგერა პრაქტიკულად არ ისმის).

- თანხმოვანი [**r**] აღინიშნება ასო **R, r**-თი და შედარებით რბილად წარმოითქმის, ვიდრე ქართული **რ**. ეს ბგერა არასოდეს გვხვდება არც სიტყვის თავში და არც **N, L** და **S** ასოების შემდეგ - para, puro, aro, ira, Alberto, mar.

- თანხმოვანი [**r̄**] აღინიშნება ასოებით **Rr, rr**. ეს ბგერა წარმოითქმის ჩვეულებრივი რ-ს მსგავსად, ოღონდ მისი წარმოთქმისას ენის წვერი რამოდენიმეჯერ უნდა შეეხოს ალვეოლებს. ეს თანხმოვანი სიტყვის თავში და **N, L,S** ასოების შემდეგ იწერება ერთი **r**-თი, სხვა შემთხვევებში კი ორი **rr**-ია საჭირო: ramo, risa, rosa, sonrisa, alrededor, Israel, perro, parra.

- თანხმოვანი [**k**] აღინიშნება სამი ასოთი:

1) **C, c** - **a,o,u** ხმოვნების და **l,r,t** თანხმოვნების წინ.
casa, cosa, cuna, coma, cumbre, cresta, clave, clima, crisis, acto.

2) **Q, q** - **e,i** ხმოვნების წინ (que, qui შემთხვევებში u არ იკითხება).
queso (კესო), quinto (კინტო), paquete (პაკეტე), quede (კედე)

3) **K, k** - მხოლოდ არაესპანური წარმოშობის სახელებსა და სიტყვებში.
kopek, kilo, kefir

- თანხმოვანი [θ] აღინიშნება ასოებით **C,c** და **Z,z**. ამგვარი ბგერა ქართულ ენაში არ არის. ის წარმოითქმის ასე: ენის წვერი მოთავსებულია კბილებს შუა და პირი ოდნავ ღიაა. ჰაერი ენასა და ზედა კბილებს შორის გადის (დაახლ. ინგლისური ბგერა სიტყვაში these). ეს ბგერა აღინიშნება ასო **C**-თი **e,i** ხმოვნების წინ (cine, cesta, cinta, cemento) და **z**-ით **a,o,u** ხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოში (zumo, azul, zorro, taza, zapato, pez, luz).

- თანხმოვანი [**č**] აღინიშნება ასოებით **Ch,ch** და წარმოითქმის, როგორც ქართული **ჩ**.
chico, choza, pecho, chocolate, muchacho, mucho, rancho.

## გრამატიკა

### 1.ზედსართავი სახელი. ზედსართავი სახელის სქესი

- ზედართავსაც, არსებითი სახელის მსგავსად, აქვს ორი სქესი: მამრობითი და მდედრობითი. მამრობითი ზედსართავების უმრავლესობა მთავრდება **o**-თი, მდედრობითის კი **a**-თი.

- ესპანურ ენაში ზედსართავი სახელი ქართულისაგან განსხვავებით, როგორც წესი, უკან მოსდევს არსებით სახელს:

un chico alto (მაღალი ბიჭი). una chica alta (მაღალი გოგონა).

- თანხმოვნებზე და **e**-ზე დაბოლოებულ ზედსართავი სახელებს აქვთ საერთო ფორმა როგორც მდედრობითი ასევე მამრობითი სქესისათვის.

- un libro imteresante - საინტერესო წიგნი.
una revista imteresante - საინტერესო ჟურნალი.
- un lapiz verde - მწვანე ფანქარი.
una lampa verde - მწვანე კალამი.

დღევანდელი გაკვეთილის ტექსტი და ლექსიკონი იხილეთ ესპანეთისადმი მიძღვნილ 22-ე გვერდზე

### 2.მრავლობითი რიცხვი

- მხოლობითში ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს მრავლობითის წარმოებისას ემატებათ მხოლოდ **-s**, (blanco - blancos, lampara - lamparas, libro - libros), თანხმოვანზე დაბოლოებულებს კი **-es** (papel - papeles, azul - azules, pared - paredes).

### 3.განსაზღვრებითი არტიკლი

- განსაზღვრებითი არტიკლი **el** (მამრ.) **- la** (მდედრ.) და გამოიყენება იმ სახელებისათვის, რაც უკვე ცნობილია მოსაუბრისათვის ან ამქვეყნად ერთადერთია.

Andres compra una revista - ანდრომ იყიდა (*რაღაც*) ჟურნალი. Andres lee la revista - ანდრო კითხულობს (*სწორედ იმ*) ჟურნალს.

El Sol sale temprano - მზე (*...რაც ერთადერთია ამქვეყნად*) ადრე ამოდის.

**წინდებულები en, de, con**

- **en** უდრის ქართულ თანდებულ **-ში**-ს
Andres lee en la sala - ანდრო დარბაზში კითხულობს.

- **de** ორი მნიშვნელობით იხმარება:
1) ქართული ენის ნათესაობითი ბრუნვის კონსტრუქციების მსგავსად
La revista de Nata - ნატას ჟურნალი. Los lapices de Omar - ომარის ფანქრები.
2) უდრის ქართულ თანდებულ **-დან**-ს
Nina sale de casa - ნინო სახლიდან გამოდის.
el tren de Tbilisi - მატარებელი თბილისდან (ან თბილისის მატარებელი).

- **con** უდრის ქართულ თანდებულ **თან**-ს ან შეესაბამება მოქმედებითი ბრუნვის კონსტრუქციებს: Pablo habla con Andre - პაბლო ლაპარაკობს ანდროსთან. Elena escribe con lapiz - ელენე წერს ფანქრით.

### 4. კითხვითი სიტყვის შემცველი კითხვითი წინადადება.

ასეთ წინადადებებში კითხვა დაესმის რომელიმე კონკრეტულ წევრს: ქვემდებარეს, შემასმენელს, დამატებას, გარემოებას ან განსაზღვრებას:

¿***Quien*** lee en la sala? - ვინ კითხულობს დარბაზში? (En la sale lee Elena)
¿***Que*** hace Eka? - რას აკეთებს ეკა? (Eka escribe una frase - ეკა წერს ფრაზას)
¿***Que*** lee Pablo? - რას კითხულობს პაბლო? (Pablo lee una revista)
¿***Que*** revista lee Pablo? - რომელ ჟურნალს კითხულობს პაბლო? (Pablo lee una revista interesante - პაბლო კითხულობს საინტერესო ჟურნალს?).

**თარაზულად:**

9. ცნობილი რუსი პაროდისტი ქალი, კლარა.... 10. რა არის გენადი ხაზანოვისთვის (...თუნდაც ევგენი პეტროსიანისათვის) იუმორი? 11. ფაშისტური გერმანიის დიდი სახელმწიფო მოხელე, საგარეო საქმეთა მინისტრი. 12. კრასნოდარის მხარის ავტონომიური წარმონაქმნი. 13. მითოლოგიური თხა, რომელმაც თავად ზევსი გამოკვება. 15. დესპოტიზმი ანუ რა? 18. შიდს-ის სომხური წამალი. 21. არაბული სამყაროს პირველი პირი შუა საუკუნეებში. 23. ლაპტევების ზღვის ყურე. 25. ბანგლადეშის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული რეგიონი. 26. შუა საუკუნეების იტალიელი მეცნიერი, რომელმაც პირველმა შეისწავლა ინფექციური დაავადებები. 28. რუსეთის ციმბირული ნაწილის მდინარე. 29. მეორე მსოფლიო ომის დროინდელი რუსი მხედართმთავარი. 30. XI-XV საუკუნეებში ესპანეთში არსებული ისტორიული სახელმწიფო. 32. „მანონ ლესკოს“ ავტორი. 33. ბატონი ბუბა კიკაბიძის ბენჯამენი. 35. ერთ-ერთი როლის შემსრულებელი იტალიურ ფილმში „ოპერაცია წმინდა იანუარიუსი“.

**შვეულად:**

1. იაპონური ვიდეო-აუდიო ფირმა. 2. როგორ ცვლილებებს გულისხმობს ყოველგვარი ფორმის გატარება? 3. თანამედროვე ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსახიობი მამაკაცი. 4. წყნარი ოკეანის ე.წ. „ზღვაოსანთა კუნძულები“. 5. დროის მონაკვეთი, რასაც სულმოუთქმელად ველით ყველა. 6. 50-იანი წლების პოლონური წარმოშობის ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი. 7. პოლიციის უფროსი ამერიკაში.

8. მაშ, ვინ იმალება კროსვორდის უკან? (სახელი და გვარი).

14. ალექსანდრე დიუმა-მამის ერთ-ერთი დედოფალი. 16. ქალაქი რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში. 17. ადგილი, სადაც 1380 წელს მონღოლებმა რუსები გაჟლიტეს. 19. ცნობილი რუსი პაროდისტი მამაკაცი... ციმბირიდან. 20. მოსკოვის მცირე თეატრის ძველი მსახიობი ქალბატონი. 22. ლუგანსკის ქარხნის მიერ წარმოებული ავტომობილი. 24. ფილმ „პირველი მერცხლის“ მთავარი პერსონაჟი. 27. რუსეთის საფეხბურთო კლუბი. 31. სიტყვა „მადა“ - ძველთბილისურად. 34. ინგლისელი მსახიობი ქალბატონი. 36. პისტოლეტის მარკა.




# აფორიზმების ანთოლოგია



ილაპარაკო მუსიკაზე ეს იგივეა, რომ ცეკვით არქიტექტურა გამოსახო.

**სტივ მარტინი**

ერთადერთი დასაშვები კომენტარი მუსიკალური ნაწარმოებისა სხვა მუსიკალური ნაწარმოებია.

**იგორ სტრავინსკი**

მუსიკა ქმნის გრძნობებს, რომელიც ცხოვრებაში არ არსებობს.

**სტანისლავ ვიტკევიჩი**

მე არ ვიცი, მართალია თუ არა ის, რომ ანგელოსები ღმერთისათვის ბახს უკრავენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შინაურ გარემოში მოცარტს ასრულებენ.

**კარლ ბარტი**

თქვენი ოპერა მე მომეწონა და, შესაძლოა, მისთვის მუსიკაც შევთხზა.

**ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი**

თანამედროვე მუსიკა ჰგავს ქალს, რომელიც თავისი გარეგნული სიმახინჯის კომპენსირებას სანსკრიტის ცოდნის გამომჟღავნებით ცდილობს.

**კარლ კრაუსი**

ფორტეპიანო შესანიშნავ ფორმაში იყო, პიანისტს კი აწყობა სჭირდებოდა.

**უცნობი ავტორი**

რა თქვა ბერლიოზმა თავისი მუსიკით? - არაფერი! - მაგრამ რა გამაოგნებლად თქვა ეს!....

**ჯეიმზ ჰიბონზ ჰიუნკერი**

...რაც შეეხება მუსიკას, თქვენ მისთვის ვან გოგის ყური გაგაჩნიათ.

**ბილი უაილდერი**

„რა შეიძლება გაგახსენოთ ჩემმა მუსიკამ?“ - მკითხა ერთხელ ერთმა კომპოზიტორმა.

„ჩემი პირველი ვიზიტი ვენეროლოგთან“ - ვუპასუხე მე“

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

საბენიეროდ, პოპულარული სიმღერები ცოტა ხანსაა პოპულარული.

**იანინა იპოხორსკაია**

ბარიტონი გარდამავალი სტადიაა ტენორისა ადამიანისაკენ.

**უცნობი ავტორი**

უფასოდ მხოლოდ ჩიტები მღერიან.

**ფიოდორ შალიაპინი**

ცუდი სიმღერების შემსრულებლები ყოველთვის პირველნი იწყებენ აპლოდირებას.

**ბინგ კროსბი**

ბევრი მომღერლის ყურება სიამოვნებით შეიძლება, მოსმენა კი არა.

**უცნობი ავტორი**

როკ-მუსიკა ისეთი ტემპით სრულდება, რომ გარკვევას ვერ ასწრებ, თუ რა მელოდიაა ეს და ვისგანაა მოპარული.

**უცნობი ავტორი**

როკი ჟურნალისტიკაა: იმ ყმაწვილებისაგან, ვისაც ლაპარაკი არ შეუძლიათ, ინტერვიუს იღებენ ყმაწვილები, ვისაც წერა არ შეუძლია, რათა წასაკითხი რამ ჰქონდეთ იმ ყმაწვილებს, ვისაც კითხვა არ შეუძლია.

**ფრანკ ზაპა**

რატომ არ შეიძლება გაკეთდეს ისე, რომ პოპულარულ სიმღერების მოსმენა შეეძლოთ მხოლოდ მათ, ვისთვისაც ის პოპულარულია?!

**უცნობი ავტორი**

## გვეკითხებიან – ვუპასუხებთ

ძირითადად ახალ „ფანტაზიელებს“ აინტერესებთ, თუ რა როლს ასრულებენ ჩვენი გაზეთის ზოგ პუბლიკაციაში უფუნქციოდ „შემოჭრილი“ ქალები

...ეს, რა თქმა უნდა, არ არის დიდად საჭირბოროტო საკითხი, მაგრამ ცარიელი ადგილის შესავსებად მაინც გამოდგება და კითხვითვე გიპასუხებთ:

**– რისთვის შექმნა ღმერთმა ქალი?**

(...ადამს მოეწყინა და იმიტომო - ასეა ნათქვამი თქვენთვის კარგად ნაცნობ „პუბლიკაციაში“)



**თარაზულად:** 1. ცნობილი იტალიელი მევიოლინე და კომპოზიტორი. 5. ცნობილი უნგრელი კომპოზიტორი. 8. უმსხვილესი ამერიკული კორპორაცია პორტატიული და სამაგიდო კომპიუტერების მწარმოებელ კორპორაციათა შორის. 14. *იხილეთ ფოტო №4.* 15. შვეიცარიელი მწერლის, მაქს ფრიშის რომანი. 16. 50 დოლარიანზე გამოსახული პრეზიდენტი? 19. სხვისი შრომის ნაყოფის მითვისება. 20. რუსული თეატრის დიდი რეფორმატორი. 22. რა შეუძლია ძაღლს კბენასთან და წკმუტუნთან ერთად? 23. მდინარე ჩრდ. კანადაში. 24. სოფელი სიღნაღის რაიონში. 29. არაბი ფილოსოფოსი, სწავლული-ენციკლოპედისტი, აბუ ნასრ იბნ მუჰამედ... 30. მამაკაცის მთავარი როლის შემსრულებელი 8. კოლელიშვილის ფილმში „გარიგება“. 31. პირენეების უდიდესი მწვერვალი. 35. ზოდიაკალური თანავარსკვლავედი. 36. რა უნდა იცოდე კარგად, იმისთვის რომ უშეცდომოდ ილაპარაკო უცხო ენაზე? 37. მთავარი მილი წყალსადენის ქსელში. 40. დიდი დანიელი მეზღაპრე. 41. ქალაქი რუსეთში მდინარე ვოლგას დელტაში. 42. იგივეა, რაც იხტიბარი. 46. შექსპირის „მეთორმეტე ღამის“ მთ. პერსონაჟი. 47. რუმინეთის ფული. 48. მამაკაცის გარდერობის ნაწილი, რის დანიშნულებაც „ცხვირის დამალვა“ გახლავთ. 49. უსწავლელი და ტლანქი ადამიანი. 53. რა ეწოდება სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების პროცესს? 54. მსუბუქი ავტომობილების მწარმოებელი იაპონური კომპანია, რომელიც აწარმოებს „დაიჰაცუსაც“. 58. ელფების დედოფალი ჯონ როლანდ რუელ ტოლკიენის რომანში „ბეჭდების მბრძანებელი“. 59. მწვანე წყალმცენარე, რომელიც ყველას შეხვედრია სკოლაში, ბოტანიკის კურსის შესწავლისას. 62. პირველი ადამიანი ბიბლიის თანახმად. 63. *იხილეთ ფოტო №1.* 64. „ჩხრეკა“ - ჟარგონზე. 65. აშშ დრამატურგი, ავტორი პიესისა „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?“. 70. ერთი თბილისური ბაღის ნათლია. 71. არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა, რომელსაც ყველა წევრი ესწრება. 72. ყვითელი ფერის მაგარი გამჭვირვალე, ფისოვანი ნივთიერება. 73. კომპანია რომლის დევიზიც გახლავთ - „თქვენ აჭერთ ღილაკს, დანარჩენს ვაკეთებთ ჩვენ“. 77. *იხილეთ ფოტო №6.* 78. დანტემ ჯოჯოხეთის მეცხრე წრეში კაცობრიობის სამი ყველაზე დიდი მოღალატე მოათავსა: იუდა ისკარიოტი, კასიუსი და.... რომელია მესამე? 79. უკმაყოფილების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა. 82. შემქმნელი ოპერებისა „ლოენგრინი“, „პარსიფალი“, „ტრისტანი და იზოლდა“ და ა.შ. 83. მინერალური წყლებისა და ტალახების სამკურნალო თვისებების შემსწავლელი მედიცინის დარგი. 87. ავსტრალიის უდიდესი მდინარე. 88. ძაღლი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა იმოგზაურა კოსმოსში ადამიანამდე. 89. ქალაქი გერმანიაში, ჩრდ. რეინ-ვესტფალიის მიწაზე. 94. ჯეიმზ გემბლის თანამოსაქმენათესავის, უილიამის გვარი. 95. პირამიდა, რომლის ოთხივე წახნაგიც წესიერი სამკუთხედია. 96. ოვანეს თუმანიანის მოთხრობა. 99. ნესტი, სისველე,სინოტივე, ანუ? 100. ნიადაგში ჩასმული ძელი ნაგებობის გასამაგრებლად. 101. ქალაქი რუსეთში, პორტი მდინარე ტურაზე. 102. სარეკლამო-საცნობარო დანიშნულების წარწერა დაწესებულების ოფისის შესასვლელში. 106. ფილმ „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ნეკროპერსონაჟი. 107. იტალიის საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატის მთავარი პრიზი. 108. დედოფლის ან პრინცესას მხლებელი გაუთხოვარი ქალი მეფის კარზე დას. ევროპის ქვეყნებში. 112. ზარბაზანი, რითაც შეიარაღებული იყო იალქნიანი გემები. 113. მეცნიერი, რომელიც არ ატარებს ექსპერიმენტებს და მხოლოდ ზოგადი საკითხებითაა დაკავებული. 117. „ჭრელ მთებად“ წოდებული მთათა სისტემა აზიაში. 118. ოლიმპიური შეჯიბრებების შენადნობი. 119. პატარა ზარი. 123. მილიონი, მილარდი... შემდეგ? 124. უსიამოვნო შემთხვევა. 125. რა შეუქმნა სეკვოიამ ჩეროკის ტომის ინდიელებს? 126. საომარი სცენების მხატვარი. 127. აფრიკის ქვეყანა, რომლის სახელით მთელი აფრიკის კონტინენტი მოიხსენიებოდა წარსულში. 128. ძველი რუსი მოგზაური და ვაჭარი.

**შვეულად:** 1. როგორი იყო ადამიანი მისი განვითარების საწყის სტადიაზე? 2. ირლანდიელი ძმების, მაკრაიტერების მიერ დაფუძნებული გამოცემა, რაც სხვადასხვა რეკორდების ჩამონათვალს წარმოადგენს. 3. გათანაბრება, ერთ დონეზე გადაყვანა, ანუ რა? 4. ბოქსიორის ერთ-ერთი მდგომარეობა კრივის რინგზე. 6. წყალში ხსნადი ფუძის სახელწოდება ქიმიაში. 7. რეჟისორი ფილმისა „მიფრინავენ წეროები“. 9. მანგანუმმჟავას მარილის სახელწოდება ქიმიაში. 10. გეომეტრიული სხეული, რომელიც წარმოიქმნება მართკუთხა სამკუთხედის ბრუნვით მისი ერთ-ერთი კათეტის გარშემო. 11. აფრიკის ქვეყნის, გვინეა-ბისაუს დედაქალაქი. 12. რა ერქვა პუშკინის გადიას? 13. ავსტრიის ფულის ერთეული. 17. ვინ იყო მუსიკალური პროფესიით ანდრეს სეგოვია? 18. ღვთის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანობაში. 21. ესპანელი ფერმწერი, ბაროკოს სტილის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 25. სისხლის სამართლის დანაშაული. 26. *იხილეთ ფოტო№ 2.* 27. ს.ზაქარიაძის კინოპერსონაჟი ფილმში „შეხვედრა წარსულთან“. 28. საფრანგეთის ისტ. ოლქის, ელზასის ცენტრი ქალაქი თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე. 32. „ყველაზე უძველესი პროფესია“ დედამიწაზე. 33. ბელინსჰაუზენისა და ლაზარევის ხომალდი. 34. სხვისი შეცდომაში შეყვანა ანგარების მიზნით. 38. რაიმე დაწესებულების ახსნა-განმარტებითი ცნობა. 39. ცოცხალი არსება, რომელსაც გააჩნია ყველა ის თვისება, რითაც ის არაცოცხალი მატერიისაგან განირჩევა. 43. ქვეყანაში საქონლის იმპორტ-ექსპორტის აკრძალვა შიდა ეკონომიკის განვითარების მიზნით. 44. ყველაზე ცნობილი ლავრენტი ჩვენს ისტორიაში. 45. ნიკარაგუას ეროვნული გმირი, აუგუსტო სესარ.... 50. ფორმულა 1-ის ასპარეზობაში მონაწილე ინგლისური გუნდი, რომელსაც თავის დროზე აირტონ სენა და ალან პროსტი წარმოადგენდნენ. 51. ყველაზე ცნობილი დანიელი პრინცი. 52. ნივთიერება, რომელსაც გამოყოფენ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები. 55. ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე XIX ს მეორე ნახევარში, რომელიც ბენჯამენ დიზრაელის ეცილებოდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტს. 56. ავტორი სათავგადასავლო რომანისა „ორი ოკეანის საიდუმლოება“. 57. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა, რის თეთრი ყვავილებიც ვარსკვლავს წააგავს. 60. გალაკტიონის ლექსი. 61. მეთოთხმეტე ნომერი მენდელეევის ქიმ. ელემენტების პერიოდულ სისტემაში. 66. პოლონური ეროვნული ცეკვა, რომელსაც სახელწოდება ისტ. ოლქმა, მაზოვიამ მისცა. 67. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, რომლის ნაწარმოებებშიც პირველად ვხვდებით თქმულებას ატლანტიდის შესახებ. 68. *იხილეთ ფოტო №3.* 69. ფულადი გადასახადი, რასაც ომში გამარჯვებული მხარე დამარცხებულს აკისრებს საზავო ხელშეკრულების ძალით. 74. პტოლემეუსის უმთავრესი ნაწარმოები. 75. რა ერქვა ძაღლს, აშშ-ს 1994 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლოს? 76. ოიდიპოს მეფის ცოლის ძმა და ანტიგონეს ბიძა ძვ.ბერძნულ მითოლოგიაში. 80. ისტ. ოლქი, ბესარაბია მდებარეობს ორ მდინარეს შორის, ერთი მათგანია დნესტრი... მეორე? 81. მოცულობითი გამოსახულება. 84. *იხილეთ ფოტო №5.* 85. მინ. წყლებით მდიდარი კლიმატური კურორტი კრასნოდარის მხარეში. 86. გაზის ან სითხის შთანთქმა მყარი ნივთიერების ზედაპირის მიერ. 90. 1987 წ დეკემბერში სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დანგრეული ქალაქი. 91. ავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია, რომელიც აწარმოებს ისეთი მარკის ავტომობილებს როგორებიცაა - „პლიმუთი“, „დოჯი“ და ა.შ. 92. ელექტრო გიტარაზე დასაკრავი საშუალება. 93. რა ჰქვია ლაკმეს მამას, ინდოელ ქურუმს, ლეო დელიბის ოპერაში „ლაკმე“?. 97. რა ჰქვია თანამედროვე ინგლისელ მსახიობ მამაკაცს, გრანტს? 98. ავადმყოფობა, რასაც იწვევს ნახშირის მტვრის დაგროვება ფილტვებში. 103. რა იყო XVII ს მოღვაწის, განათლებით იურისტის, პიერ ფერმას უმთავრესი გატაცება? 104. ნივთიერება, რასაც გამოიმუშავებს თირკმელზედა ჯირკვალი. 105. აშშ-ს სამხრეთ შტატების სახელწოდება, რამაც დასახელება მისცა ტრადიციული ჯაზის ერთ-ერთ ნაირსახეობას. 109. რა ჰქვია ბუდარას მეუღლეს ჭაბუა ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“? 110. სააღდგომოდ, კვერცხის შესაღები საშუალება. 111. კოკა-კოლას და **CNN**-ის შტაბ-ბინა ქალაქი. 114. ქალის ფართო პალტო. 115. ღმერთის მიერ მოკლული ბიბლიური პერსონაჟი, რომელმაც უარყო დამორჩილებოდა ლევირატის კანონს და შეერთო მისი ძმის ქვრივი. 116. პატარა ბავშვის საწოლი. 120. რა ერქვა ამერიკელ მხატვარს, პოპ-არტის ერთ-ერთ ყველაზე დიდ წარმომადგენელს, უორჰოლს? 121. ყანწის მსგავსი რქოვანი გამონაზარდი მამლისფეხზე. 122. გამოუვალი მდგომარეობა.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 3 | | | | | | | | 6 | | 5 | | 1 | 2 | 3 | 11 | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | 6 | 3 | 3 | 4 | 3 | 8 | 3 | | | 1 | | 5 | 15 | 5 | 4 | 6 | 4 | | 4 | 12 | | 4 | | | | | | | | |
| | | 1 | | 3 | 3 | 3 | 4 | 3 | 3 | 2 | 10 | 3 | | 1 | 18 | 4 | 4 | 6 | 16 | 7 | 1 | 7 | 1 | 4 | 9 | 4 | 3 | 2 | | | 2 | | | |
| 4 | 5 | 3 | 6 | 7 | 3 | 2 | 7 | 6 | 7 | 4 | 3 | 13 | 23 | 13 | 6 | 3 | 4 | 13 | 1 | 6 | 5 | 15 | 17 | 3 | 7 | 2 | 2 | 3 | 5 | 6 | 3 | 6 | 6 | 5 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 5 |
| | | | | | | 5 |
| | | | | | | 5 |
| | | | | | | 5 |
| | | | | | 3 | 5 |
| | | | | 5 | 2 | 3 |
| | | | | | 6 | 7 |
| | | | 2 | 5 | 2 | 3 |
| | | | | 9 | 3 | 4 |
| | | | | 3 | 6 | 8 |
| | | | 3 | 1 | 3 | 9 |
| | | | | 5 | 8 | 4 |
| | | | | | 11 | 4 |
| | | | | | | 16 |
| | | | | 6 | 1 | 5 |
| | | | | 2 | 3 | 9 |
| | | | 6 | 10 | 3 | 2 |
| | | 2 | 5 | 3 | 10 | 4 |
| | | | 2 | 18 | 5 | 5 |
| | | | 4 | 8 | 16 | 3 |
| 4 | 3 | 5 | 3 | 3 | 6 | 3 |
| | 4 | 4 | 6 | 5 | 3 | 5 |
| | | | | | 22 | 5 |
| | | | | | | 26 |
| | | | | | 12 | 6 |
| | | | | | 4 | 3 |
| | | | | | 3 | 4 |
| | | | | | 2 | 4 |
| | | | | | | 7 |
| | | | | | | 6 |
| | | | | | 4 | 1 |
| | | | | | 2 | 2 |
| | | | | | | 5 |
| | | | | | | 4 |
| | | | | | | 4 |




1


2


3


4


5


6

# 2002 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი კონკურსი-ვიქტორინა (11 ტურად)

## კონკურსის პირობები

კონკურსი ჩატარდება 11 ტურად 1 მარტიდან 18 მაისამდე. კითხვები გამოქვეყნდება მხოლოდ პარასკევის ნომერში. სამშაბათის გამოშვებაში კი იქნება ჩატარებული ტურის შედეგები.

- გამარჯვებულისათვის დაწესებულია ერთი მთავარი პრიზი - პორტატული ფერადი ტელევიზორი.
- წამახალისებელი პრიზებით (ფეხბურთის ბურთები, წიგნები) დაჯილდოვდებიან აგრეთვე მეორე და მესამე ადგილების მფლობელები.
- პასუხები მიიღება გაზეთის გამოსვლის მესამე დღეს, კვირას, საღამოს 18-20 საათებში ტელეფონით (79-53-70).
- ყოველ ტურში გამოქვეყნდება 11-11 კითხვა, რომელთაგან 10 ტური დაეთმობა ზუსტი ინფორმაციის შემცველ და საზრიანობის გამოსამჟღავნებელ კითხვებს, მეთერთმეტე ტურში კი იქნება 2002 წლის ჩემპიონატის პროგნოზებიც.
- დასმულ კითხვებს ამოვიღებთ ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურიდან, აგრეთვე ჩვენს მეხსიერებაში შემორჩენილი საინტერესო ფაქტებიდან.
- ტურნირის მსვლელობისას, შესაძლოა, გარკვეული ცვლილებები შევიტანოთ წესებში.




### პირველი ტური. 1 მარტი

მცირე შესავალი.

რაკიღა ჩვენს ცნობიერებაში მსოფლიო ჩემპიონატები 1966 წლიდან შემოვიდა, როცა საბჭოთა ტელევიზიამ ინგლისიდან დაიწყო მატჩების ტრანსლაცია, ჩვენც ამ ჩემპიონატის პერიპეტიებიდან ვიწყებთ საკონკურსო კითხვების შერჩევას, რადგან სწორედ ამ ხანიდან ვართ მსოფლიო ჩემპიონატების თვითმხილველი და შეგვიძლია კითხვებში ასახული მოვლენების სისწორეზე „თავი დავდოთ".

ერთ ტურში, შესაძლოა, დაისვას კითხვები სხვადასხვა ჩემპიონატებიდან, რაც ჩვენი აზრით, უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე ერთ კონკრეტულ ტურნირში გამოკეტვა.

პირველ ტურში ახალ თაობას, ალბათ, სტაჟიანი გულშემატკივრების მოგონებები გამოადგებათ...

#### კითხვა №1

1966 წლის 20 მარტს მოხდა სკანდალური ამბავი, რამაც მთელი საფეხბურთო სამყარო შეძრა. ვესტმინისტერის სასახლის ცენტრალური დარბაზიდან გაიტაცეს საფეხბურთო სამყაროს „ოქროს ქალღმერთი", რომელიც ათიოდე დღის შემდეგ ვინმე ლევიდ კორბეტის ჭკვიანმა ძაღლმა იპოვა...

**პირველ კითხვაში სწორედ ამ ძაღლის სახელი უნდა გაიხსენოთ.**

#### კითხვა №2

უცხოურ ფეხბურთის მონატრებულმა საბჭოთა პუბლიკამ ამ ფეხბურთელის არსებობა ასეთი პუბლიკაციით შეიტყო:

„იგი ღმერთივით თამაშობს, უბრალოდ, სადად, ლაღად... მისი დაჭერა შეუძლებელია, ქურციკივით სწრაფია და კატასავით მოქნილი. მის ბუცებს თეთრი ძირები აქვს და როცა ზურგში უყურებ მეტოქის კარისკენ ქარივით გაჭრილს, ამ თეთრი ძირების უსწრაფესი მონაცვლეობა გჭრის თვალს..."

**რომელი ფეხბურთელის შესახებ წერდა ასე ჩვენი საყვარელი გაზეთი „ლელო"?**

#### კითხვა №3

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობა ერთ მატჩში:

იაშინი, პონომარიოვი, ვორონ-ინი, ხურცილავა, კორნეევი, დანილოვი, (.........) მეტრეველი, ბანიშევსკი, მალოფეევი, სერებრიანიკოვი...

**ვისი გვარი გამოვტოვეთ?**

#### კითხვა №4

მოგეხსენებათ, თავით თამაში განსაკუთრებული ხელოვნებაა. ჩვენ გვახსოვს ჩვენი დიდებული ზაურ კალოევი, ლონეცელი ვიტალი სტარუხინი, ლონდონელი ჩივერსი და სხვები... იყო კიდევ ერთი მოთამაშე, რომელიც თავის ყველა ნაწილით თამაშობდა და სწორედ მან გაიტანა ის უნიკალური გოლი, რაც ყველას დაამახსოვრდა...

**ვინ იყო ეს მოთამაშე და თავის რა ნაწილით გაიტანა გოლი?**

#### კითხვა №5

ერთხელ ზუგდიდში ყოფნისას ერთი კაცი გავიცანით, რომელსაც ბევრი ქათამი ჰყავდა და ყოველ მათგანს ამა თუ იმ ფეხბურთელის მეტსახელი ჰქონდა... აქ იყო პელე (შავი), გარინჩაც (კოჭლი), ჩარლტონიც (თავმოსელოპილი) და სხვები... იყო კიდევ ერთი ქათამი, რომელსაც ერთი საბჭოელი ფეხბურთელის სახელი ერქვა იმის გამო, რომ ყველაზე სწრაფად დარბოდა... ამ ფეხბურთელს სხვაგვარად კიდევ „ლიანდაგზე დამაგრებული" ერქვა...

**მის გვარს ხომ არ გაიხსენებდით?**

#### კითხვა №6

1962 წლის მსოფლიოს იდეალური ნაკრები ასე გამოიყურება:

კარბახალა, ჯალმა სანტოსი, მალდინი, (.........), შნელინგერი, მასოპუსტი, ზიტო, ვავა, გარინჩა, ტორო, ზაგალო.

**ვისი გვარია გამოტოვებული?**

#### კითხვა №7

მოგეხსენებათ, ძველად მსოფლიო ჩემპიონატებში აკრძალული იყო თამაშის მსვლელობისას მოთამაშის გამოცვლა, თუნდაც დიდი ტრავმა მიეღო მას. ამ ფეხბურთელმაც მიიღო ისეთი ტრავმა ერთ მატჩში, რის გამოც დღევანდელ პირობებში, ალბათ საკაცით გაიტანდნენ მოედნიდან, მან კი „ხეიბარის აღჭურვილობით" განაგრძო მატჩი და, მგონი, ყველაზე უკეთაც ითამაშა...

**ვინ იგულისხმება?**

#### კითხვა №8

ერთხელ მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას ერთი მატჩის დამთავრების შემდეგ ადგილობრივმა სპორტულმა გაზეთმა გამოაქვეყნა თამაშის ანოტაცია შემდეგი სათაურით - „ურუგვაი ნახევარფინალში, (.............) - ციმბირში".

**ვისი გვარი გამოვტოვეთ ჩვენ და რას ერჩოდნენ მას?**

#### კითხვა №9

მოგეხსენებათ, ქართველებს გვიყვარს ხოლმე იმის გააზრება, რომ მავანი ცნობილი ადამიანი ქართული წარმოშობისაა და მისი წინაპრები სადმე მტკვრის ან რიონის პირას დასეირნობდნენ (ოდესღაც!). ასევე გვარწმუნებდნენ ჩვენ მავანნი, რომ ფრანც ბეკენბაუერის წინაპრები ნამდვილი ქართველები იყვნენ და...

**მაინც რა გვარი შეურჩიეს „კაიზერ ფრანცს" ჩვენმა ყოვლისმცოდნე გულშემატკივრებმა?**

#### კითხვა №10

ერთ-ერთი მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას ადგილობრივმა გაზეთმა გამოაქვეყნა ფეხბურთის მოყვარული ქალბატონების მიერ შედგენილი სიმბოლური ნაკრები, სადაც მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა, რა თქმა უნდა, შეიყვანეს არა ყველაზე ძლიერი, არამედ ყველაზე სიმპათიური მამაკაცები. ამ ნაკრებში მოხვდნენ: ბეკენბაუერი, მური, რივერა, ბიშოვეცი, კალდერონი, ჰერსტი და....

**რითაა საინტერესო ეს „ნაკრები" ჩვენთვის?**

#### კითხვა №11

„...ღმერთო შეგცოდე, დღესაც გვხვდებიან ადამიანები, ვისაც ძველი ფეხბურთის მშვენიერება უფრო მიმზიდველი ეჩვენება... ზოგი ჯიუტად იცავს „ძველ ფეხბურთს" და დღევანდელისა არაფერი სწამს. ზოგიც, უბრალოდ, სიტყვა „ძველის", „უწინდელის" რომანტიკულ ბურუსს დაუბრმავებია და დღევანდელ ფეხბურთს ვერ ხედავს. ამასთან დაკავშირებით შემთხვევით ყურმოკრული ერთი დიალოგი მახსენდება:

- გახსოვს, ლიფტში რომ გავიჩხირეთ!...
- ეჰ, ის დრო ჯობდა!

....რატომ?!...

**ეს სიტყვები დიდი ხნის წინ დაიწერა, მაგრამ საოცრად თანამედროვე ელფერი გააჩნია... ეგებ მიხვდეთ, ვინაა ამ ციტატის ავტორი?**

იმედია, ჩვენი კონკურსი თქვენს ინტერესს გამოიწვევს, მაგრამ გთხოვთ - სხვადსხვა პირის შეთხზული სახელებით ნუ დარეკავთ და ნუ შეეცდებით არაკორექტულ თამაშს... ჩვენ სატელეფონო ტურნირების ჩატარების დიდი გამოცდილება გვაქვს და ასეთ შემთხვევებს მალე გამოვავლენთ... ნურც დარეკავს გადადებთ ბოლო წუთებისათვის... გთხოვთ!

# ფეხბურთის ვარსკვლავები, №1

## ჩვენი სპორტული რუბრიკები

ვინც „ფანტაზიას" ადევნებს თვალს, იცის, რომ ბოლო დროს სპორტსაც დავუთმეთ სათანადო ყურადღება და, ჩვენი პრინციპებიდან გამომდინარე,უფრო მისი ისტორია და მარადიული კატეგორიები გვაინტერესებს, ვიდრე მიმდინარე, ადვილად აღსაქმელი და ასევე ადვილად დასავიწყებელი, მოვლენები.

პროფესიონალური კრივის ჩემპიონების შესახებ მალე დავასრულებით წერილების სერიას, ვფიქრობთ აღვადგინოთ -ს ვარსკვლავების შესახებ არსებული რუბრიკა, დღეს კი ახალ ინტრიგას ვუყრით საფუძველს და გვსურს ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელებზე ვისაუბროთ.

ჰენრიკ იოჰან კრუიფი დაიბადა 1947 წლის 25 იანვარს ამსტერდამის შემოგარენში მდებარე პატარა დასახლება ვიდესტრაატში, რაც სტადიონ „აიაქსიდან" ორიოდე კილომეტრშია განლაგებული. წარმომავლობაც საკმაოდ მოკრძალებული აქვს: მამა პატარა საკონდიტრო მაღაზიის მფლობელი იყო, აქვე მუშაობდა დედაც.

პატარა იოჰანი, ანუ ჯოპი, როგორც მას დედა ეძახდა მთელ დროს ქუჩაში ფეხბურთის თამაშს ანდომებდა და იმდენს თამაშობდა, რომ ორ კვირაში ერთხელ ახალი ფეხსაცმელი სჭირდებოდა. ამიტომ სკოლაში სწავლას, რა თქმა უნდა, ყურადღებას ვერ უთმობდა და ამის გამოისობით ხშირად ხვდებოდა მშობლებისა თუ მასწავლებლებისაგან, მაგრამ როცა 10 წლის ასაკში „აიაქსის" ხელმძღვანელობამ იგი 300 ფეხბურთელ ბავშვში საუკეთესოდ სცნო და თავის სკოლაში ჩარიცხა, ყველანაირი საყვედური დავიწყებას მიეცა.



1959 წელს იოჰანს მამა გარდაეცვალა და დედა იძულებული შეიქნა მათი მარჩენალი მაღაზია გაეყიდა; ასე რომ იოჰანს და მის ძმას, ჰენის, ადრეულ ასაკშივე მოუხდათ შრომის დაწყება, რათა თავი ერჩინათ. სწორედ იმხანად „აიაქსის" სტადიონზე ბალახის მომვლელს დამხმარე სჭირდებოდა და იოჰანიც უყოყმანოდ დათანხმდა იქ მუშაობაზე, რადგან სტადიონთან დაკავშრებული ყოველგვარი საქმე მასში აღფრთოვანებას იწვევდა.

ფეხბურთის თამაშსაც, რა თქმა უნდა, განაგრძობდა. მას, მიუხედავად იმისა, რომ ძალზედ გამხდარი და სუსტი აღნაგობა ჰქონდა, მაინც გამუდმებით უფრო დიდი ასაკის ბიჭებთან ათამაშებდნენ, რათა ნამდვილი ფეხბურთის ანბანს დაუფლებოდა და ამგვარმა ექსპერიმენტმა გაამართლა კიდეც, რადგან 16-17 წლის ასაკში უკვე ჰოლანდიის უძლიერსი კლუბის, „აიაქსის" შემადგენლობაში ჩაირიცხა და 1964 წლის 15 ნოემბერს „გრონინგენის" წინააღმდეგ მე-8 ნომრით პირველი მატჩიც გამართა ძირითად შემადგენლობაში.

ასე დაიწყო ის ლეგენდა, რამაც საბოლოოდ მას XX საუკუნის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოუპოვა.

სწორედ იმხანად იწყებოდა ჰოლანდიური ფეხბურთის აღზევებაც, თუმცა ისიც შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ სწორედ იოჰან კრუიფმა განაპირობა ამ ქვეყანაში 70-იანი წლების მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებისა და ე.წ. ტოტალური ფეხბურთის არსებობა... ეს მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ სადავო მაინც არ არის!

* * *

1968 წელს იოჰანმა ცოლად შეირთო დენი კოსტერი, ქალიშვილი ჰოლანდიელი ბიზნესმენისა; ამ ქორწინების შედეგად ქვეყანას მოევლინენ მათი შვილები - ჩენტელი (1970) და სუსილა (1972).

1974 წლის 22 აგვისტოს კრუიფმა მიწვევა მიიღო ესპანეთის „ბარსელონასგან", სადაც მას კატალონიელმა გულშემატკივრებმა ნამდვილი გმირის შესაფერისი შეხვედრა მოუწყეს. მაშინ „ბარსელონა" მძიმე დღეებს განიცდიდა, ბოლოდან მეორე ადგილზე იყო და კრუიფში ისინი ხსნასა და იმედს ხედავდნენ. ჰოლანდიელმა ლეგიონერმაც არ გააწბილა მათი იმედები და პირველსავე მატჩში „გრანადასთან" 2 გოლი გაიტანა და „ბარსელონას" 4-0-ით გამარჯვებაში დაეხმარა. იმ დღიდან კატალონიის კლუბის საქმე აღმასვლით წავიდა და საბოლოოდ მათ ესპანეთის ჩემპიონობაც მოიპოვეს, რაც 1960 წლის შემდეგ პირველად მოხდა. კრუიფი „ბარსას" სიმბოლო გახდა, მას აღმერთებდნენ, მაგრამ ამსათანავე კურიოზებსაც საკმაოდ აწყდებოდა მაშინდელ ესპანეთში არსებული ფრანკოს რეჟიმის გამო, რომელთაგან აღსანიშნავია ასეთი რამ: კრუიფის ვაჟი, ჯორდი, რომელიც 1974 წლის 9 თებერვალს დაიბადა, ჩვეულებრივ სამოქალაქო რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინათ, მაგრამ ეს გაძნელდა ერთი უბრალო მიზეზის გამო - შესაბამისი ჩინოვნიკები დაჟინებით ითხოვდნენ, რომ ბავშვისთვის ხორხე დაერქმაით (ესპანურ ყაიდაზე), მშობლები კი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და, რომ არა კრუიფისადმი გულშემატკივრების დიდი სიყვარული, ამ ფეხბურთელს შეიძლება მიეტოვებინა „ბარსა", მაგრამ ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდა და კეთილგონიერებამ გაიმარჯვა ბიუროკრატიზმზე.

მაგრამ უსიამოვნებანი მაინც გამუდმებით თან სდევდნენ „მფრინავ ჰოლანდიელად" წოდებულ კრუიფს და საბოლოოდ, ესპანეთში 4 წლის თამაშის შემდეგ, ერთი არაკეთილსინდისიერი ბიზნესმენის მცდელობამ საქმე ისე წაიყვანა, რომ კრუიფმა მთელი თავისი ფული ჩადო საქმეში, რაც წინასწარვე იყო განწირული გაკოტრებისათვის... ალბათ, ეს იყო მიზეზი





**კლუბები**:

„აიაქსი" (1964-1973), „ფეიონორდი" (1983-84) - ორივე ჰოლანდია.

„ბარსელონა" (1973-1978), „ლევანტე" (1981) - ორივე ესპანეთი.

„ლოს-ანჯელეს აცტექსი" (1978-1979), „ვაშინგტონ დი პლომატსი" (1980-1981) - ორევე აშშ.

საკლუბო გუნდებში ჩაატარა 516 მატჩი და გაიტანა 292 გოლი.

**ნაკრები**:

ჰოლანდიის ნაკრები (1966-1977), 49 მატჩში გაიტანა 34 გოლი.

**მიღწევები**:

1974 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი.

1976 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი (1971-73 წწ).

ევროპის სუპერთასის მფლობელი - 1972 წ.

საკონტინეტთაშორისო თასის მფლობელი - 1972 წ.

ჰოლანდიის 9-გზის ჩემპიონი(1966-1968, 1970, 1972-1973, 1982-1984)

ესპანეთის ჩემპიონი - 1974

ჰოლანდიის თასისი ექვსგზის მფლობელი (1967, 1970-1972, 1983-1984)

ესპანეთის თასის მფლობელი - 1978

**პირადი პრიზები**:

„ოქროს ბურთის", როგორც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის, მფლობელი (1971, 1973, 1974).

ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელი (1967, 1972)

იმისა, რომ იოჰანმა გადაწყვიტა ბედი ეცადა აშშ-ს საფეხბურთო ლიგაში, სადაც მის ჩასვლამდე უკვე ჰქონდათ ნაცადი ბედი თავად პელეს და ბეკენბაუერს.

ამერიკაში გატარებულმა სამმა წელმა მის საფეხბურთო დიდებას ვერაფერი შემატა, სამაგიეროდ ეკონომიური მდგომარეობა გამოისწორა და 1981 წელს კვლავ დაბრუნდა ევროპაში, და კვლავ ესპანეთს ეწვია, მაგრამ იქაურ „ლევანტეში" საკმაოდ ბევრი პრობლემა იყო, როგორც საფეხბურთო კადრების, ასევე ფინანსური თვალსაზრისით და საბოლოდ კრუიფი სამშობლოში დაბრუნდა, ოღონდ მშობლიური „აიაქსის" ნაცვლად „ფეიენორდში" ამოყო თავი, რომელმაც ორიოდე წლით ადრე თბილისის „დინამოსთან" გამართა ცნობილი ნახევარფინალური მატჩები ევროპის თასების მფლობელთა თასის ტურნირზე.

* * *

30 წელს კარგა ხნის გადაცილებული იოჰან კრუიფი, რა თქმა უნდა, აღარ იყო იმ სიძლიერის ფეხბურთელი, როგორსაც მას 70-იანი წლების მსოფლიო იცნობდა, მაგრამ მან მაინც მოახერხა კრიზისში მყოფ „ფეიენორდს" დახმარებოდა 1983-84 წლებში ამ კლუბმა ჰოლანდიის უმაღლესი ტიტულები დაიმსახურა.

„აიაქსში" ტექნიკური მდივნის მოვალების მცირე ხნის შესრულების შემდეგ იოჰან კრუიფი თავად შეუდგა სამწვრთნელო მოღვაწეობას. იმხანად „ბარსელონა" კვლავ კრიზისის წინაშე აღმოჩნდა და კატალონიის კლუბის მესვეურებს გაახსენდათ კაცი, რომელმაც სახელი და დიდება მოუტანა კლუბს 70-იან წლებში. ეს კაცი იყო იოჰან კრუიფი, რომელიც 1988 წელს ჩავიდა ბარსელონაში და სათავეში ჩაუდგა ამ ქალაქის მთავარ კლუბს.

1991 წელს მავნე ჩვევამ, რასაც თამბაქოს განოზემელი წევა ჰქვია, კრუიფი კატასტროფის წინაშე დააყენა და ძლივს გადაურჩა სიკვდილს, ექიმებმა მას სამუდამოდ აუკრძალეს ფეხბურთთან კავშირი და ზედმეტად ემოციური ცხოვრების წესისი შეცვლა მოსთხოვეს,ა მაგრამ კრუიფი არ დანებდა ავადმყოფობას და კვლავ მწყობრში მყოფ მწვრთნელად დარჩა. მან 80-იანი წლების „ბარსელონა" უმაღლეს ევროპულ გამარჯვებებამდე მიიყვანა.

1997 წლის 27 ნოემბერს საფეხბურთო სამყარო კვლავ მოიცვა საგანგაშო ცნობამ იმის შესახებ, რომ კრუიფი მეორედ მოხვდა საავადმყოფოში გულის უკმარობის გამო, მაგრამ საქმე ქირურგიულ ჩარევამდე არ მივიდა და ამჯერადაც აჯობა დიდმა ფეხბურთელმა საშინელ სენს.

1999 წლის 10 მარტს ბარსელონას „ნოუ კამპის" სტადიონზე გაიმართა საზეიმო მატჩი ე.წ. „ოცნების გუნდის" მონაწილეობით, რომლის შემადგენლობაში ერთხელაც გაიბრწყინა 52 წლის კრუიფის უზადო ოსტატობამ. ეს იყო ერთგვარი მადლობა მადლიერი გულშემატკივრებისა, ვისაც უამრავი სიხარული და აღტაცება მოჰგვარა იოჰან კრუიფმა.



**თარაზულად:**

1. თანამედროვე სახაზო გემის, ლაინერის, წინამორბედი დიდი სწრაფმავალი ჯავშნოსანი გემი. 6. დიდი ქართველი ტენორისა და დიდი ქართველი მსახიობი ქალის საერთო გვარი. 13. სხვადასხვაგვარი ნაწილების მექანიკური შეერთება. 14. საფორტეპიანო პიესის სახესხვაობაც და აღმოსავლური წარმოშობის ორნამენტიც. 16. ჰექტორის მიერ მოკლული აქილევსის მეგობარი „ილიადაში“. 17. „მონეტების მყლაპავი“ ტელეფონი. 20. ელექტრომუსიკალური ინსტრუმენტიც და უწყვეტად მოქმედი გამომთვლელი მანქანაც, რომელიც ხსნის ინტეგრალურ განტოლებებს. 21. ალექსანდრე ყაზბეგისეული პერსონაჟი. 25. ძიუდოისტების საჭიდაო ხალიჩა. 26. ძვირფასბეწვიანი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა. 27. პურეულის სალეწი ადგილი. 30. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 31. ლიანა ასათიანის კინოპერსონაჟი მიხეილ ჭიაურელის ფილმში „გიორგი სააკაძე“. 32. როგორი შეიძლება იყოს სქესი? 35. კაზაკთა სოფელი. 36. ჩეხური წარმოშობის ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი. 40. სამხედრო ფორმის ქურთუკი. 41. კუნძული, სადაც დაიბადა ზევსი ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად. 42. ცურვის სტილი, „ბაყაყურს“ რომ ეძახიან. 46. ევროპის რეგიონი, რომლის წიაღშიც ბალტიის ზღვა მდებარეობს. 47. რაიმეს განვითარების უმაღლესი საფეხური. 50. ქალაქ ტროას მეორე სახელწოდება, რომელმაც „ილიადის“ სახელწოდება შექმნა. 51. მითოლოგიურ-ზღაპრულ-ფანტასტიური არსება, რომელიც სუნთქვითა და შეხედვით კლავდა ყოველივე ცოცხალს... და ეშინოდა სარკის (გასაგებია რატომაც). 52. XX საუმუნეში მოღვაწე გერმანელი კომპოზიტორი, კარლ... შემქმნელი „კარმინა ბურანასი“. 55. უმთავრესი სიტყვა კიბერნეტიკაში. 56. კანადის „ოქროს ციებ-ცხელებით“ განთქმული რეგიონი. 59. კლიოც, ერატოც, კალიოპეც, მელპომენეც... 60. რომის 1960 წლის ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელი ძალოსნობაში, რომელსაც „პლანეტის ყველაზე ძლიერ ადამიანს“ უწოდებდნენ. 61. **Fabrica Italiana Automobili Torino** - ერთი სიტყვით. 65. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში. 66. ერთი ქიმიური ელემენტის გარდაქმნა სხვა ელემენტად. 69. ჯორჯ ბუში, რონალდ რეიგანი, ჯიმი კარტერი, რიჩარდ ნიქსონი... ერთი სიტყვით. 70. ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი. 73. საფრანგეთის ისტორიული რეგიონი საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე. 74. ყვავილიც და ქართული წარმოების სიგარეტიც. 75. დაბა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. 76. რა გვარი იყო შუშანიკი? 77. ერთი რუსი ბოტანიკოსის მოსახელე დიდი ხასხასა ყვავილის მქონე ბალახოვანი დეკორატიული მცენარე.

**შვეულად:**

2. ზამთრის ვაშლის ჯიში. 3. მხედველობის ნაკლოვანება, როდესაც ადამიანი ვერ არჩევს ერთმანეთისაგან ფერებს. 4. ოტომანთა იმპერიის მეორე სახელი. 5. ჭადრაკის ერთი ფიგურის მეორე, არაოფიციალური სახელწოდება. 7. ტანისამოსზე გასაკეთებელი ლითონის სამკაული. 8. მიხაილ ლერმონტოვის „მასკარადის“ მთავარი პერსონაჟი. 9. უცნობად შერაცხული ლათინური ასო მათემატიკაში. 10. ღომში მოხარშული და ჩაზელილი სულგუნი. 11. ჩინური მედიცინის ერთ-ერთი მეთოდი, ნემსებით მკურნალობა, ანუ რა? 12. სულ დღემდე არსებობდა ხუთი კოსმოსური ხომალდი „სპეის შატლი“: ინდევორი, ჩელინჯერი, კოლუმბია, დისკავერი.... მეხუთის სახელი გაიხსენეთ . 15. ავტონომიური ოლქი ესპანეთის დასავლეთით. 18. იგივე ჩიკორი, საბავშვო სათამაშო. 19. XX საუკუნის რუსი მწერალი, ვიქტორ... 22. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება. 23. მოვალე, ანუ ვინ? 24. ონორე დე ბალზაკისეული შვილებისაგან მიტოვებული მამა. 28. სიხშირის ერთეული ფიზიკაში. 29. ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის უდიდესი ტბა. 33. როგორი ეკლესია დომინირებს დიდ ბრიტანეთში? 34. მამაკაცისათვის მამრობის ხელოვნურ-სამედიცინო ჩამორთმევის აქტი. 37. ფილოსოფიური პოზიცია, რომელიც ჭეშმარიტების არსებობის კრიტერიუმებს ეჭვქვეშ აყენებს. 38. ძველი წიგნებისა და საბუთების „მცველი“ ადამიანი. 39. ფრანგი მხატვარი, დადაიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა, ფრანსის... (1879-1953). 43. რა სიტყვა ქმნის ტრიადას ჩვენს ცნობიერებაში „მამულთან“ და „სარწმუნოებასთან“ ერთად? 44. ქალაქ დამასკოში მოსახლე თითოეული ადამიანი. 45. სახლი ქალაქგარეთ. 48. მონოფიზიტის რელიგიური მოწინააღმდეგე ჩვენს ისტორიაში. 49. თარაზულ № 46-ში ნაგულისხმევი რეგიონის მოსახელე ქიმიური ელემენტი. 53 . მთავარი როლის შემსრულებლის სახელი და გვარი ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმში „უკანასკნელი ტანგო პარიზში“. 54. სანოტო ჩანაწერი. 57. მდინარე დასავლეთ საქართველოში. 58. იპოლიტე ხვიჩიას კინოპერსონაჟის პროფესია ფილმში „მხიარული რომანი“. 62. ნიდერლანდელი ფერმწერი და გრაფიკოსი, აბრაჰამ... (1664-1651). 63. ნეკროპოლისებისა და მკვდართა სამეფოს მცველი ტურისთავიანი ღმერთი ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში. 64. კვადრატული ფესვი ექვსასოცდახუთიდან. 67. უახლოესი შთამომავალი. 68. მითოლოგიურად ჰერაკლეს შთამომავალი, ისტორიულად კი შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებთან მცხოვრები ტომის წარმომადგენელი. 71. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე. 72. მაღალი და მხარბეჭიანი, ანუ როგორი?

თარაზულად:

1. XX საუკუნის რუსი მწერალი ქალი, მაია ... 4. „რძისმჟავა“ - ლათინურად. 7. ესტონელი მწერლის, ჰინტის სახელი. 12. სიკვდილის ავადმყოფური შიში. 13. ძველბერძნულ მითოლოგიაში ჰერმესის ვაჟი, ჰერაკლეს მეგობარი. 15. XIX საუკუნის გერმანელი მწერალი, ჰაინრიხ ფონ ... 16. ქალებში სარძევე ჯირკვლების დაავადება. 19. ჰოლივუდელი მსახიობი მამაკაცი, ესტრადის დედოფლის, მადონას ქმარი. 20. იტალიელი ფეხბურთელი, მცველი. 21. კაცობრიობის პირველი კილერი. 25. სახელი ნილსის მეგობარი ბატისა. 26.სიტყვა, რომელიც ვერაფრით ვერ ამოაგდო თავისი გვარიდან ლავრენტი არდაზიანის მოთხრობის პერსონაჟმა. 30. ვნებამოძალებული სულიერი მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება რაიმე ძლიერი შეგრძნებით. 31. XX საუკუნის ურუგვაელი მწერალი, ენრიკე ... 32. ინდოელ ქალთა ტრადიციული სამოსი. 35. ოკეანის ფსკერზე მობინადრე ბრტყელი თევზი. 36. იგივეა, რაც სალამოხანი, ნახევრად სიბნელე. 40. ცეცხლსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილი. 41. როგორი შეიძლება იყოს უგემური და უამური საკვები? 42. ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში. 45. რა არის ეს - **CH4**? 46. ნერვული უჯრედი თავისი სხეულით, დენდრიტებით და აქსონებით. 47. ერთობ საკროსვორდო პერსონაჟი ფილმისა „შეხვედრა წარსულთან“. 50. კაუჩუკის დამუშავებით მიღებული შავი ფერის მასალა. 51. ზოლი ქსოვილის კიდეზე არსებული ზოლი. 55. ადვილი, ანუ როგორი? 56. ძველ საბერძნეთში საღვთო წყარო ჰელაკონზე. 57. მსხვილი, მუქი შრიფტის მოსასხენიებელი სიტყვა პოლიგრაფიაში. 61. ქართული ცეკვის და სიმღერის თანამედროვე ანსამბლი. 62. აზერბაიჯანელი რევოლუციონერი, მეშიდ ... 63. შლიმანის სახელთან დაკავშირებული ქალაქის ერთ-ერთი სახელი. 64. თავს გადახდენილი სასაცილო ამბავი. 65. XIX საუკუნის ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი, სადრედინ (......) .






შვეულად:

1. ეგვიპტური წარმოშობის ამერიკელი ფიზიკოსი, ჯონ ... 2. მორგუნოვის და ვიცინის კოლეგა. 3. პა-სეანსის მუსიკალური ანსამბლი (......) ფაქტორი. 5. ქართული გაზეთი. 6. ჩინეთის მთიანი მხარე. 8. ორგანიზმი, რომელიც ცხოვრობს არა თავისი ევოლუციური წარმოშობის, არამედ სხვა ადგილას. 9. როგორია ახლა კომუნალური თვალსაზრისით ბევრი ლტოლვილი საქართველოში. 10. ხელშეკრულება, საქმიანი შეთანხმება. 11. ქალაქი-პორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. 14. ფინელი ფოლკლორისტი ანტი ამატუს ...... 17. დამრიგებლური შინაარსის მოკლე ნაწარმოები. 18. კეთილთვისებიანი ჯირკვლოვანი სიმსივნე. 22. ტბა საქართველო - აზერბაიჯანის საზღვარზე. 23. ადამიანის ცნობიერებისათვის მისაწვდომი და გასაგები, ანუ როგორი? 24. სიყვარულის აღმნიშვნელი ლათინური ბოლოსართი. 27. სტილისტიკური ფიგურა, როცა სიტყვათა შორის დარღვეულია სწორი გრამატიკული შეთანხმება. 28. ჩაწერეთ შემდეგი სტრიქონების ავტორი გერმანელი პოეტის გვარი, (სახელი კი ჰელმუტი გახლავთ)

საქართველოს ბაღ-ვენახში
ახლა მწიფე ყურძენია,
ბაღ-ვენახში, სადაც სიოს
მზის აკვანი ურწევია,
ჩათაფლული, ჩაშაქრული
ღვინით ქვევრი ავსებულა,
დაშვებულა მზე მიწაზე, ბაღი
გაკაშკაშებულა...

29. ყველაზე ტიტულოვანი ქართველი მოკრივე. 33. ინდოეთის შტატი. 34. ღვინის ძველებური დიდი ჭურჭელი. 37. ათენის არისტოკრატული საგვარეულო. 38. ე.წ. „ვერცხლის“ ქვეყანა. 39. ზედმეტი წონა ანუ რა? 43. ქალაქი-პორტი ჩრდილო-აღმოსავლეთ ალჟირში. 44. კლოუნის ნომერი ცირკში. 48. პუშკინის ყველაზე ცნობილი პერსონაჟი. 49. ცხვირიდან გამონადენის არსებობა. 52. ჰოლივუდური ფილმი ვესლი სნაიპსის მონაწილეობით. 53. კუნთების უეცარი და ხანგრძლივი შეკუმშვა. 54. „ეშმაკნის“ ლიტერატურული „სახლიკაცი“. 58 გერმანელი მწერალი, (......) ფოიხტვანგერი. 59. XX საუკუნის ცნობილი თურქი მწერალი, (......) ნესინი. 60. თანამედროვე კიდევ ერთი ჰოლივუდელი მსახიობი მამაკაცი.

**კროსვორდი შეადგინა დავით ქილიტაშვილმა**

ბომბორა -1 | კოსტრომა -2 | ბატისტა -1 | სიმინდი -1 | ალიგატორი -1

გონდოლა -1 | ნეკრასოვი -1 | ლავგარდანი -2 | საბრალონი -1 | ქიშმიში -1 | ისიდა -1 | პიაფი -1 | ნადიმი -2

აქლემი -1 | ლაგამი -1

მერკატორი -1 / მოსკოვი -1 | სიმენი -2 | პიტკინი -1 | ლხენა -1

სამანი -1 | აპრილი -1

პრაგმატული -2 | ბანდიტი -2 | ქამანდი -1 | ტივტივი -1

ორშა -1 | სანტიმი -2 | ონკანი -1

სამსარა -1 / ფარვანა -1 | ატაშე -1 | ანტონი -2 | არმანი -2 | მიზეზი -2

პანიკა -1 | მარკა -2 | დრეზინა -2 | ვამპირი -1

ამ სკანვორდ-თავსატეხის ამოსახსნელად უჯრებში ჩაწერილ სიტყვებს უნდა გამოაკლოთ შესაბამისი რაოდენობის ასოები (მხოლოდ თანხმოვნები). ასოების თანმიმდევრობა სიტყვებში არ იცვლე მაგ. სართული -2 შეიძლება იყოს არული, ათული, საული, სარუი ან სათუი, მაგრამ არა სართუ ან რთული. ასოების გადაკვეთები გიჩვენებენ სწორ ვარიანტს.

მგოსანი -1 | ინტერი -2 / გარლანდი -1

კრიტიკა -2 | სტიქარი -2 | რინგიტი -1 / ნაყენი -1 | მარილი -2 | მტერი -1

გრიშა -2 / კრამიტი -2

კრეტინი -1 / სნუკერი -2 | კრატერი -2 | მირონი -1 | კონდორი -1 | ტოროლა -1

მექანი -1 | ქსელი -1 / ნანკინი -1

შეიხი -1

დუბლინი -1 | ლარინგიტი -1 | მარგალიტი -1

ქურთანი -1 / პიკნიკი -1 | საკვერაკი -1 | პოლიტიკა -2 / ნაკრები -1 | კირკიტი -2 / დიპლომი -1

კოლიბრი -1 | ბანდერასი -1 / კაროტინი -1 | მუსიკა -2

გარგარი -1 | გრაფინი -2 | მართალი -2 | სკვერი -2 | ბერინგი -1 / სკანდალი -2

ბლანკი -1 | ფოსტერი -1 | ნაკლი -1 | შხარა -1

ფერდი -1 | მალიბუ -1 | ნადირობა -1

კილიტა -1 | ნიტრიტი -1 | არიზმა -2

სატირა -2 | დუბლინი -2 | მარსი -1

სკუნსი -2 | ლერმიტი -1 | მუტანტი -2

კაპიკი -2 | ნაგლინი -1 | კრასუსი -2 | ანგინა -2 | კანტატა -2

შეადგინა გიორგი ვეკუა

ცუდი მსროლელი (საუბ.) | ერთგვარი თევზი

ქართულ კითხვებს რუსული პასუხები მოუძებნეთ და ქართული ასოებით ჩაწერეთ ისე, როგორც მეტყველებისას წარმოითქმის; მაგალითად: კიტრი – აგურეც, რძე – მალაკო ა.შ.



## აქტუალური რეპლიკა

მოგეხსენებათ, ამა თუ იმ საკითხის ბიზნეს-გაპოპულარების შემთხვევაში აღნიშნულ ბევრი მწარმოებელი და, რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს ეს, ნაკლები მომხმარებელი ჰყავს... ასე დაემართა სკანდინავიურ კროსვორდსაც, რომელიც ქართულ პრესაში ჩვენ ჯერ კიდევ 1992 წელს გამოვაქვეყნეთ, დღეს კი მისი სულის ლაფვის შემსწრენი ვართ სწორედ ამ ბიზნეს-გაპოპულარებისა გამო.
ამიტომაც ვცდილობთ, როგორღაც გადავარჩინოთ ეს მშვენიერი საკროსვორდო ჭკნილება და ვეძებთ ახალ ფორმებს, რომელთა შორის ბევრი, შესაძლოა, მიუღებელიც იყოს...

გადამდები სენი | ბუკი, საყვირი, ან ერთგ. ფუნთუშა | ზამთარი | მღვდლის სამოსი | ზრუნვა
დიდი ნახატი კედელზე
ყურე | ორივე | საჭმელი (ქარგ.)
პურის კვერი
პიჟამო | მაღარო (ძვ.) | ვლადიმერი (მოფერ.) | ჭრილობა
თხრილი | ლარნაკი
ჯერ, სანამ | კულული | „ათას ერთი ღამის“ პერსონაჟი ჭაბუკი | თაღი | მშვილდის ლარი
წერო | გონება | გვამი | ლუდის თევზი | რეკორდი | ზიანი | ყამირი
ჩარხი | ძველებური იარაღი | ურდული | ძმა | ბრალი
ნახჭი, ნაქარგი | მახრჩობელა | კიტრი | ოიდიპოსი
შეკვეთა | ერთი | კედელი | ზვავი
ხაჭოს კვერი | მიტინგი | ფქვილი | მუხრუჭი | მარილები
კანონი (ძვ. პოეტ.) | ქართულ-რუსული ექსპერიმენტი ჩაატარა გიორგი ვეკუამ | იქ
მამა | ცელი | წესდება | ძლივს
დროა | ჩარჩო | ყურანი | სარქველი | ციხის საწოლი
ამოცანა | ფაფა | ნათლიდედა | თავხედო! | ფანჯარა
ვარდი | ის (მდედრ.) | ურო
კრაზანა | ხაფანგი | ცისარტყელა | დიდი ტალღა
ქონი | დაფნა | Пауза | კაზაკთა ბელადი | ალალი, ურიკა
სად | წარმატება, იღბალი | მთვარე | შვილი, შთამომავალი | ბაგირი
წოდება, ტიტული | აგარაკი
Пауза | მოწყენილობა | ძაღლი | კაკალი | მოსაწევი (საუბ.)
მხტომელი | ბორბალი | გროვა | ბუჩქი | სარჩული, ქარგა | თითი
ორი | ქვარტლი | მზის ჩასვლა | ავტორი გიორგი ვეკუა

# 2002 წლის გაზაფხულის საკროსვორდო ჩემპიონატი

**უმაღლესი ლიგა, მეოთხე ტური,** | **პასუხების მიღება 2-3 მარტს 11-14 საათებში** | **პირველი ლიგა, მეხუთე ტური,**





## უმაღლესი ლიგა

**თარაზულად:**

1. ჯეიმს ბონდის საყვარელი სასმელიც და პოპულარული მომღერალიც.

4. (**საპრიზო კითხვა №1**) მამაკაცის სპეციფიური უნგრული სახელი.

7. საბრძოლო თხრილი.

14. (**საპრიზო კითხვა №2**) სიტყვა, რომელიც აერთიანებს ძველბერძნულ არქიტექტურას და სამძებრო-საგამომძიებო საქმეს.

15. სოფელ ანაგის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი შვილი. 16. ტაქსასავით დაბალი და წაგრძელებული ჯიშის ძაღლი. 19. სახელი, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ქართულ პოლიტიკას და ფანტასტიკის კლასიკას. 20. კათოლიკური ტაძრის დარაჯი.

21. (**საპრიზო კითხვა №3**) რა იყო თუნდაც ბართლომეს ღამე თავისი არსით?

24. დაღესტნის სახალხო პოეტი სულეიმან (....). 25. პორტის საწყალოსნო სივრცე. 29. მონღოლთა უზენაესი მმართველი. 30. ასეთი ვაგონიც არის. 31. ღარიბი გლეხი, მოიჯარე ლათინურ ამერიკაში. 32. ტექსტის დანაყოფი თუნდაც რომანიდან „დათა თუთაშხია“. 37. საყვარელი, სასურველი ადამიანი ჩვენი მთიელების მეტყველებაში.

38. (**საპრიზო კითხვა №4**) ერთ-ერთი ევროპული კინოპრემია.

39. აშშ კინოკომიკოსი ჰაროლდ (...), რომლის უცნობილესი სცენა კოშკის საათის ისარზე ჩამოკიდებული სრულდებოდა. 43. „აღთქმული მიწა“ საბჭოთა პიონერებისთვის.

44. (**საპრიზო კითხვა №5**) მე-20 საუკუნის ფოტოგრაფიის ერთ-ერთი კორიფე.

45. ნივთიერება, რომელიც სააღდგომო რიტუალის შესასრულებლად არის საჭირო. 49. № 29-ში ხსენებული უზენაესი მმართველის „შტაბ-ბინის“ ზოგადი სახელწოდება. 50. ჩვენი მითოლოგიის საკმაოდ ცნობილი პერსონაჟი. 51. რომელიმე ქვეყნის ან რაიმე დიდი ტერიტორიის ცალკეული ნაწილი, ოლქი. 52. ყმაწვილთა შესაფერი თანამდებობა შუა საუკუნეების ევროპაში.

56. (**საპრიზო კითხვა №6**) პირველი ფეოდალური სახელმწიფო შუა სს ავღანეთში.

57. აზიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი.

58. (**საპრიზო კითხვა №7**) რომელი სიტყვა იხმარება ხონთქართან (სულთანთან) ერთად ორნითოლოგიაში?

62. (**საპრიზო კითხვა №8**) ამ კაცს ერთ ჩვენს ზღაპარში სხვა არსებები ჰყავდა საპატრონოდ, თოჯინურ მულტიპლიკაციაში კი სხვა არგუნეს... ჰოდა,მულტვარიანტის არსების სახელი გაიხსენეთ.

63. წნელის ბრტყელი წნული, ლასტი. 64. დედოფალი, რომელმაც თავისი უშუალო წვლილი შეიტანა მსოფლიოში პირველი მავზოლეუმის მშენებლობაში. 69. რაჭველთა გაზეთი. 70. რაიმე საზღვრით შემოფარგლული მიწა-წყალი.

71. (**საპრიზო კითხვა №9**) ერნანდო კორტესის მოადგილე და მარჯვენა ხელი მონტესუმას იმპერიის დაპყრობისას, ქერათმიანი კონკისტადორი.

72. საფლავზე ამოკვეთილი წარწერა. 73. არგენტინის ნაკრების მწვრთნელი 1986 წლის მსოფილო ჩემპიონატზე.

74. (**საპრიზო კითხვა №10**) მთავარი პერსონაჟი თურქული სერიალისა „ნარჩიტა - მგალობელი ფრინველია“.

**შვეულად:**

2. ღვინოებით ცნობილი (უწინ) ქალაქი აზერბაიჯანში. 3. გადაშენებული ველური პირუტყვი. 5. კაცი, რომელიც, სამწუხაროდ, გამოეთიშა უმაღლეს ლიგას.

6. (**საპრიზო კითხვა №11**) გვარი, რომელიც აერთიანებს სტალინგრადის ბრძოლის ისტორიას და 90-იანი წლების ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან სკანდალს აშშ-ში.

8. თანმიმდევრული გადასვლა ერთი საფეხურიდან მეორეზე. 9. „**Okul defteri**“ - თავისი არსით.

10. (**საპრიზო კითხვა №12**) ანთროპოსოფთა ცენტრი.

11. ხალხი, რომელმაც ყველაზე განვითარებული კულტურა შექმნა მექსიკის ცენტრალურ ნაწილში. 12. ძნის შესაკრავი სველი ნამჯა. 13. ცეცხლისადმი ავადმყოფური ლტოლვა.

17. (**საპრიზო კითხვა №13**) ცხენი ასეთი შეიძლება იყოს.

18. დავით კლდიაშვილისეული შინაბერა ქალი.

22. (**საპრიზო კითხვა №14**) ლეგენდარული შვედი სამთო მოთხილამურე, მრავალგზის მსოფლიო თასის მფლობელი.

23. ფეხბურთელი, რომელმაც ყველაზე მეტი მატჩი ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე. 26. მიწისძვრის სიმძლავრის საზომი ერთეული. 27. ყაზბეგის მოთხრობა. 28. თეატრალური სცენის ატრიბუტი. 33. ესპანეთის ყველაზე დიდი, ყველაზე ცხელი, ყველაზე ღარიბი და ყველაზე მხიარული რეგიონი. 34. ნაპოლეონის კარის მხატვარი. 35. ქალაქი-პორტი საფრანგეთში. 36. „სამეფო“ გველი.

40. (**საპრიზო კითხვა №15**) რა სიტყვა „იშიფრება“ ტოპონიმ სტავროპოლში?

41. მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი ლიდერი, რომლის მოღვაწეობა ამ პოსტზე ლამის „სანანებლად“ გაგვიხდეს ქართველებს. 42. ზნეობისაც არის ზოგ ქვეყანაში. 46. რისამე ფასი, ანუ? 47. თანამედროვე ინგლისელი დრამატურგი, ისიც სახელად ჰაროლდი. 48. გურიის სოფელი, მოხსენიებული გალაკტიონის ცნობილ ლექსში. 53. მურმანის სავარაუდო „რეინკარნაცია“ 54. ციხე-სიმაგრის გალავნის ნაწილი ხუთკუთხედის ფორმისა. 55. სიტყვა, რომელიც წინათ იაპონელთა მისამართით იხმარებოდა, ახლა კი პალესტინელებზე უფრო ითქმის.

59. (**საპრიზო კითხვა №16**) თანამედროვე დანიელი კინორეჟისორი, ლარს ფონ (...).

60. (**საპრიზო კითხვა №17**) *მესამე ჯგუფში მოთამაშე მავანი ქალბატონის „აქილევსის ქუსლი“ ანუ* ახლო წარსულის კანადელი ჰოკეისტი, მარიო, 66-ე ნომრით მოთამაშე.

61. ერეკლე მეფის ასული. 65. თხების ჯოგი.

66. (**საპრიზო კითხვა №18**) ჯორჯ ბუშ-უმცროსის ძმა, ფლორიდის გუბერნატორი.

67. (**საპრიზო კითხვა №19**) ყველაზე უფრო ეგზოტიკური და პოეტური ადგილი ვარდისთვის.

68. (**საპრიზო კითხვა №20**) *და ბოლოს* - გაიხსენეთ საერთო შემადგენელი ნაწილი იმ ორი ადამიანის საკუთარი სახელებისა, რომელთაგან ერთი თავად იყო ბრმა, მეორე კი მილიონობით სხვის „დაბრმავებას“ შეეცადა და შეძლო კიდეც.

**იხილეთ მე-16 გვერდი, სადაც კიდევ 10 ქულა გელით**

***შეადგინა გიორგი ვექუამ***

**ექსპრეს-ინფორმაცია**. გასულ პარასკევს „ფანტაზიის“ საკროსვორდო ჩემპიონატის ორი კროსმაისტერი - ნიშნიანიძე, ფურცელაძე - და ერთ-ერთი ლიდერი - აქუბარდია - (**კრუპიეს** - გვარს არ დავასახელებთ - თანხლებით) ეწვივნენ ქალაქ კასპს, სადაც ჩემპიონატის ორი მონაწილე, ბატონები ტარიელ გასიტაშვილი და კობა მამულაშვილი ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

ურთიერთგაცნობისა და კეთილი სურვილების გამოთქმის შემდეგ გამოითქვა საინტერესო აზრები, რომელთაგან აღსანიშნავია ბატონი ტარიელის სურვილი, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იყოს საშუალება ჩემპიონატში მონაწილეთა ვინაობის გაცნობისა; კრუპიემ (გვარს ისევ არ დავასახელებთ!), რა თქმა უნდა, აიტაცა ეს იდეა და ახალი რუბრიკაც შექმნა ფანტაზიელებისათვის.

გამოითქვა კრიტიკული შენიშვნებიც, რა თქმა უნდა, კრუპიეს მიმართ (...ახლა სულ არ დავასახელებთ გვარს!), რაც ამ უკანასკნელმა დიპლომატური ტაქტით გაითვალისწინა და თავიდან აირიდა.

...ჩვენ დიდ მადლობას მოვახსენებთ ჩვენს გულღია მასპინძლებს და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ აზრს, რომ ამგვარი ვიზიტები ძალზედ სასურველია არა მხოლოდ გაზეთისა და ჩემპიონატისათვის, არამედ ზოგადად პიროვნული ცნობიერებისათვის!

**P.S.** ...აქვე გაცნობებთ,რომ მსგავსად ბატონი რაფიელ მამულაშვილის პიესისა - „მერხებზე ანგელოზები სხედან“ - თურმე ჭიქებზეც შეიძლება ჩამოსხდნენ ეს არსებები, სადაც მათ ბულბულებიც ელიან!...

...და აქვე გთხოვთ - დღევანდელი ტურის დამთავრების შემდეგ მიდით თქვენს მეგობრებთან, დაივიწყეთ ყველა „ყატალ-ყუტალა“ წყენა-გაჭირვება და მოეფერეთ მათ!... კარგ მეგობრებს **გაფრთხილება უნდა**!

## პირველი ლიგა

**თარაზულად:**

1. ავტორი ბალეტისა „საღვთო გაზაფხული“.

4. (**საპრიზო კითხვა №1**) ჩრდილოკავკასიური სახელმწიფო, რომლის ლიდერის რეზიდენცია ვედენო 1859 წლის აპრილში დაეცა.

8. ირაკლი აბაშიძის „(...) კატამონთან“. 13. ის, რაც საბოლოოდ 1945 წლის მაისში იქნა განადგურებული. 16. ეგვიპტური ღმერთი, რომლის კულტი მკვდარ და შემდეგ აღმდგარ ბუნებას უკავშირდებოდა და ამრიგად გაზაფხულზე იდღესასწაულებოდა. 17. ჩანჩქერი, რომელიც გაზაფხულობით კიდევ უფრო გრანდიოზულად გამოიყურება. 18. ზოდიაქოს არასაგაზაფხულო თანავარსკვლავედი. 19. აპრილში დაბადებული ერთი ბელადი.

20. (**საპრიზო კითხვა №2**) კუნძული, რომელსაც 20 გაზაფხულის განმავლობაში არ ენახა თავისი პატრონი.



21. „მუდმივი“ გაზაფხულის ქვეყანა აფრიკაში. 23. რა არის გაზაფხული წელიწადთან მიმართებაში? 24. ქვეყანა, რომლის სიმბოლო-მცენარე აპრილში ყვავის. 27. გაზაფხულის მოსვლის მაუწყებელი ერთ-ერთი ყვავილი. 31. ფინიკიური ღვთაება, რომელსაც № 16-ში ნახსენები ღმერთის მსგავსი „დანიშნულება“ ჰქონდა.

33. (**საპრიზო კითხვა №3**) სამიდან ბოლო სიტყვა უპოპულარესი საბჭოთა ტელესერიალის სათაურში.

34. ლეშიჭამია ფრინველი, რომელსაც, ალბათ, ისევე უჩქროლებს სისხლს გაზაფხულის მოსვლა, როგორც ყველა სხვა სულიერს. 36. გაზაფხულის „ქალური“ რიცხვი 37. სადაურია გაზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებული დღესასწაული პასექი? 38. გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ლექსი, 1832 წლის 8 მარტს, გადასახლებაში დაწერილი. 40. „გაზაფხული შემოსულა, (...)“

41. (**საპრიზო კითხვა №4**) ინგლისელი პუბლიცისტი, ავტორი წიგნებისა: „**Россия в войне. 1941-45**“ და „**Франция. 1940-55**“

43. (**საპრიზო კითხვა №5**) ყველაზე ცნობილი მათ შორის, ვინც გაზაფხულის დამთავრების შემდეგ, ზაფხულის დადგომისას იწყებს ტყავის გამოცვლას.

44. (**საპრიზო კითხვა №6**) ჩასვით სიტყვა

**„ჰკრეფენ ცისფერ (........),**
**იკეთებენ ნაზად გულთან,**
**გუგულივით იძახიან:**
**გაზაფხულდა! გაზაფხულდა!“** (ლადო ასათიანი)

45. გაზაფხულის ერთ-ერთი თვის მოსახელე ყვავილი ძველ ქართულში. 48. ბუნების წიაღი, უბე.

50. (**საპრიზო კითხვა №7**) რომაელი, რომელმაც ერთი საგაზაფხულო დღესასწაულის დროს „ხელი დაიბანა“.

52. გაზაფხულთან ასოცირებული გრძნობა. 57. სამიდან მეორე სიტყვა უკვე ხსენებული სერიალის სათაურში.

58. (**საპრიზო კითხვა №8**) ჩასვით სიტყვა

**„მერცხლის ფრთების მოიმედეს**
**გაზაფხული მომივიდა,**
**ვუცქერ ნუშებს, ატმის ყვავილს,**
**და მზეს – ლომის (......).“** (გიორგი ლეონიძე)

60. გუთანში (....) ხარებსა, / ბლომად გაჭიმა ხნულები. / ურჩება ცივის ზამთრისგან / გულს დაჩნეული წყლულები.“ (ვაჟა, „გაზაფხულის სურათები“). 62. როგორ დამთავრდა „იუვენტუსის“ და „აიაქსის“ ფინალური მატჩის ძირითადი დრო 1996 წლის გაზაფხულზე? 63. პაოლო იაშვილის ფსევდონიმი - (......) დარიანი. 64. საბჭოთა ესტრადის ვარსკვლავი, რომელსაც ჰქონდა ნომერი „წელიწადის დროები“. 68. ჩვენი ქედი, რომელიც გაზაფხულზე ისევ ამწვანდება. 69. კიდევ ერთი „საგაზაფხულო“ ყვავილი. 71. ისინიც ტირიან ერთი ბრაზილიური სერიალის თანახმად 73. „აღფრთოვანებულს გინდა რომ / ხმა მიაწვდინო ყველგან: / მთელ დედამიწას გწყურია, / (.......) გადაემხო“ (მუხრან მაჭავარიანი, „გაზაფხულია, დედამიწა ალაპარაკდა“)

74. (**საპრიზო კითხვა №9**) იტალიელი კომპოზიტორი, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი ნაწარმოები „წელიწადის დროები“.

75. (**საპრიზო კითხვა №10**) „ქვის გული გაქვს და ხის ჯიგარიო“ - უთხრა იეთიმ გურჯიმ სატრფოს... რა სიტყვა შეიძლება ეხმარა თანამედროვე პოეტს?

**შვეულად:**

1. ადგილი, რომელიც გაზაფხულის დადგომასთან ერთად „ზამთრის ძილიდან“ გამოდის. 2. ჩვენი „მარჩენალი“, რომელსაც გაზაფხულზე რიგთაშორისების დამუშავება სჭირდება ხოლმე.

3. (**საპრიზო კითხვა №11**) ვეგეტატიური გამრავლების შედეგად მიღებული მცენარე.

5. „გამარჯვების“ და „შრომის“ თვე ყოფილ საბჭოეთში. 6. გაზაფხულზე ადიდებული რამ.

7. (**საპრიზო კითხვა №12**) იაპონური პოეზიის ჟანრი, რომელშიც ხშირად გვხვდება გაზაფხულის ამსახველი მშვენიერი მინიატურები.

9. ჩვენს რაციონში გაზაფხულობით შემომავალი „მჟავე“ მცენარე. 10. რას შვრებიან წლები და მათთან ერთად გაზაფხულებიც? 11. 1954 წლის 30 მარტს რიგაში დაბადებული მომღერალი.

12. (**საპრიზო კითხვა №13**) პოეტი, რომელსაც ეკუთვნის სტრიქონები:

**„ქართლო! გახედე ქსანს!**
**მდინარემ გაშალა ტოტი...**
**გზა! გაზაფხული მოდის!“**

14. გაზაფხულის ერთ-ერთი „კოლეგა“

15. (**საპრიზო კითხვა №14**) მარტთან და იულიუს კეისართან ასოცირებული ცნება მრავლობით რიცხვში.

22. (**საპრიზო კითხვა №15**) იტალიელი მხატვარი, ავტორი ალეგორიული სურათისა „გაზაფხული“.

25. ქვეყანა ევროპაში, რომელშიც 1974 წლის გაზაფხულზე მომხდარმა რევოლუციამ ფაშისტური რეჟიმი დაამხო. 26. სექსუალური ჟინით ანთებული, ანუ? (სწორედ რომ გაზაფხულობით ხდება ეს ამბავი ხშირად) 28. არზაყანზე შეყვარებული ქალი. 29. როგორი შეიძლება იყოს ტიპიური საზაფხულო ხილი ატამი?

30. (**საპრიზო კითხვა №16**) ჩასვით გამოტოვებული სიტყვა

**„ო, გაზაფხულო, მე შენ გიჯერი,**
**შენ მერცხალივით შემოიჭერი,**
**შემოიჭერი სულში და გულში,**
**ზამთრის სიავით მთლად დაჩაგრულში,**
**აანთე (......) ჩამქრალი ალი..“** (გალაკტიონი)

32. აპრილი ძველქართულად. 33. კიდევ ყვავილი. 35. „შეხედე, რა ცაა, (....) რაცაა“ 39. ფრანგი რევოლუციონერი, რომლის მოღვაწეობის დროსაც გაზაფხულის თვეებს ასეთი სახელები დაერქვა: ჟერმინალი, ფლორეალი, პრერიალი.

42. (**საპრიზო კითხვა №17**) რა აუტეხავთ ჩიტებს, იმ ცნობილი სიმღერის თანახმად?

46. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა - „გაზაფხულდა, (........) ნუში“.

47. (**საპრიზო კითხვა №18**) ფრანგი პოეტი, რომლის საფლავთან ტირიფი ტირის, გალაკტიონის ლექსში.

49. ჩვენი მეფე, რომლის დღეობაც გაზაფხულის ერთ-ერთ თვეს აღინიშნება. 51. მარტში დაბადებული სომეხი პოეტი, (...) ჩარენცი. 53. ავტორი ლექსისა „გაზაფხული“: „დღეს მერცხალი შემოფრინდა „ჭიკჭიკითა გადმომძახა: /გაზაფხული! გაზაფხული! / გულს იმედი დამესახა“. 54. ხელოვანი, რომელიც, კონსტანტინე გამსახურდიას თანახმად გაზაფხულზე შეუდგა თავისი უდიდესი ქმნილების აგებას (სახელი). 55. ილიას პოემა. 56. ადგილი, სადაც 1981 წლის 13 მაისის ღამეს ლამის მთელი თბილისი შეიკრიბა. 59. გაზაფხულის ამინდებისთვის შესაფერი ეპითეტი. 61. რა არის საგაზაფხულო და საშემოდგომო ქართულ (და არა მარტო ქართულ) პოლიტიკაში?

65. (**საპრიზო კითხვა №19**) ნაპოლეონის რეჟიმის წლებში ჟან პიერ ბერანჟეს მიერ შექმნილი სატირული მეფის სახელი.

66. რიცხვი, რომელსაც გაზაფხულის სამივე თვესთან მიმართებაში ქართველთათვის მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს.

67. (**საპრიზო კითხვა №20**) იხილეთ ფოტო და დაადგინეთ ამ მსახიობის ნამდვილი გვარი.

70. პლანეტა იუპიტერი ძველქართულად 72. ის, რაც გაზაფხულის განმავლობაში დიდდება,თავისი „ანტიპოდისაგან“ განსხვავებით.

**იხილეთ მე-16 გვერდი, სადაც კიდევ 10 ქულა გელით**

## ვიცნობდეთ ერთმანეთს „ფანტაზიელები“



ელეონორა ფურცელაძე

### ამონაწერი ავტობიოგრაფიიდან

„...დავიბადე 1964 წლის 15 იანვარს ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვარში. 1981 წელს დავამთავრე ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1988-95 წლებში ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, პარალელურად ვმუშაობდი თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურში.

ამჟამად არ ვმუშაობ

ვარ დასაოჯახებელი.

**როგორც მოგახსენეთ, ბატონი ტარიელ გასიტაშვილის სურვილის გათვალისწინებით, ვიწყებთ „ფანტაზიის“ მკითხველთა გაცნობას. პირველად სიტყვას ვუთმობთ ქალბატონ ელეონორა ფურცელაძეს, რომელმაც თებერვლის უკანასკნელ დეკადაში ნადვილი ფურორი მოახდინა საკროსვორდო ჩემპიონატშიც და მთლიანად „ფანტაზიის“ სამეგობროშიც**

### ქებათა-ქება „ფანტაზიას“

**კვლავ ელეონორას მოვუსმინოთ:**

„უმუშევრობამ, სულიერმა შიმშილმა, გაუსაძლისმა პირობებმა და სხვა პრობლემებმა ისეთი თავშესაქცევის ძებნა დამაწყებინა, რაც შექმნილ ვითარებაში საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინებას შემაძლებინებდა. ყოველთვის მიყვარდა სირთულეების დაძლევა და მიზნის მისაღწევად ძალ-ღონეს არ ვიშურებდი; ალბათ, ამიტომაც ერთგვარი შვება ჩვენს სინამდვილეში დიდი ოდენობით შემოჭრილი კროსვორდების ამოხსნაში ვპოვე.

თითქმის ყველა საკროსვორდო გაზეთს გავეცანი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვერცერთმა მათგანმა ვერ დააკმაყოფილა ჩემი ცოდნის გამომჟღავნების სურვილი. და აი, ერთ ბედნიერ დღეს (!) შემთხვევით ხელში ჩამივარდა გაზეთი „ფანტაზია“, რამაც შესაძლებლობა მომცა ჩავრთულიყავი ინტელექტუალურ თამაშებში.“

**(....სარედაქციო ჩანართი)**

*ამგვარ ფაქტს, როცა მკითხველი შემთხვევით, ყოველგვარი რეკლამის გარეშე, ეცნობა „ფანტაზიას“ და შესძახებს - აქამდე სად ვიყავიო! - ჩვენ „ნიშნიანიძის სინდრომი“ ვუწოდეთ, რის შესახებაც ბატონი გიორგის გაცნობისას ვისაუბრებთ...*

**კვლავ ელეონორას მოვუსმინოთ:**

„ფანტაზიის“ უდიდესი დამსახურება ისაა, რომ გაზეთის კონკურსების მონაწილეებმა ერთმანეთი გავიცანით, დავახლოვდით და საუკეთესო მეგობრებიც გავხდით, ისეთი მეგობრები, რომლებიც ჭირშიაც და ლხინშიც გვერდით ვუდგევართ ერთმანეთს, რადგან, როგორც ერთხელ ჩვენმა მეგობარმა „ფანტაზიელმა“ დათო ჭილიტაშვილმა მაუგლის სიტყვების პერიფრაზი გააკეთა - „ჩვენ ყველანი ერთი ჭკუისანი ვართ“.

**(....კვლავ სარედაქციო ჩანართი)**

*...შემდეგ ქალბატონი ელეონორა ქება-დიდებას არ იშურებს მთავარი რედაქტორის მიმართ, რასაც ჩვენ შეგნებულად გვერდს ვუვლით, რათა „ბრეჟნევის სინდრომი“ არ შეგვეყაროს...*

### ქალბატონი ელეონორას მოწოდება:

...შემოდით „ფანტაზიის“ დიდ ოჯახში!

დამერწმუნეთ, ცოდნისა და მეგობრების შეძენის გარდა, უდიდეს სულიერ კმაყოფილებასაც იგრძნობთ!

### რედაქციის იმედი

*ჩვენ შევეცდებით ყოველ ნომერში ერთი „ფანტაზიელი“ მაინც გაგაცნოთ; ასე რომ, სანამ ყველას ერთმანეთს არ წარმოგიდგენთ, გაზეთის გამოცემას არ შევწყვეტთ, ეს კი ხანგრძლივობით მარადიულობას გაუტოლდება!*

# ფანტაზიორი

## 10 საპრემიო კითხვა საკროსვორდო ჩემპიონატის ორივე ლიგის მონაწილეთათვის და არა მარტო მათთვის

1) რას ყოფდა რისგან ოკეანისგადაღმელთა ისტორიაში და, შეიძლება ითქვას ახლაც ყოფს, ორი ინგლისელი ასტრონომის, ჩარლზ მეისონისა და იერემია დიქსონის სახელობის ხაზი?

2) ამ ყვავილის სახელწოდებაა **Antemis Romana**, ანუ „რომაული ყვავილი“... თუ მის რუსულ სახელს დაადგენთ, ადვილად მიხვდებით, რა ჰქვია მას ქართულად...

**მაშ, რა ჰქვია ქართულად?**

3) გოეთე თვლიდა რომ მისი საუკეთესო ნაწარმოები იყო - „მოძღვრება ფერთა თეორიაზე“, ასევე შეცდომით, ერთი ინგლისელი თვლიდა, რომ მისი საუკეთესო ნაწარმოები იყო შრომა სათაურით - „ევკლიდეს „საწყისების“ მეხუთე თავის ალგებრული დასაბუთება“...

**დაასახელეთ ამ ინგლისელის ყველაზე ცნობილი „შრომის“ სახელწოდება.**

4) **ვის შესახებ წერდა** ასე ინტერნეტში გამომავალი ერთი რუსული ჟურნალი:

«Его именем называли пароходы, шахты, улицы и библиотеки. Строки из его стихотворений становились цитатами, а песни, положенные на музыку профессиональными композиторами, считались народными. Его сочинения знал наизусть Маяковский, в своем далеке их высоко оценила Цветаева, их любила Ахматова. В ранние годы творчества критики называли его советским Гейне (и ругали!), а в зрелости — русским Экзюпери (и тоже ругали!). Его «прорабатывали», о нем спорили, предрекая скорую творческую гибель за «отрыв от масс»... А он был любимцем молодежи, кумиром, «звездой», при упоминании его имени вставали залы».

5) როგორც ეტიმოლოგები თვლიან, ინგლისური სიტყვა - **NEWS** - ანუ, „ახალი ამბები“ თავდაპირველად აღნიშნავდა ყველა მხრიდან მოსულ ინფორმაციას და წარმოადგენს აბრევიატურას...

მოიშველიეთ თქვენი (ან თქვენი მეგობრების) ინგლისური ენის ცოდნა და **გაშიფრეთ ეს აბრევიატურა ოთხი ნაცნობი ინგლისური სიტყვით.**

6) ასტეროიდი № 1 ატარებს სახელწოდებას „ცერერა“, № 2 - პალადა...

**ვის სახელს და გვარს ატარებს ასტეროიდი №9007?**

7) საბჭოთა კავშირი - 1520 მილიმეტრი; საფრანგეთი - 1440 მმ; ესპანეთი, პორტუგალია, ჩილე, შრი-ლანკა, პაკისტანი, არგენტინა - 1676 მმ... ყველაზე პატარა კი არის კოლუმბიაში, ვენესუელაში და ეკვადორში - 610 მმ. ეს სხვაობა სხვადასხვა ქვეყნებში ძალიან დიდ პრობლემებს ქმნის.

**რას აღნიშნავენ ეს მილიმეტრები?**

8) ატოცობა, გარიგება, ეგევსი, თუთა, კოქტო, მინორი, პედაგოგი, სამეურვეო, ტიხუანა, შინდი...

**დაასახელეთ რა არის ამ მწკრივში პირველი?**

9) მოიშველიეთ თქვენი (ან თქვენი მეგობრების) ინგლისური ენის ცოდნა და **დაადგინეთ რა პარამეტრითაა ყველაზე გრძელი** ინგლისურ ენაში სიტყვა **Almost** - ანუ „თითქმის“?

10) მოგეხსენეაბთ, დღეს კუბა ერთ-ერთი ყველაზე პარადოქსული ქვეყანაა თუნდაც თავისი არსებობით, რომ არაფერი ვთქვათ მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიაზე. ალბათ, სწორედ „კუბური აზროვნების“ შედეგი იყო ის, რომ ერთ ლეგენდარულ კაცს ორიოდე წლის წინ ჰავანაში ძეგლი დაუდგეს, თუმცა თავად ამ ლეგენდარულ პიროვნებას აზრადაც არ მოუვიდოდა ჰავანაში დგომა, რადგან მას უფრო აღმოსავლური სამყარო უფონებდა გულს...

**მაშ, ვის დაუდგეს ძეგლი ჰავანაში?**

უმაღლესი ლიგის საკროსვორდო ჩემპიონატის განვლილ მესამე ტურში პატარა სკანდალი დაფიქსირდა, რომლის დეტალების გამოაშკარავებას ახლა არ შევუდგებით, მაგრამ ისკი უნდა ვთქვათ, რომ „ძმა ძმისთვის (...და დისთვის) თუ შავი დღისათვის მისწრებაა, ჩვენს საკროსვორდო ჩემპიონატში ეს „და-ძმობა“ არ გამოდგება და შეიძლება მთავარ მსაჯს „წითელ-ყვითელი“ ბარათების ფრიალი დააწყებინოს.

### გასული ნომრის „ფანტაზიორის“ პასუხები:

1. ჩანგალი. 2. ხალხი წვერს ვერ მოუშვებდა არაუადრეს 45 დღისა. 3. ფსიქოლოგმა ურჩია - ლიფტთან სარკე დაკიდეთო. 4. ვეზირმა იმ ხაზზე უფრო გრძელი ხაზი გაავლო მიწაზე. 5. ექიმები. 6. ფილმის გადაღების გაჭიანურებისას ბავშვები გაიზრდებოდნენ. 7. საბჭოელები ამერიკაში ხანში შესულებს ადგილს უთმობენ ტრანსპორტში.

# საკროსვორდო გაკვეთილები ბავშვებისათვის

**თარაზულად**: 1. გაზაფხულის თვე. 4. რა ჰქვია კნუტს სხვაგვარად? 11. მოსწავლის მაგიდა. 12. რა გვიკიდია კედელზე, ზოგი მათგანი ასახევიც რომ არის? 13. ვინ დგას კროსვორდის მარჯვნივ? 14. (მშობლებს ჰკითხეთ) რა ჰქვია ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ მთავარ გმირს? 17. ბავშვი ქართული ზღაპრიდან, ხეზე რომ იჯდა.... 18. რა არის ის, რასაც ცარიელ თავს ამსგავსებენ ხოლმე? 19. როგორი ზედაპირი აქვს ახალ ფეხსაცმელს? 21. ბევრი ყვავილი თაიგულია, რამოდენიმე ყვავილი ერთად რაღაა? 24. რა შეიძლება გაიკეთოს ადამიანმა საავადმყოფოში? 25. დიდი თეფში. 28. რა შეიძლება გამოუცხვეს ობოლს ერთ ანდაზაში? 29. ყველაზე დიდი ქართველი პოეტი. 30. რუსული ზღაპრის უვიცი ბიჭუნა. 31. თბილისის მეტროს სადგური.

**შვეულად**: 2. მალე, მოკლე ხანში ანუ? 3. როგორი მეგობარი უნდა ჰყავდეს ადამიანს (ერთგული და.....)? 5. ადვილი ანუ? 6. წყნარი ანუ? 7. მატარებლის სავალი რკინა. 8. რა აღმოაჩინა კოლუმბმა? 9. როგორი კროსვორდი შევისწავლეთ დღეს? 10. რა უნდა წააკრა ახლად დაბანილ ბავშვს თავზე? 15. ავადმყოფობა შეიძლება ასეთიც იყოს. 16. საბრძოლო მანქანა. 18. აჭარელთა ცეკვა. 20. არაბული ზღაპრის ბიჭი. 22. რუსულად მას „ზოლუშკა“ ჰქვია, ქართულად - რა? 23. რა სჭირდება ტელევიზორს? 26. კვლავ ანუ? 27. გადარეული ანუ?

## აბა, ბავშვებო, დავიწყოთ მეექვსე გაკვეთილი!

### კროსვორდის სახეობები. სკანდინავიური კროსვორდი

ბევრს კროსვორდის ის სახეობა მოსწონს, რასაც „სკანდინავიური“ ჰქვია, რომელსაც სახელი ევროპის ერთი დიდი მხარის, სკანდინავიის მიხედვით დაერქვა. სკანდინავია რამოდენიმე ქვეყანას აერთიანებს (შვედეთი, ნორვეგია, დანია, ფინეთი) და, ალბათ, პირველად იქ მოიგონეს ის, რომ შესაძლებელია კროსვორდის ცარიელი უჯრები განმარტებების ჩასაწერად გამოეყენებინათ... მართალია, ამის გამო უჯრების სიდიდე გაიზარდა და, უადგილობის გამო, განმარტებებიც შემოკლდა და მაგრამ, ამან, როგორც ჩანს უფრო საინტერესო გახადა კროსვორდის ამოხსნა... თუმცა გემოვნებაზე არ დავობენ.

დღეს, გარდა ჩვეულებრივისა, გთავაზობთა პატარა სკანდინავიურ კროსვორდსაც. მისი ამოხსნისას თავად დარწმუნდებით, რომ მას გარკვეული სირთულეები გააჩნია თუნდაც იმის გამო, რომ ჩვენს მიერ მოგონილ, ასე ვთქვათ, ქართულ ვარიანტში, სიტყვები შეიძლება ჩაიწეროს მარჯვნიდან მარცხნივ და ქვემოდან, ზემოთ, რაც არცერთ სხვა კროსვორდში არ გვხვდება. ეს კი იმიტომ გავაკეთეთ, რომ, როგორც ადრეც ვთქვით, ქართული სიტყვები სულ ხმოვნებზე (ა,ი,ე,ო,უ) ბოლოვდება და კროსვორდის შედგენას ძალზედ აძნელებს.

ერთი სიტყვით, ასეთი კროსვორდიც არსებობს და მისი ამოხსნაც უნდა იცოდეთ!








დღევანდელი კროსვორდები კი ექნებათ ბატონ შალვა და ქალბატონ თეონა ქართველიშვილებს, რომლებსაც ვუსურვებთ ბებიის დიდი წარმატება ერთი ათად გაემეორებინოთ!





*მასალა დამუშავებულია „ფანტაზიის“ რედაქციის მიერ*

# მე-20 საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი

285. **ჯორჯ მარშალი**
**Marshall, George** (1980-1959)
ამერიკელი გენერალი

აღიზარდა არმიის ელიტარული წრეების სამხედრო მოსამსახურეთა შორის. 1901 წლიდან შეუდგა სამხედრო სამსახურს და განელო დიდი კარიერა, რამაც საბოლოო ჯამში 1939 წელს აშშ-ს შეიარაღებული ძალების შტაბის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მიიყვანა. მეორე მსოფლიო ომის წლებში პრეზიდენტ რუზველტის მიერ გატარებული ყველა აქციასა და ოპერაციაში მიიღო აქტიური მონაწილეობა. 1947-49 წლებში იყო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი, 1950-51 წლებში კი აშშ-ს თავდაცვის მინისტრი. 1953 წელს მიეკუთვნა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში, რაც ე.წ. „მარშალის გეგმის“ შემუშავებას უკავშირდება.

286. **ანრი მატისი**
**Matisse, Henri** (1869-1954)
მხატვარი

ფოვიზმის, როგორც, ხელოვნების მიმდინარეობის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის, ანრი მატისის სახელი ხელოვნების სამყაროს 21 წლის ასაკში მოევლინა და მას შემდეგ XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მხატვრის სახელი დაიმკვიდრა. შემოქმედების პირველ პერიოდში განიცდიდა მხატვრობის ბევრი მიმართულების ზეგავლენას, მაგრამ საბოლოოდ მან შეიმუშავა ფერისა და ფორმის ისეთი გამომსახველობითი სტილი, რაც არცერთ სხვა ხელოვანს არ ახასიათებს. მატისი, აგრეთვე, ცნობილი, როგორც სკულპტორი, წიგნების ილუსტრატორი და თეატრალური მხატვარი, სადაც არანაკლებ წარმატებებს მიაღწია, როგორც ორიგინალურმა ხელოვანმა.

287. **იუჯინ მაკ კარტი**
**McCarthy, Eugene** (1916-)
აშშ პოლიტიკოსი

დაიბადა მინესოტაში, ადრეულ ახალგაზრდობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას; დიდ პოლიტიკაში მივიდა, როგორც დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი; 1948 წლიდან იყო აშშ-ს კონგრესის წევრი, 1958 წლიდან სენატის წევრიც გახდა. 60-იან წლებში აქტიურად ილაშქრებდა პრეზიდენტ ჯონსონის მიერ წარმოებული ომის წინააღმდეგ ვიეტნამში. 1968 და 1972 წლებში მონაწილეობდა საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატიული პარტიის სახელით.

288. **ჯონ მაკკორმაკი**
**McCormack, John** (1891--1980)
აშშ პოლიტიკოსი

აშშ-ს პოლიტიკური ცხოვრების თვალსაჩინო ფიგურა ჯონ მაკკორმაკი 1928 წლიდან 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა დემოკრატიულ პარტიას კონგრესში.

289. **მარგარეტ მიდი**
**Mead, Margaret** (1901-1978)
მეცნიერი-ეთნოგრაფი

ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მარგარეტ მიდის იმ გამოკვლევებს, რაც მან სამოასა და ახალი გვინეის აბორიგენთა შორის ცხოვრებისას განახორციელა. ამ მეცნიერმა თავისი გამოკვლევებით ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარა ეთნოფსიქოლოგიური სკოლის არსებობას.

290. **ენდრიუ მელონი**
**Mellon, Andrew** (1855-1937)
ფინანსისტი

ფრენსის ენდრიუ მელონს მთელი ცხოვრების მანძილზე აშშ-ს უმაღლესი ფინანსური პოსტები ეკავა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დაუღალავი შრომა XX საუკუნის დასწყისში, რაც მან ჯანმრთელობისა და სოციალური სფეროს განვითარების სრულყოფისათვის გაწია, მოგვიანებით კი მანვე შეიტანა დიდი წვლილი პირველი მსოფლიო ომის მძიმე შედეგების ლიკვიდირებაში.


ჟოან მირო


მილოშევიჩი


გოლდა მეიერი


ვიაჩესლავ მოლოტოვი

291. **გოლდა მეიერი**
**Meir, Golda** (1898-1978)
ისრაელის სახელმწიფო მოღვაწე

დაიბადა კიევში, მაგრამ ადრეულ ბავშვობაშივე მოუხდა აშშ-ში გადასახლება. 1921 წელს მეუღლესთან ერთად დასახლდა ისრაელში. ამ ქვეყანაში შესაბამისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნის შემდეგ გაგზავნილ იქნა აშშ-ში, როგორც დიპლომატიური წარმომადგენელი. მეიერი იყო პირველი ებრაელი, რომელიც 1949 წელს საბჭოთა კავშირში მიიღეს, როგორც ისრაელის ოფიციალური წარმომადგენელი. 1956 წლიდან ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრია, ამ პოსტზე იგი ცხრა წლის განმავლობაში მუშაობდა, 1969 წლიდან კი თავისი ქვეყნის პრემიერმინისტრის პოსტზე დაინიშნა და ქვეყანას უხელმძღვანელა 60-70-იანი წლების მძიმე ეკონომიკურ და სამხედრო ვითარებაში. განუზომელია გოლდა მეიერის ღვაწლი ისრაელის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და ამ ქვეყნის საერთაშორისო არენაზე სათანადო ადგილზე დამკვიდრების საქმეში.

292. **რობერტ მენზისი**
**Menzies, Robert** (1894-1978)
ავსტრალიელი პოლიტიკოსი

ავსტრალიის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა რობერტ გორდონ მენზისი 30-იანი წლების დასაწყისში სამხედრო კარიერით იყო დაკავებული. იმავე წლებში მისი თაოსნობით შეიქმნა ერთიანი ავსტრალიის პარტია, რომელმაც დიდი წარმატებები მოიპოვა პოლიტიკურ არენაზე და რობერტ მენზისი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩაუდგა სათავეში ავსტრალიის კავშირის მთავრობას. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის პოსტზე რ. გ. მენზისმა 1966 წლამდე იმოღვაწა.

293. **იეჰუდი მენუჰინი**
**Menuhin,Yehudi**
(1916-1999)
მუსიკოსი, დირიჟორი


ანრი მატისი

დაიბადა ნიუ-იორკში; ადრეული ბავშვობიდანვე ვირტუოზულად დაეუფლა ვიოლინოს და უკვე შვიდი წლის ასაკში შეძლო სან ფრანცისკოს ორკესტრთან ერთად სოლო კონცერტის ჩატარება. 10 წლის ასაკში გამართა პირველი საგასტროლო ტურნე ევროპაში. მოგვიანებით კი სადირიჟორო ხელოვნებასაც დაეუფლა და საკუთარი სტილიც კი შექმნა მუსიკაში. იეჰუდი მენუჰინი საკმაოდ წინააღმდეგობრივი პიროვნება იყო და ეს განსაკუთრებით ვლინდებოდა მის პოლიტიკურ შეხედულებებში.

294. **ჰენრი მილერი**
**Miller, Henry** (1891-1980)
აშშ მწერალი

ლიტერატურის ისტორიაში პირველ რიგში შემორჩა, როგორც სკანდალური შინაარსის ინტიმურ-ეროტიული რომანების ავტორი, სადაც სრულიად გაშიშვლებულია სასიყვარულო ურთიერთობათა ყველა ნიუანსი. იგი ნიუ-იორკში დაიბადა, 1930 წელს კი პარიზში გადასახლდა და სწორედ იქ შეუდგა აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას. წლების განმავლობაში მისი რომანები გამოსაცემად და გასაყიდად აკრძალული იყო აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე, თუმცა 1949 წელს იგი დაბრუნდა სამშობლოში და სიკვდილამდე კალიფორნიაში ცხოვრობდა.

295. **სლობედან მილოშევიჩი**
**Milosevic, Slobedan** (1941-)
იუგოსლავიის სახელმწიფო მოღვაწე

18 წლის ასაკში შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება და ერთხანს მოღვაწეობდა, როგორც ბიზნესმენი, 80-იანი წლებიდან კი უმაღლეს პარტიულ პოსტებზე დაინიშნა. სოციალისტური ბანაკის რღვევის წლებში მილოშევიჩი ცდილობდა ერთიანი იუგოსლავიის შენარჩუნებას, მაგრამ ეს ვერ შეძლო და სისხლისმღვრელ ეთნოკონფლიქტებში გადაზრდილმა წინააღმდეგობებმა მას საერთაშორისო მნიშვნელობის დამნაშავის სტატუსი დაუმკვიდრა.

296. **ჟოან მირო**
**Miro, Joan** (1893-1983)
ესპანელი მხატვარი

სიურრეალიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი. საწყისი განათლება ბარსელონას სამხატვრო აკადემიაში მიიღო. 20-იანი წლების შუა ხანებში გადასახლდა პარიზში, სადაც დაუახლოვდა იმ ეპოქის ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეებს ხელოვნების სფეროში და სწორედ ამ ხანებში ჩამოუყალიბდა საკუთარი, არატრადიციული შეხედულებები ფერწერის შესახებ. მისი შემოქმედება იყო ერთგვარი შერწყმა სიურრეალიზმისა, კუბიზმისა და პრიმიტივიზმისა, რითაც მან უდიდესი ზეგავლენა მოახდინა XX საუკუნის მთელ სახვით ხელოვნებაზე.

297. **სისი მობუტუ**
**Mobutu, Sese** (1930-)
ზაირელი პოლიტიკოსი

დაწყებითი განათლება მისიონერთა სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლა განაგრძო ბრიუსელის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. 60-იან წლებში ლუმუმბასა და კასავუბას კონფლიქტის შემდეგ ხელისუფლების სათავეში სწორედ მობუტუ მოვიდა. 1965-98 წლებში მან ზაირის, იგივე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელი პოსტი შეინარჩუნა.

298. **ვიაჩესლავ მოლოტოვი** (1890-1986)
საბჭოელი პოლიტიკოსი

კომუნისტური პარტიის რიგებში 1921 წელს შევიდა და მალე სტალინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი გახდა. 1939-49 წლებში იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი; ხელისუფლებაში ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ მოლოტოვი აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდა.

19

# იტალიური კროსვორდი

დაქანებული ადგილი (7)
კედლის კარადა (7)
სინდისი(ძვ.) (4)
ძვ.ინდოელი პოეტი (8)
მიდამო (3)
თხრილი (7)
აშშ კოსმ. ცენტრი (4)
რუმინ. ფული (3)
ინდოეთის მდინარე (4)
გაყურსული (8)
შემწვარი წიწილა (6)
იტალიის ვულკანი (4)
(....)-გრეკო (2)
დიდი დიეგო (8)
ფაფა (5)
სამიზნის ცენტრი (6)
გვამი (4)
პარიზის მდინარე (4)
ბრძოლა (3)
ჯიუტი (4)
ესპან. ტენორი (8)
(....) ტუსკია (4)
ფრანგი კინომსახიობი ქალი (6)
ფართობის საზომი (3)
ლურჯი სალებავი (6)
შუა აზიური ნარკოტიკი(4)
ტურნირი (10)
ისლამური რესპუბლიკა (5)
რუსეთის ქალაქი (5)
თბილისის რაიონი (5)
სამეფო გუნდი (5)
სურნელება (7)
ჩვენი ქალაქი (4)
ჩოლოყაშვილი (6)
ძვირფასი ქვა (7)

მთლად სველი (9)
ფრანგი კინომსახიობი მამაკაცი (4)
ნაპოლეონის მარშალი (3)
ესტონეთის დედაქალაქი (6)
ვუალი (7)
კარავში ცხოვრობს (4)
როგორი მომსახურებაა ახლა (7)
ჩაპაევის თანამებრძოლი (4)
ჩანთოსანი (7)
შალაშინი (5)
შუა სს სპარსელი პოეტი (5)
მოპასანის სახელი (2)
ჩვენი ძვ. რეჟისორი ივანე (10)
რუსეთის მდინარე (3)
ძვ.ასურეთის დედაქალაქი (7)
ნიჩაბი (4)
არა (4)
სვლაგეზი (5)
....მართალი (4)
სასმელი (3)
ანჟელიკას როლში (6)
სკანდინ. თქმულება (4)
პატარა (5)
პერსევსის დედა (5)
ცდის გარეშე (7)
კოლუმბის ხომალდი (10)
(......) ფეროუ (3)
საყოფაცხ. ნივთი (6)
საბერძნ. მხარე (5)
ყაზახი პოეტი (4)
მოლდავეთის ფეხბ. გუნდი (6)
ჭოტი (2)
ძვ.ბერძენთა კრება(5)
მითითების სიტყვა (2)
„გაზაფხული შემოსულა (......)“ (3)
ჩვენი მეფე-პოეტი (6)
ძვ.ალმოსავლელი (8)



# ეს უცნაური ესპანელები

*ნაწყვეტები დრიუ ლონეის წიგნიდან*

### დანაშაული და სასჯელი

წესებსა და კანონებს ესპანელები ნაკლებად სწყალობენ, რადგან ეს საინტერესო არ არის, თუმცა ისინი იმდენად თავისუფლების მოყვარენი არიან, რომ იმის გაფიქრებაც კი, რომ, შესაძლოა, პატიმრობაში აღმოჩნდნენ, აიძულებთ მათ, რომ პოლიციასთან დელიკატურად მოიქცნენ. კანონს კი ესპანეთში რამოდენიმე უწყება იცავს:

„**გუარდია სივილ**“ (სამოქალაქო გვარდია) - დადის მწვანე, ავოკადოს ფერის უნიფორმაში. ეს



კარტახენა. ხმელთაშუა ზღვის სანაპირო

გვარდია იცავს საზღვრებს და პატრულირებს სოფლებში, თვალს ადევნებს მთავარ და მეორეხარისხოვან გზებს, სადაც „ლენდროვერებითაც“ დადიან და სანჩო-პანსასეული სახედრებითაც. ზოგჯერ ფეხითაც დაიარებენ და ისეთი მკაცრი სახით იმზირებიან, რომ მათს შემხედვარეს ტანში ჟრუანტელი დაგივლით.

„**პოლისია ნასიონალ**“ - ატარებს კაკლისფერ უნიფორმას; ევალება იმ ქალაქების მოსახლეობაში წესრიგის დაცვა, სადაც რაოდენობა 20 000-ს აჭარბებს. ისინიც საკმაოდ მკაცრი იერისანი არიან და განუწყვეტლივ უსტვენენ ზეთისხილის ტოტებისაგან დამზადებული სასტვენებით.

„**კუერპო სუპერიორ**“ (უზენაესი კორპუსი) - თვალში არასოდეს მოგხვდებათ, რადგან მისი თანამშრომლები სამოქალაქო ტანსაცმლით დაიარებიან. ისინი „პოლისია ნასიონალში“ შედიან და რაღაც სისხლის სამართლის სამძებროს ფუნქციების მაგვარი რამ აკისრიათ.

„**გრუპო ესპანიოლ დე ოპერასიონეს**“ - სულ ჩრდილში დგას და სამზეოზე გამოდის მხოლოდ ტერორიზმთან ბრძოლისას, თვითმფრინავების გატაცებისას და ა.შ.

„**პოლისია მუნისიპალ**“ - გამოწყობილია ღამესავით მუქ-ლურჯ უნიფორმასა და ტაქსიტების მაგვარ ქუდებში და ძირითადად იმითაა დაკავებული, რომ დადის და წესრიგის დარღვევის ხილვისას მხრებს იჩეჩავს იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 5-იდან 19 999-მდე აღწევს. იმის გამო, რომ მათ ხელფასს ქალაქის მერი უხდის, რომელსაც ხშირად არ ჰყოფნის საამისო თანხები, ეს პოლიციელები სრულიად უდრტვინველად აჯარიმებენ ყველას უმცირესი დარღვევისათვის... რა თქმა უნდა, მათ შეიძლება გზაც ჰკითხო უახლოეს ბენზინგასამართ სადგურამდე, რაც მათ არ ეცოდინებათ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ დროს ისინი სრულიად აუღელვებლად გამოგართმევენ სიგარეტის კოლოფს და ჯიბეში ჩაიდებენ...

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ესპანური კანონების დარღვევა ძალზედ ადვილია, რადგან, ისინი, როგორც ჩანს, დიდი სიჩქარით იწერებო-და და მავანთ ინტერესებსაც კარგა გვარიანად ითვალისწინებდა.

### საპატიმრო

პოლოციას აქვს უფლება დაგაკავოთ 72 საათის განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ მას არ მოეწონა თქვენი საქციელი. ამ დროის ამოწურვის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ კანონს და გაასაჩივროთ სამართალდამცავთა ქმედება.

ესპანეთის საპყრობილეები არც ისე საშინელ შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორც მოსალოდნელი იყო მისი წარმოდგენა. ასე მაგალითად, ერთი ინგლისელი მაწანწალა, რომელიც კოსტა-დელსოლში რაღაც მაქინაციების გამო დააპატიმრეს და რომელიც შესანიშნავად იცნობდა დიდი ბრიტანეთის საპატიმროებს, ესპანური ციხიდან გამოსვლის შემდეგ დაუღალავად აქებდა იქ არსებულ სიტუაციას. მისი სიტყვების თანახმად პატიმრებს იქ დღისით სულ რაღაც ორიდე საათით ამყოფებენ საკანში, სადაც მხოლოდ ორი ადამიანი იხდის სასჯელს, არის ხელსაბანი და ტუალეტი; სამიდან ხუთ საკანში კი არის ტელევიზორი, რაც მისმა ძველმა მობინადრეებმა დატოვეს.

საპატიმროების ხელმძღვანელობა ყოველნაირად უწყობს ხელს იმას, რომ პატიმრებმა თავი ადამიანად იგრძნონ. მათ აქვთ უფლება კვირაში ერთხელ მეუღლესთან ერთად განმარტოვდნენ ცალკე ოთახში. ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაურეკონ ოჯახის წევრებს ან ადვოკატს და არანაირი სპეციალური სამოსი არ აცვიათ... მათ პატივისცემითა და კორექტულობით ეპყრობიან, ციხის მცველები ხშირად ეთამაშებიან სამაგიდო თამაშებს და ცდილობენ მათთან მეგობრული ურთიერთობა იქონიონ. აქ მოწყობილია სპეციალური ოთახები, სადაც კომპიუტერების საშუალებით პატიმრები ცოდნის დონეს იმაღლებენ. მათ უფლება ეძლევათ კვირაში დაახლოებით სამოცდაათი დოლარი იქონიონ სხვადასხვა პროდუქტის შესაძენად, გარდა, რა თქმა უნდა, ალკოჰოლური სასმელებისა.

შხაპის მიღება და სამოსის გარეცხვა შეიძლება ნებისმიერ დროს, საპონს და სარეცხ ფხვნილებს არიგებენ უფასოდ; ასე რომ, ჰიგიენა სათანადო დონეზე დგას. საკვები მაღალკალორიული და ისიცაა გათვალისწინებული, თუ რა რწმენის მიმდევარია ესა თუ ის პატიმარი. სამედიცინო მომსახურებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია - ის არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი მოქალაქეთა მკურნალობისაგან.

### საროსკოპოები

საროსკოპს არსებობა ესპანეთში ოფიციალურად აკრძალულია, მაგრამ ისინი, რა თქმა უნდა არსებობებენ და საკმაო შემოსავალიც მოაქვთ.

საროსკიპოს შენიღბვა ძირითადად ხდება საუნის ან მასაჟის კაბინეტის სახით და თუ ვინმე წინააღმდეგია ამის არსებობისა და სათანადო ინსტანციაში იჩივლებს, პოლიცია აუცილებლად მოვა და შეამოწმებს ამგვარ დაწესებულებას და დაადგენს, რომ იქ უფრო მეტი საწოლია, ვიდრე ეს ბარისთვის ან დისკოტეკისთვისაა საჭირო და ამ საწოლების მოშორებას ბრძანებს.

მეორე დღეს კი გაიმართება დიდი შოუ: საწოლებს მთელი ქალაქის დასანახად ჩატვირთავენ საბარგო მანქანაში, ეს მანქანა გარს შემოუვლის ქალაქს და საღამოს ისევ იმ დაწესებულებასთან დაბრუნდება ტვირთის დასაბრუნებლად...

რას იზამ! - ასეთია ბიზნესის კანონები!

ერთი მაროკოელი ქალი, რომელიც ამ ბიზნესში გამდიდრდა, ყვებოდა, რომ ქალებს აქ დაახლოებით შვიდ წუთს აკავებენ, კლიენტთა საშუალო ასაკი კი 20-22 წელია (ძირითადად სამხედროები). საშუალო ასაკის მამაკაცები იშვიათად დადიან აქ, სამოც წელს გადაცილებულნი კი დიდ პრობლემებს ქმნიან, რადგან შესაბამისი პროცედურის დაწყებამდე დიდხანს ლაპარაკობენ, შემდეგ დიდხანს თავისუფლდებიან სამოსისგან და ამით ამ დაწესებულების შრომისნაყოფიერაბას დაბლა სცემენ...

ხოლო მათთვის, ვისაც მხოლოდ ჭვრეტაღა შეუძლია ამგვარი ქმედებებისა, არსებობს სპეციალური პორნობარები და საკაბელო ტელევიზიის გადაცემები... დაჯექი და უყურე, სანამ მოგწყინდება!

## ESTUDIO ESPAÑOL

### ესპანური ენის მეორე გაკვეთილის ტექსტი და ლექსიკონი

**Pablo lee una novela en la sala.**
**Ana sale de la sala con Lola.**
**Alberto entra en casa de Pedro.**
**Roberto escribe articulos dificiles.**
**Elisa compra lapices azules.**
**Avelino lee la revista de Esteban.**
**Lina compra un ramo de flores blancas.**
**Mercedes compra un libro.**
**Lola lee el libro de Mercedes.**
**Pepe escribe una carta.**
**Adela lee la carta de Pepe.**
**Esteban escribe una carta con el lapiz azul de Marta.**
**Ana bebe un vaso de leche.**
**Avelino toma una taza de cafe.**
**Un muchacho come un trozo de pan blanco.**
**El padre de Rosa habla con Enrique.**
**La madre de Conrado vive en Madrid.**

| | |
|---|---|
| **sala** *f* - დარბაზი | **libro** *m* - წიგნი |
| **sale** - გამოდის | **carta** *f* - წერილი |
| **entra** - შედის | **xaso** *m* - ჭიქა |
| **casa** *f* - სახლი | **leche** *f* - რძე |
| **escribe** - წერს | **toma** - (აქ) სვამს |
| **articulo** *m* - სტატია | **taza** *f* - ფინჯანი |
| **dificil** - ძნელი | **muchacho** *m* - ბიჭი |
| **compra** - ყიდულობს | **muchacha** *f* - გოგო |
| **lapiz** *m* - ფანქარი | **come** - ჭამს |
| **azul** - ლურჯი | **trozo** *m* - ნატეხი |
| **revista** *f* - ჟურნალი | **pan** *m* - პური |
| **ramo** *m* - თაიგული | **padre** - მამა |
| **flor** *f* - ყვავილი | **madre** *f* - დედა |
| **blanco** - თეთრი | **vive** - ცხოვრობს |

## MURCIA მურსია




მურსია სამხრეთ-აღმოსავლეთ ესპანეთში, ვალენსიასა და ანდალუზიას შორის მდებარეობს. უძველეს დროში აქ კართაგენელებისა და რომალების კოლონიები იყო განლაგებული, აქვე მოგვიანებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუსლიმანები ბატონობდნენ და მურსია, ალბასეტესთან ერთად, მავრების სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა.

**ტერიტორია** - 11 313 კვ.კმ.

**მოსახლეობა** - 1 050 000

**მურსია** (319 000) - რეგიონის ადმინსტრაციული ცენტრი. მდებარეობის ზღვის სანაპიროდან მოშორებით. ითვლება ესპანეთის ერთ-ერთ საუნივერსიტეტო ქალაქად.

**კარტახენა** - დაარსებულია კართაგენელების მიერ 221 წელს (ეს სახელშიც ჩანს) და ამ რეგიონის მთავარი პორტი გახლავთ.

**კოსტა კალიდა** - ხმელთაშუაზღვისპირა კურორტი. მთელი ევროპის ტურისტული მექა.

აშშ-ს შტატების შესახებ ჩვენ მცირე მოცულეობის მასალები გამოვაქვეყნეთ „ფანტაზიის“ 1999-2000 წლის ნომრებში. ვითვალისწინებთ რა ჩვენი მოსახლეობის დიდ ინტერესს ამ ქვეყნისადმი, ახლა შევეცდებით უფრო ვრცლად ვისუბროთ ამ ქვეყნის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შესახებ. საამისოდ კი ჩვენ ძირითადად თანამედროვე ინგლისურენოვანი საცნობარო ლიტერატურით და ინტერნეტში არსებული მონაცემებით ვხელმძღვანელობთ.




# ისტორიული ექსკურსი

აიდაჰოს ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების თანახმად დადგენილია, რომ ადამიანი ამ ტერიტორიაზე დაახლოებით 12 000 წლის წინ გამოჩნდა. ესენი იყვნენ დიდ ცხოველებზე მონადირე პირველყოფილი საზოგადოების წევრები.

მოგვიანებით ეს ადგილები აითვისეს მომთაბარე წესით მცხოვრებმა ადამიანებმა, რომლებიც აიდაჰოს არეალს ზაფხულის საძოვრებად იყენებდნენ.

დაახლოებით XVI საუკუნეში ახლანდელ აიდაჰოს მიწებს დაეპატრონნენ თანამედროვე ნევადის და იუტას შტატებიდან გადმოსული **შოშონეს, ბლექფუტის** და **ქროუს** სახელით ცნობილი ადგილობრივი ინდიელი ტომები. მათი ძირითადი სამოსახლო სამხრეთ აიდაჰოს მდინარისპირა ველები იყო, სადაც ისინი ძირითადად მონადირეობით და თევზჭერით ირჩენდნენ თავს.

ევროპელთა გამოჩენის შემდეგ, როცა ცხენი, როგორც სატრანსპორტ-გამწევი ძალა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაში დამკვიდრდა, აიდაჰოს მობინადრეთა ცხოვრებაც დიამეტრალურად შეიცვალა, რადგან მათ უკვე შეეძლოთ შორ მანძილებზე წასვლა და ახლანდელი ვაშინგტონის, მონტანას და ვაიმონგის შტატებში სარჩო-საბადებელის მოპოვება.

## პირველაღმომჩენები

აიდაჰო ერთ-ერთი უკანასკნელი იყო აშშ-ს შტატებს შორის, რომლის ათვისებაც თეთრკანიანმა ადამიანებმა შეძლეს. ცნობილია თარიღიც, 1805 წელი, როცა საგანგებო მისიით აღჭურვილი მერივეტერ ლუისი და უილიამ კლარკი ამ რეგიონს პირველაღმომჩენებად მოევლინენ. ისინი საწყალოსნო გზებს ეძებდნენ წყნარი ოკეანის მიმართულებით და სწორედ აიდაჰოში მოუხდათ მარშრუტის შეწყვეტა. მათს კვალს მალე ბეწვეულით მოვაჭრენი დაადგნენ და 1809-11 წლებში გზების გაკვალვა მოახერხეს აიდაჰო-ორეგონის დამაკავშირებელი მიმართულებით.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან კი აიდაჰოს ტერიტორია ინტენსიური ათვისების ობიექტად იქცა, სადაც კვლავაც ძვრიფასი ბეწვეულით დაინტერესებული მოვაჭრენი ჩადიოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან ე.წ. „გაცვლის წესით“ ამყარებდნენ ურთიერთობას.

1834 წელს ბოსტონელმა ბიზნესმენმა ნათანაელ ვეისმა აიდაჰოში **პირველი ფორტი** ააგო მდინარეეების სნეიკისა და ბოისეს ხეობაში, რაც შემდგომ მთელი რეგიონის ცენტრად იქცა.

# აიდაჰო

**აიდაჰო** (**Idaho**) მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ეს რეგიონი დამოუკიდებელი სტატუსით **1890 წელს** შევიდა აშშ-ს შემადგენლობაში, როგორც **რიგით 43-ე შტატი**.

სიტყვა „აიდაჰო“, გავრცელებული აზრის თანახმად, ადგილობრივ ინდიელთა ენიდან მომდინარეობს და „მთის ძვირფას ქვას“ ანუ „თვალი პატიოსანს“ უნდა ნიშნავდეს, მის დამკვიდრებას კი ტოპონიმიკურ-ადმინისტრაციულ ცნობიერებაში პოლიტიკოს ჯორჯ მ. უილინგის სახელს უკავშირებენ. გარდა ამისა, აიდაჰოს ხალხი **„კარტოფილის შტატადაც“** მოიხსენიებს, ბოსტნეულის ამ სახეობის დიდი მოსავლიანობისა გამო; მას სხვა არაოფიციალური სახელიც გააჩნია და „ღატაკ შტატსაც“ უწოდებენ.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ამ რეგიონის ჩრდილოეთი ნაწილი პირველ რიგში თავისი მთაგორიანი რელიეფით გამოირჩევა, სადაც თოვლით დაფარული მრავალი მწვერვალი, დიდ სიმაღლეზე განფენილი ბევრი ზეგანი და თვალწარმტაცი სანახაობის მქონე ხეობებია განლაგებული. სამხრეთი ნაწილი კი უფრო დაბალი რელიეფით და მდინარეების პირას გაშლილი ველებით ხასიათდება.



ჩრდილოეთი აიდაჰო. კურდ ალენის ტბა.

**აიდაჰო** '/audə, hǝu)/

**ფართობი** - 216 456 კვ.კმ. (83,574 კვ.მილი) - აშშ-ს სიდიდით მე-14 შტატი.

**მაქსიმალური სიგრძე** - 777 კმ

**მაქსიმალური სიგანე** - 496 კმ

**მოსახლეობა** - 1 163 000 (1995 წ).

**ადმინისტრაციული ცენტრი** - ბოისე

**ბოისე** - ეს არის აიდაჰოს შტატის ერთადერთი ქალაქი, რომლის მოსახლეობა 100 000 აჭარბებს (1995 წ - 146 000).

აქ არსებულ ოქროსმომპოვებელთა მდინარისპირა ფორტის ადგილზე 1863 წელს ფრანგმა მონადირეებმა დაარსეს ქალაქი, რასაც ფრანგულად **Les Bois** („ტყეები“) უწოდეს.

შტატის დაარსების დღიდანვე ბოისე აიდაჰოს ადმინისტრაციული ცენტრი გახდა.














*აშშ-ს ყველა შტატს საკუთარი სიმბოლიკა გააჩნია დროშის, გერბის, დევიზის, ფრინველის, ყვავილის, ხის და სხვა ცნებების სახით.*
*აიდაჰოს სიმბოლიკაში შემდეგი ელემენტებია აღსანიშნავი:*

**დროშა** - *ლურჯ ფონში ჩახატული მთაგორიანი პანორამა.*

**გერბი** - *წარწერით* ***(Great Seal of The State Idaho);***

**ფრინველი** - *შაშვისებრთა ოჯახის მთის ლურჯი ჩიტი* ***(Mountain Bluebird);***

**ყვავილი** - ***Syringa*** *იასამნისებრი ყვავილი*

**ხე** - *დასავლური თეთრი ფიჭვი* ***(Western White Pine).***

**დევიზი** - *ლათ.* ***- Esto Perpetua;*** *(დაე, მუდამ იყოს!)*

- თანამედროვე აიდაჰო 44 ოლქადაა დაყოფილი.

- მოსახლეობის რაოდენობის მხრივ აშშ-ში 42-ე ადგილი უკავია. მთელი მოსახლეობის 94,5 %-ს თეთრკანიანები შეადგენენ, 1,5 % - ადგილობრივი ამერიკელები, დანარჩენნი კი აზიიდან და წყნარი ოკეანის კუნძულებიდან მისულნი არიან.

- სარწმუნოებრივი თვალსაზრისით მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ მორმონები, შემდეგ არიან კათოლიკეები და სხვა რელიგიების წარმომადგენელნი.

- ბოისეს გარდა, აიდაჰოში არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქი: პოკატელო (50 ათასი), აიდაჰო ფოლსი (44 ათასი), ტვინ ფოლსი (28 ათასი), ნამპა (28 ათასი), ლევისტონი (28 ათასი).

...ჩეპმენმა ორიოდე წამში შეამზადა პისტოლეტი სასროლად, მაგრამ სასხლეტზე თითის დაჭერამდე მკვლელი წამით შეყოვნდა. ლენონმა მას გაოცებით შეხედა, გაისმა სროლის ხმა და მსხვერპლს გაოცება სახეზე შერჩა.

...მარკ დევიდ ჩეპმენმა ეს მკვლელობა ასე გაამართლა: „**ლენონი, რომელიც მე ოდესღაც გავაღმერთე, აღარ არსებობდა**, იგი ჩვეულებრივი ბიზნესმენი გახდა, რომელიც ლენონილეგენდას სირცხვილად იქცა!“

...როცა ეს ამბავი ლენონის მასწავლებელმა გაზეთში ამოიკითხა, ცოლს გადახედა და მშვიდად უთხრა - „**ამ საძაგელმა ბიჭუნამ** ბოლოსდაბოლოს მიიღო, რაც ეკუთვნოდა!“

* * *

ის მართლაც თავხედი ბიჭი იყო: თამამი, აგრესიული, უზრდელი და მოურიდებელი. გაკვეთილების მსვლელობისას იგი თანაკლასელებს პორნოსურათებს აჩვენებდა, შესვენებებზე სიგარეტს ეწეოდა და გოგონებს კაბებს უწევდა; მას ორიანის მეტი ნიშანი, მგონი არც ღირსებია...

ლენონის მშობლები მომხიბლავი და დაუდეგარი ადამიანები იყვნენ. ქორწილის დღეს მისმა მომავალმა დედამ ნახევარი საათით დააგვიან ჯვრისწერაზე, რადგან მეგობრებთან ერთად კინოში იჯდა... უკვე მამამ კი ოთხი წლის შემდეგ მიატოვა ოჯახი და ცოლს დაუბარა - „ოდესმე დავბრუნდები, მანამდე კი გაერთე, ვისთანაც გინდა!“. ჯულიაც ერთობოდა და ამ გართობა-ჯგართობაში ერთ პატარა კაცს გაჰყვა ცოლად.

...მცირეწლოვანი ჯონი მამიდა მიმიმ წაიყვანა... ის კი ქალი კი არა, ნამდვილი ქაჯი იყო - ქედმაღალი და აშარი!...

თუმცა, კაცმა რომ თქვას, მიმი თავის აღსაზრდელს ყურადღებას არ აკლებდა, მცირეოდენ ალერსსაც იმეტებდა მისთვის, მაგრამ ჯონის კაცად ქცევაში მამიდამ მალე შეიტანა ეჭვი, რადგან ამ ბავშვს არაფრის სწავლა არ სურდა და მის მომავალში ან მაწანწალა ხულიგანის ან ღარიბ-ღატაკი მუშის კონტურები ილანდებოდა. ამასობაში საიდანღაც მისი ნამდვილი დედა, ჯულიაც დაბრუნდა და ბიჭი მთლად წავიდა ხელიდან - იგი მთელი ლივერპულის თავზეხელაღებული ყმაწვილების ლიდერიც კი გახდა...

ესეც ხომ საქმეა!...

ერთხელ, ცხრამეტი წლის ჯონს პოლიციელი ქალის მანქანა დაეჯახა. ალბათ, მას შემდეგ შესძულდა ამ ყმაწვილს ყველა ის, ვისაც წესრიგის დაცვა ევალებოდა. ამავე დღიდან ქალებისადმიც უნდობლობა გაუჩნდა... იგი სულ სხვა ქალებზე ოცნებობდა - თავშეკავებულ, დარბაისელ და მხიარულ მდედრებს წარმოიდგენდა ხოლმე ოცნებაში და უცებ ეს პოლიციელი ქალი - თავისი უხეში მანერებით და თვალთმაქცური მზრუნველობით!...

ერთი სიტყვით, მცირეოდენ ხანში საპატიმროს ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოს არ უნდა ასცდენოდა ჯონ ლენონის ხვედრი!

* * *

ჯონ ლენონი, პოლ მაკარტნი და ჯორჯ ჰარისონი ერთ უბანში ცხოვრობდნენ, ერთად ერთობოდნენ და ერთად ჩხუბობდნენ, საღამოობით კი გიტარებს აჟღარუნებდნენ, რადგან მუსიკისა ჯერ არაფერი გაეგებოდათ და გიტარასთან დაახლოება მათთვის გაუცნობიერებლად საკუთარი თავისაგან გაქცევას ნიშნავდა.

ბევრს აღარ გავაგრძელებთ, რადგან ყველამ იცის, რომ მალე ეს ყმაწვილები მთელი მსოფლიოს კერპებად იქცნენ!

...მათ მიანიჭებენ ბრიტანეთის იმპერიის უმაღლეს ორდენებს, რის გამოც ამ ორდენების ათეულობით მფლობელ უკან დაუბრუნებს სახელმწიფოს კუთვნილ ჯილდოს...

...ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი იძულებული გახდება გადადოს ვიზიტი აშშ-ში, რადგან იქ იმ დროს გასტროლებს „ბიტლები“ მართავდნენ და სახელმწიფო მოხელის ჩასვლა შეუმჩნეველი დარჩება...

როგორ მოხდა ეს? - არავინ იცის, მათ შორის არც თავად „ბიტლებმა“.

ეს ბიჭები საოცრად ავსებდნენ ერთმანეთს და ამასთანავე გააჩნდათ ის მაგია, რაც მილიონობით ადამიანს გონებას უბნელებდა და მათ შორის დევიდ ჩეპმენსაც, რომელსაც ატლანტის სკოლაში





**1980 წლის 8 დეკემბერს მარკ დევიდ ჩეპმენი სენტრალ-პარკთან მდებარე ექვსსართულიან სახლს მიუახლოვდა... იგი აქ ორ საათს დაწანწალებდა და, როგორც იქნა, დადგა მისი დრო!... სადარბაზოში ჯონ ლენონი გამოჩნდა... ჩემპმენმა 45 კალიბრის პისტოლეტი ამოიღო და ლენონისკენ გაემართა!...**

# ჯონ ლენონი
# იოკო ონო



სწავლისას გულზედ ეკეთა მედალიონი წარწერით - „**მე ჯონ ლენონი ვარ**!“

მაგრამ ცხადი იყო, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა, რადგან კონცერტები რაღაც კონვეირული წესით ტარდებოდა, ეს იქცა რაღაც ფულის საჭრელ ფაბრიკად, სადაც ამოსუნთქვის უფლება არავის ეძლეოდა.

და მალე ყველამ დაინახა, რომ ლენონი სხვა კაცად გარდაიქმნა: მას ჰქონდა ყველაფერი - სახლები აგარაკები, მანქანები, იგი იყო მულტიმილიონერი, ჰყავდა მშვენიერი ცოლი და პატარა ბიჭუნა ჯულიანი, მაგრამ ამ 23 წლის ახალგაზრდა კაცს რაღაც ნაადრევი სიბერე დაეტყო; ხდებოდა, რომ რამოდენიმე დღის განმავლობაში ჩაკეტილი იყო იგი სადღაც მოშორებულ ვილაში და მისი ხმა არავის ესმოდა. იგი „ბიტლებსაც“ კი უხეშად ეპყრობოდა და რაღაც განსაკუთრებულობის მანია დასჩემდა. არავინ არაფრად მიაჩნდა, ყველას მძულვარებით უმზერდა და ეს, როგორც მისი ჩანაწერებიდან ირკვევა, ხდებოდა იმიტომ, რომ მას აღარ სურდა საკუთარი ხელოვნების გაყიდვა... არადა, მთელი ის ყოფა და ცხოვრება, რაშიც იგი იყო ჩაფლული, მართლაც რომ დიდ, გაუთავებელ და გაუსაძლის ვაჭრობას ჰგავდა...

სხვა არაფერს!

ერთხელ ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა - „ბიტლებს ახალგაზრდობა წყალში ხსნადი ყავასავით **გამოეცალათ ხელიდანო**!“ და ეს დიდ სიმართლეს შეიცავდა და პირველ რიგში ჯონ ლენონს ეხებოდა. მას რაღაც სიგიჟის ნიშნებიც დაეტყო, რასაც თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ სიდიადით იესო ქრისტესაც კი გაუტოლა თავი და... ეს იყო პირველი იმედგაცრუება, რაც დევიდ ჩეპმენს ჩაესახა გულში, რომელმაც ლენონის სურათი მკერდიდან ჩამოიხსნა და სადღაც ძველ ზანდუკში მიაგდო...

რაც შეეხება მის **მეუღლეს – სინტიას**.

ეს გოგონა საკმაოდ კეთილშობილი გვარიდან წარმოდგებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ ლენონისაგან შვილს ელოდა. ეს არ ყოფილა ტრაგედია სინტიას მშობლებისათვის, მაგრამ დროში გაწელილ უბედურებად იქცა ჯონისთვის, რომელიც ხედავდა და გრძნობდა, რომ ისიც და მისი მეგობრებიც, რომლებიც 100-ოთახიან ვილებში ნებივრობდნენ თანდათან გაზულუქებულ, თვითკმაყოფილ მეოჯახეებს ემსგავსებოდნენ, მას კი მარად სურდა საკუთარ თავად დარჩენილიყო... ყოფილიყო ისეთი, როგორიც პოლიციელი ქალის ავტომობილის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა ერთდროს...

და სწორედ მაშინ მის ცხოვრებაში **გამოჩნდა იოკო ონო**!

მას - პლებეის - თითქმის არისტოკრატი იაპონელი ქალი დაუპირისპირდა, რომლის მამა ერთ-ერთი უდიდესი ბანკირი იყო იაპონიაში.

ჯონს არ უყვარდა კითხვა, იოკო არ შორდებოდა წიგნებს; იოკოს ამერიკის ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, მას უკვე ორჯერ მოესწრო გათხოვება და სახლში შვიდი წლის გოგონა ელოდებოდა... ხასიათითაც დიამეტრალურად განსხვავდებოდა იმ ქალისაგან, როგორსაც ოცნებაში ხატავდა ჯონი - მორჩილს, დამჯერს, უწყინარს.

იოკო, მიუხედავად თავისი ეროვნული ტრადიციებისა, ერთი ხელის მოსმით უარყოფდა ყოველგვარ კრძალვას, რიდს, დამჯერობას... იგი ისეთივე თამამი გახლდათ, როგორიც ჯონი და... აღმოჩნდა, რომ ეს იყო ის **იდეალური წყვილი**, რომლის ნაწილები ბუნებამ ერთმანეთისათვის გააჩინა.

ლენონს ყოველთვის „მაგარ ბიჭად“ მიაჩნდა თავი, მაგრამ ამჯერად როლები შეიცვლა - მან კი არ დაიმორჩილა იოკო ონოს არსება, არამედ ქალმა დაიპყრო ჯონი.

...მათ ერთმანეთი იოკოს გამოფენაზე გაიცნეს. აქ გამოფენილი იყო ამ უბრალო ლივერპულელი ბიჭისათვის გაუგებარი აბსტრაქტული ფიგურები და ფერები, ამიტომაც უწოდა მას ჯონმა - „დახვავებული უაზრობა“... იაპონელმა მხატვარმა ქალმა კი თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „კაცი, რომელსაც **მთელი ცხოვრება ვეძებდი**, გამოჩნდა!“

მცირე ხნის შემდეგ იოკოს სატელეფონო ზარები ლენონის ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა. ქალი მას გაუთავებლად ელაპარაკებოდა სოციალურ უსამართლობაზე, დროის სულისკვეთებაზე და საკუთარ პრობლემებზე, რაც ავანგარდისტული მხატვრობის დამკვიდრებას შეეხებოდა. ლენონს ეს არ აინტერესებდა და საერთოდ

მალე ბეზრდებოდა ყველანაირი მსჯელობანიც და ნებისმიერი მისტიურ-ირეალური მოძღვრებანიც, მაგრამ იოკო სულ სხვაგვარად ლაპარაკობდა, სატრფიალო სარეცელზე ხომ მას ბადალი არვინ ჰყავდა... ერთი სიტყვით, გადაირია ქალებისაგან თავმობეზრებული ეს ახალგაზრდა კაცი.

იოკო რაღაცით ჯონის ჭკუაგადამცდარ დედას, ჯულიას წააგავდა, რომელსაც სრულიად აუღელვებლად შეეძლო ქუჩაში კაცის შარვალი წამოეცვა თავზე და ისე ესეირნა. ლენონი ყოველთვის გრძნობდა საკუთარ თავში დედის „ავანგარდიზმს“ და იოკოშიც რაღაც ამის მსგავსი მოიძია. ერთხელ იგი ლივერპულის ცენტრალურ მოედანზე საცვლების ამარა გამოვიდა და დიდხანს ათვალიერებდა მაღაზიის ვიტრინებს. რომ ჰკითხეს - „რა დაგემართაო, ჯონ?“ - უპასუხა - „ჩემი წვლილი შემაქვსო კონტრკულტურაში“ - და ეს სწორედ რომ იოკო ონოს პიროვნებისადმი ხარკის მოხდა იყო და სხვა არაფერი.

ამიტომაც არ-ავის გაჰკვირვებია, როცა ლენონმა მიატოვა



ცოლ-შვილი (ჯულიანს მან „სიმთვრალეში ჩასახული უიღბლო ნაყოფი“ უწოდა) და თავისი კოლეგა-მეგობრების გადაბირებაც სცადა იაპონური კულტურის შესასწავლად, მაგრამ ცივ უარს რომ წააწყდა, თავი შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო.

დანარჩენი „ბიტლები“ ქალებს ძალზედ უტილიტარულად უდგებოდნენ და მათს ადგილს მხოლოდ ლოგინში და სამზარეულოში ხედავდნენ, ლენონმა კი თავისი გადარეული „გეიშა“ სცენაზე აიყვანა და მას მისცა იმის უფლება, რომ „ბიტლებისათვის“ სიმღერა ესწავლებინა (?!). იოკოს, რა თქმა უნდა, არაფერი გაეგებოდა მუსიკის, მაგრამ მაინც თვლიდა თავს ვალდებულად სცენაზე მდგარიყო და... გარკვეული დროის შემდეგ ამღერებაც კი დააპირა. მაკარტნი და ჰარისონი გიჟებს დაემსგავსნენ, რინგო გაცოფდა და ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ანსამბლის დღეები დათვლილი იყო...

* * *

ასე დაიწყო ონო-ლენონის ავანგარდისტული ეპოპეა, რასაც სკანდალური და ავანტიურისტული რომანი თუ შეედრება.

- ისინი მრავალთვიან **ლოგინის გაფიცვებს** აწყობდნენ და პირდაპირ სატრფიალო სარეცელიდან არიგებდნენ ინტერვიუებს...

- ისინი ფულს უგზავნიდნენ ირლანდიელ მემბოხეებს...

- ამერიკაში ანჯელა დევისის გათავისუფლებისათვის იბრძოდნენ...

- გრამფირფიტების გარეკანებისათვის შიშველ ფოტოებს იღებდნენ...

ცხოვრება თავბრუდამხვევად საინტერესო გახდა, შთაგონებამ კი **ზურგი აქცია** მათ... ყველა ამჩნევდა, რომ ლენონის სიმღერებს აღარ გააჩნდა ძველებური ნიჭიერება და მხოლოდ იოკოს გარითმული ხოტბა-დიდება იყო და სხვა არაფერი! მაგრამ ფანატიკოსებს ეს არ აღელვებდათ, მათ მუსიკისა არაფერი ესმოდათ და მხოლოდ ბრმა სიყვარულით კმაყოფილდებოდნენ ამ „შეყვარებული ბიტლის“ მიმართ და, თქვენ წარმოიდგინეთ, მარკ დევიდ ჩეპმენსაც გადაუარა წყენამ და ერთხელ თავისთვის წამოსცდა - „მგონი, მართლააო ის იესო ქრისტე“ (?!) - და ლენონის მიბაძვით თავადაც იაპონელ ქალზე იქორწინა...

ამბობენ, რომ მეგობრებმა ქორწილში სწორედ ის 45-კალიბრიანი კოლტი აჩუქესო ჩეპმენს...

ამასობაში კი ლენონს დიდი სულიერი ტრავმა დაატყდა, როცა იოკოს მუცელი მოსწყდა და იძულებული გახდა საავადმყოფოში გაეტარებინა მცირეოდენი ხანი. ლენონს მის გარეშე ერთი წუთიც არ შეეძლო ეცხოვრა და ამიტომაც თავადაც საავადმყოფოს მიაშურა, იოკო მოინახულა და მის ფეხებთან მიგდებულ პატარა ნოხზე ათევდა და ათენებდა ღამეებს.

* * *

სამოციანი წლების შუახანებში დასავლეთის სამყარო ვიეტნამის ომის პერიპეტიებმა მოიცვა და ონო-ლენონის წყვილსაც მიეცათ ახალი თემები „რევოლუციურ-ანარქიული თუ ფემინისტური“ მოწოდებებესათვის. ყველაზე საოცარი იყო ის, რომ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის ადმინისტრაცია ამ წყვილს შინაგან მტრად თვლიდა, რადგან მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ ყველას სჯეროდა, რომ ლენონი ახალ ანტისახელმწიფოებრივ ტურნეს წამოიწყებდა და ბევრი პოლიტიკოსის გეგმას ჩაფუშავდა. ასე რომ თავაშვებული მომღერლისა და მისი ავანგარდისტი ცოლის მიმართ აღიძრა საქმე, რაც საბოლოოდ მათს დეპორტაციას ისახავდა მიზნად.



აქამდე ისინი ცხოვრობდნენ ისე, როგორც ადამი და ევა - სამოთხეში: ბინაში აბსოლუტურად შიშვლები დადიოდნენ, მეგობრობდნენ მემარცხენე მწერლებთან და ხელმოცარულ მხატვრებთან, თხზავდნენ ამბოხის სულისკვეთებით განმსჭვალულ სიმღერებს და უცებ... დეპორტაციის საშიშროება დაემუქრათ!

მაგრამ იოკო რკინის ქალი იყო და აქაც გამოიჩინა შნო და მარიფათი: დაიწყო გაუთავებელი ვიზიტები ადვოკატებთან, კონსულტაციები სახელმწიფო ჩინოვნიკებთან საქველმოქმედო კონცერტების სერიალი, გაუთავებელი წვეულებები, სადაც ლენონი საკმაოდ თავდაჯერებულად და დარბაისლურად იქცეოდა, მაგრამ შინაგანად, რა თქმა უნდა, საოცარ დისკომფორტს გრძნობდა, რადგან ყველა მას „ბითლზის“ მემკვიდრედ მიიჩნევდნენ და მის ახალ შემოქმედებას ნაკლებად სწყალობდნენ...

ამიტომაც გაჰკიოდა ისტერიულად სახლში დაბრუნებული ჯონი - „ბითლზი“ მოკვდა... მოკვდა... მოკვდა!...“

მაგრამ ეს მხოლოდ ისტერიკა იყო, რადგან თავად ჯონიც მშვენივრად გრძნობდა, რომ მისი დიდება მხოლოდ **ლევერპულში შექმნილ ანსამბლთან** იყო დაკავშირებული... ამასობაში კი შედგა სასამართლო, რომელმაც იოკო ონოს დართო ნება ამერიკაში ცხზოვრებისა, ლენონს კი 30 დღის განმავლობაში უნდა დაეტოვებინა ეს ქვეყანა...

ჯონი მზად იყო საკუთარი ხელით დაეხრჩო ეს რკინისებრი იაპონელი ქალი და ეჭვობდა, რომ სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება, სწორედ მისი მცდელობის შედეგი იყო...

ასე გაჩნდა **პირველი ბზარი**!

განწესებული 30 დღიდან კი ერთ საღამოს ლენონმა პირდაპირ იოკოს თვალწინ ერთ დებილი ლამაზმანთან გააბა „სიამტკბილობა“ და, როგორც ახალგაზრდობაში სჩვეოდა, გვერდით ოთახშიც გაიყვანა...

ამას, რა თქმა უნდა, არავის აპატიებდა პატივმოყვარე იოკო ონი! მეორე დილით მან მშვიდად განუცხადა ჯონს - „შენგან დასვენება მსურსო“ - და არც იმისთვის გაუწევია წინააღმდეგობა, რომ ლენონი მის საკუთარ მდივან ქალ მეი პენგთან ერთად ჰოლივუდში გაფრენილიყო, სადაც პუბლიკას კვლავ ძველებურ ლენონად - მხიარულ, თამამ, ნიჭიერ კაცად მოევლინა.

მეი პენგი ბედნიერების ზღვაში ცურავდა, რადგან მას ისიც აკმაყოფილებდა, რომ ბედმა პირდაპირ ლენონის ლოგინში სტყორცნა...

ასე გავიდა ექვსიოდე თვე (ლენონს მაინც დართეს ნება აშშ-ში ცხოვრებისა), რომლის შემავსებელი მოვლენები ლოთობას, აყალმაყალს, თავაშვებულ სექსს და დაუსრულებელ წვეულებებს უკავშირდებოდა, რადგან ჰოლივუდის ვარსკვლავები დიდ პატივად თვლიდნენ ლენონთან გატარებულ მცირეოდენ ხანსაც კი. ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ ჯონმა კვლავ კარგი სიმღერების წერა დაიწყო და ძველებურად დიდ ჰონორარებსაც დაეპატრონა, მაგრამ **იოკოზე ფიქრი** მას მოსვენებას არ აძლევდა და შედგმაც არ დააყოვნა:

ერთხელ ნიუ-იორკში ყოფნისას ჯონი შემთხვევით გადაეყარა იოკოს , რომელიც საღამოს შავ გრძელ კაბაში იყო გამოწყობილი და ყელზე ობიოლი მარგალიტი ეკიდა... მათ უცებ იგრძნეს, რომ რაღაც **ანდამატი იზიდავდა ერთმანეთისკენ** და იმ დღის შემდეგ აღარც აღარასოდეს დაშორებიან ურთიერთს...

* * *

და მოხდა საოცრება: პრინციპულად თავგზააბნეული,



მეამბოხე იოკო სამაგალითო დიასახლისად იქცა, ჯონმაც თავი ანება ბოჰემურ ცხოვრებას და თითით საჩვენებელ მეოჯახედ, ქმრად და მამად იქცა იმ ბავშვისათვის, რომელიც მალე აჩუქა მას საყვარელმა ქალმა.

მათ ქონების შეძენაც დაიწყეს და მომავალსაც ანგარიშიანი თვალით უმზერდნენ. ერთხელ ჯონმა „პლეიბოის“ კორესპონდენტი სახლიდან გააგდო მხოლოდ იმის გამო, რომ ამ რეპორტიორმა მათ ძველი ცხოვრება შეახსენა და რაღაც ნიშნისმოგებით უმზერდა.

ასე შეცვალა მშვიდმა 70-იანმა წლებმა თავქარიანი 60-იანები, სადაც ლენონი და მისი მეგობრები XX საუკუნის ერთ-ერთ დიდებად მოევლინენ კაცობრიობას. ცხოვრება კალაპოტში მოექცა: ზამთარს ნიუ-იორკში ატარებდნენ, ზაფხულს სადმე ბაჰამის კუნძულებზე და ლენონი ახლა იმასღა აღიარებდა, რომ ამქვეყნად დაიბადა ერთადერთი მიზნით - **ჰყვარებოდა ცოლი** და აღეზარდა ამ სიყვარულის ნაყოფი!

იოკოც ბედნიერად გრძნობდა თავს, მაგრამ 70-იანების მიწურულს რაღაც შინაგანი შიში დაეუფლა, ნაირგვარ ქირომანტებთან და მარჩიელებთან დაიწყო სიარული, მისტიურ მოძღვრებებს ჩაუღრმავდა და აღმოსავლელ ნათელმხილველებთანაც შეუდგა ვიზიტებს, მაგრამ არცერთ მათგანს არ უხსენებია შიშით შეპყრობილი ქალისთვის **მარკ დევიდ ჩეპმენის** სახელი...

* * *

მარკ დევიდ ჩეპმენი იმხანად უმუშევარი იყო, მას იაპონელი ცოლი სამადლოდ ინახავდა და ექიმებმა შიზოფრენიის დიაგნოზიც კი დაუსვეს...

1980 წლის დეკემბრის პირველ დღეებში ჩეპმენმა ჟურნალ „ესკვაირში“ წაიკითხა სტატია ლენონის შესახებ, სადაც ავტორი წერდა, რომ „ბითლზის“ ლეგენდარული ხელმძღვანელი ახლა რიგით ბიზნესმენად იქცა, რომელსაც მხოლოდ საგადასახადო პრობლემებიღა აწუხებსო“.

„ღმერთი მოკვდა!“ - უთქვამს ჩეპმენს და ასე გათენებულა 8 დეკემბრის დილა.

ადრიანი დილით სახლიდან გამოსულ ლენონს ბევრი პრობლემის მოგვარება სურდა; მას არ მიუქცევია ყურადღება კაცისათვის, რომელიც ჯიქურ გამოემართა მისკენ...

კაცმა დაუძახა ლენონს, უბიდან ხელი ამოიღო და ლეგენდარულმა მომღერალმა მხოლოდ იმის გაფიქრება მოასწრო, რომ ამ კაცს არ იცნობდა...

გაისმა სროლის ხმა, ჯონ ლენონი უსულოდ დაეცა მიწაზე, მის გონებას კი ერთი კითხვა შერჩა - „ნეტავ რას მერჩოდაო ეს კაცი?!“

# საკროსვორდო ენციკლოპედია

**გარშემო** - რისამე ირგვლივ.
**გარშინი** ვსევოლოდ - XIX საუკუნის რუსი მწერალი.
**გარჩევა** - ლიტერატურის სახელმძღვანელოს სასკოლო-ჟარგონული სახელი.
**გარჯა** - მუყაითობა, შრომა.
**გარჯილა** - მთა ჭიათურა-ამბროლაურის რაიონების საზღვარზე.
**გასავალი** - 1) ხარჯი. 2) მოთხოვნილება.
**გასამრჯელო** - შრომის ფასი.
**გასაპვნა** - რთული ეთერის ჰიდროლიზი, რომლის დროსაც წარმოიქმნება სპირტი და მჟავა.
**გასაღები** - მუსიკაში: სანოტო დგანის დასაწყისში დასმული ნიშანი.
**გასაჭირი** - მძიმე, ძნელი მდგომარეობა.
**გასახდელი** - ტანსაცმლის გამოსაცვლელი ოთახი.
**გასახლება** - სასჯელის სახესხვაობა.
**გასენდი** პიერ - XVII საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი.
**გასკარი** (ფურნიე) პიერ - XX საუკუნის ფრანგი მწერალი.
**გასკელი** ელიზაბეთ გლეგორნ - XIX საუკუნის ინგლისელი მწერალი ქალი.
**გასკონადა** - ფრანგულ ლიტერატურაში: ტრაბახის, ბაქიობის აღმნიშვნელი სიტყვა.
**გასკონი** - მდინარე ავსტრალიაში, ერთვის ინდოეთის ოკეანეს.
**გასკონი** - ისტორიული ოლქი სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში.
**გასმანი** ვიტორიო - იტალიელი კინომსახიობი და რეჟისორი.
**გასპარიანი** გოჰარ - XX საუკუნის სომეხი საოპერო მომღერალი.
**გასპერონი** ერმენეჯილდო - XX საუკუნის სან-მარინოს კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე.
**გასპრა** - დაბა ყირიმის ნახ.კუნძულზე (უკრაინა).
**გასტელო** ნიკოლოზ - მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, სსრკ გმირი.
**გასტელო** - დაბა სახალინის ოლქში (რუსეთი).
**გასტერომიცეტები** - იგივე გუდაფშუკოვანი სოკოები.
**გასტრალგია** - ძლიერი ტკივილი კუჭის არეში.
**გასტრინი** - ჰორმონი, რომელსაც გამოიმუშავებს კუჭის ლორწოვანი გარსი.
**გასტრიტი** - კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება.
**გასტრო...** - რთული სიტყვების შემადგენელი ნაწილი, მიუთითებს კუჭთან მიმართებაზე.
**გასტროენტერიტი** - კუჭისა და წვრილი ნაწლავის ანთებითი დაავადება.
**გასტროენტეროლოგია** - მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის საჭმლის მომნელებელი სისტემის აგებულებას.
**გასტროლი** - სხვა ქალაქიდან ჩამოსული მსახიობების გამოსვლა.
**გასტროლიორი** - საგასტროლოდ ჩამოსული მსახიობი.
**გასტრონომი** - 1) გემრიელი საჭმელების მცოდნე და მოყვარული. 2) საბჭოურ სინამდვილეში არსებული მაღაზიის სახესხვაობა.
**გასტრონომია** - საკვები პროდუქტები, უპირატესად საუზმეული.
**გასტროპადები** - მოლუსკების კლასი - მუცელფეხა ლოკოკინები.
**გასტროპტოზი** - კუჭის დაწევა, რასაც იწვევს ძლიერ გახდომა.
**გასტროსკოპია** - კუჭის ღრუს გასინჯვა სპეციალური ხელსაწყოს საშუალებით.
**გასტროსტომია** - ქირურგიული ოპერაცია, რომლის მიზანია ხელოვნური გზის შექმნა საჭმლის შესაყვანად.
**გასტრულა** - მრავალუჯრედოვანი ცხოველური ორგანიზმის ჩანასახის განვითარების ერთ-ერთი სტადია.
**გასტრულაცია** - მრავალუჯრედოვანი ცხოველური ორგანიზმის განვითარების ადრეულ საფეხურზე მიმდინარე პროცესი, რომლის შედეგია ორ და სამფურცლოვანი ჩანასახის წარმოქმნა.
**გასული** - გათავებული, დამთავრებული.
**გასწვრივ** - რისამე გაყოლებით.
**გატები** (გჰატები) აღმოსავლეთისა და დასავლეთისა - რამდენიმე საშუალო სიმაღლისა და დაბალმთიანი მასივების ჯგუფის საერთო სახელი (ინდოეთი).
**გატინი** - მაღლობი საფრანგეთში.
**გატრი** ტირონ - ინგლისელი თეატრალური რეჟისორი.
**გატჩინა** - ქალაქი რუსეთში (ს.-პეტერბ. ოლქი)
**გაუდა** - ქალაქი ნიდერლანდში (სამხრეთ ჰოლანდიის პროვინცია).
**გაუდაპადა** - V ს ინდოელი ფილოსოფოსი.
**გაუდი** გაუდი ი კორნეტი - XIX-XX სს ესპანელი არქიტექტორი.
**გაუდეამუსი** - ძველებური სტუდენტური სიმღერა ლათინურ ენაზე.
**გაუდსმიტი** სემიუელ აბრაჰამ - XX ს აშშ ფიზიკოსი.
**გაუია** - მდინარე ლატვიაში.
**გაუკი** ალექსანდრე - XX საუკუნის რუსი დირიჟორი.
**გაულეიტერი** - ნსდაპ-ს უმაღლესი პარტიული წოდება ფაშისტურ გერმანიაში.
**გაუმართავი** - მოუწესრიგებელი, მოუმზადებელი.
**გაუმატა** - ჩვ.წ.აღ.-მდე მიდიელი ქურუმი, ილაშქრებდა სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ.
**გაუმაძღარი** - ხარბი, მსუნაგი.
**გაურდაქი** - დაბა თურქმენეთის ჩარჯოუს ოლქში.
**გაური** - გარეული ძროხა, ბინადრობს ინდოჩინეთისა და ინდონეზიის მთიან მასივებში.
**გაურიზანკარი** (გაურიშანკარი) - ჰიმალაის მწვერვალი.
**გაუსი** კარლ ფრიდრიხ - XIX საუკუნის გერმანელი მათემატიკოსი.
**გაუსი** - მაგნიტური ინდუქციის ერთეული.
**გაუტამა** - ბუდას ერთ-ერთი სახელი განდეგილობისას.
**გაუჩა** - მღვიმე წალენჯიხის რ, ეგრისის ქედის სამხრეთ განშტოებაზე.
**გაუჩო** - 1) პამპაში მცხოვრები მწყემსი, კოვბოი. 2) ესპანელის და ინდიელის შთამომავალი. 3) ფართოფარფლიანი ჩალის ქუდი.
**გაუწყინარი** - სოფელი აბაშის რ
**გაუჰატი** - იხილე გუვაჰატი.
**გაფელი** - ანძის ზედა ნაწილზე დამაგრებული სპეციალური რეა.
**გაფიცვა** - ორგანიზებული, მასობრივი შეწყვეტა მუშაობისა.
**გაფიჯილი** - მწვერვალი ზანგეზურის ქედზე (აზერბ.)
**გაფრინდაული** ზეზვა - კახეთის 1659 წ აჯანყების გმირი.
**გაფრინდაშვილი** ვალერიან - XX საუკუნის ქართველი პოეტი.
**გაფრინდაშვილი** ნონა - მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ჭადრაკში.
**გაფსა** - ქალაქი ტუნისში.
**გაქნილი** - გაწაფული, გამოცდილი.
**გაღმამხარი** - ისტ. მხარე ქართლში და კახეთში.
**გაყოფა** - არითმეტიკული მოქმედება.
**გაყრა** - გიორგი ერისთავის კომედია.
**გაშეტი** - ხელის ცეცხლსასროლ იარაღში ჩახმახის ფეხი.
**გაშუნ-ნერი** - ტბა ჩინეთში.
**გაშფერდი** - სოფელი ხობის რ
**გაჩეჩცილაძე** დავით - XX საუკუნის პოეტი.
**გაჩიანი** - ისტორიული მხარე ქვემო ქართლში.
**გაჩიანი** - რკინიგზის სადგური თბილის-რუსთავის უბანზე.
**გაჩსარანი** - ნავთობსამრეწველო პუნქტი ბოიერაჰმედისა და ქოჰგილუეის ოსტანში (ირანი).
**გაცილებით** - ბევრად უფრო, გადამეტებით.
**გაწერელია** აკაკი - XX საუკუნის ლიტერატურათმცოდნე.
**გაჭედილი** - სოფელი მარტვილის რ
**გახომელა** - სოფელი ეგრისის რ
**გაჯერო** ანდრეა - XX საუკუნის იტალიელი საზ. მოღვაწე.
**გაჯი** - თაბაშირის და თიხის შემცველი ქვიშებრი ქანი, გამოიყენება როგორც გასალესი მასალა.
**გაჯრა** - (სამხ.-სპორტ.) მწყობრში მდგომთა დაშორება ერთმანეთისაგან.
**გბაია** (ბაია, მანჟა, ნგბაკა) - კამერუნში მცხოვრები ხალხი.
**გბუში** (კუბიში) - მდინარე სოხუმის რ
**გდანსკი** - ქალაქი პოლონეთში.
**გდინია** - ქალაქი-პორტი პოლონეთში (გდანსკის სავოევოდო).
**გდოვი** - ქალაქი რუსეთის ფსკოვის ოლქში.
**გდრ** - ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემოკლებული სახელი.
**გდუ** - სოფელი ახალგორის რ
**გდულეთი** - სოფელი ახალგორის რ
**გე** ნიკოლოზ - XIX საუკუნის რუსი ფერმწერი.
**გეა** - ბერძნ. მითოლ. მიწისა და მიწისქვეშეთის ქალღმერთი.
**გებაუერი** იან - XIX-XX სს ჩეხი ენათმეცნიერი.
**გებელსი** იოზეფ პაულ - ფაშიტური გერმანიის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწე.
**გეგა** - მდინარე გუდაუთის რ
**გეგელია** ლილი - ქართული ესტრადის პოპულარული მომღერალი.
**გეგელიძეები** - სოფელი ქედის რ
**გეგეშიძე** გურამ - XX საუკუნის მწერალი.
**გეგეჭკორი** გივი - პოეტი.
**გეგეჭკორი** გიორგი - მსახიობი.
**გეგეჭკორი** - დაბა მარტვილის ყოფილი სახელი.
**გეგი** - კინოფილმში ჩართული კომიკური ტრიუკი.
**გეგმა** - 1) ნახაზი, რომელიც სიბრტყეზე გამოსახავს რაიმე ადგილს ან ნაგებობას. 2) წინასწარ შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემა.
**გეგმაზომიერი** - გეგმის შესაბამისი, მოწესრიგებული.
**გეგმენი** - კინემატოგრაფიული ტრიუკის გამომგონებელი.
**გეგუთი** - სოფელი წყალტუბოსთან.
**გედაგდალი** - სოფელი დმანისის რ
**გედაქლარი** - სოფელი წალკის რ
**გედევანიშვილი** ივანე - XVIII-XIX სს საეკლესიო მოღვაწე.
**გედელე** - ქალაქი უნგრეთში (პეშტის მედიე).
**გედეონ** გენათელი - გელათის ეპისკოპოსი (XVII ს).
**გედი** - წყლის დიდი ყელმოღერებული ფრინველი.
**გედი** - ცის ჩრდილოეთი ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი.
**გედი** ჟიულ - XIX-XX სს ფრანგი სოციალისტი.
**გედიზი** - მდინარე თურქეთში, ერთვის ეგეოსის ზღვას.
**გედიკე** ალექსანდრე - XX საუკუნის რუსი კომპოზიტორი.
**გედისტები** - ფრანგი სოციალისტის ჟიულ გედის მიმდევრები.
**გედროსია** - ძვ. სპარსეთის იმპერიის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე.
**გედსამანია** - სოფელი ხარაგაულის რ
**გეეზი** - აწ მკვდარი სემიტური ენა, გავრცელებული იყო ჩრდ. აფრიკაში.
**გეენა** - ჯოჯოხეთი, ჯოჯოხეთის ცეცხლი.
**გევარა** გევარა დე ლა სერნა ერნესტო (ჩე) - კუბის რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.
**გეზად** - ირიბად, ალმაცერად.
**გეზათი** - სოფელი აბაშის რ
**გეზე** - მთა კავკასიონზე (4009 მ).
**გეზევრეთი** - სოფელი ახალგორის რ
**გეზევცეკი** - სოფელი მწვერვალი ონის რ
**გეზელი** - მამალი მონადირე ფრინველი.
**გეზელქორი** - მამალი ქორი.
**გეზი** - მიმართულება, კურსი.
**გეზირა** - იგივე *ელჯაზირა*, ტერიტორია სუდანში.
**გეზრულა** - მდინარე ჭიათურა-ზესტაფონის რაიონებში.
**გეზრული** - სოფელი ჭიათურასთან.
**გეთაყვა** (გეთაყვანე) - საალერსო მიმართვა.
**გეი** ჯონ - XVIII საუკუნის ინგლისელი პოეტი და დრამატურგი.
**გეიერსტამი** გუსტავ - XIX-XX სს შვედი მწერალი.
**გეიზელი** ერნესტუ - XX საუკუნის ბრაზილიელი პოლიტ. მოღვაწე.
**გეიზერი** -ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო.
**გეიზერიტი** - გეიზერების მკვრივი ან ფხვიერი ნალვენთი დანალექი, ტუფის მსგავსი.
**გეილინქსი** არნოლდ - XVII საუკუნის ჰოლანდიელი ფილოსოფოსი.
**გეი-ლუსაკი** ჟოზეფ ლუი - XIX საუკუნის ფრანგი ფიზიკოსი და ქიმიკოსი.

# საკროსვორდო ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა სამი ტურის შემდეგ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ფურცელაძე ელეონორა | 30 | 29 | 30 | **89** |
| 2. | კუსრაძე ლიანა | 30 | 30 | 28 | **88** |
| 3. | გელოვანი გია | 28 | 29 | 26 | **83** |
| 4. | ურუშაძე ნინო | 24 | 30 | 26 | **80** |
| 5. | გორგაძე ნელი | 26 | 27 | 21 | **74** |
| 6. | ბაღდავაძე ნია | 24 | 25 | 22 | **71** |
| 7. | ჩხეიძე ნანა | 24 | 25 | 19 | **68** |
| 8. | მჭედლიძე ნინო | 21 | 24 | 19 | **64** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ნიშნიანიძე გია | 33 | 28 | 30 | **91** |
| 2. | გაბრიელიძე იური | 29 | 30 | 27 | **86** |
| 3. | აქუბარდია ლილე | 26 | 30 | 29 | **85** |
| 4. | ურუშაძე ქეთინო | 27 | 25 | 29 | **81** |
| 5. | გაბუნია თიკო | 26 | 27 | 27 | **80** |
| 6. | გორდაძე გვანცა | 27 | 28 | 24 | **79** |
| 7. | ლოლომაძე მერაბი | 26 | 27 | 21 | **74** |
| 8. | თალაკვაძე პაატა | 25 | 22 | 23 | **70** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ხაჩირაშვილი მარინე | 30 | 27 | 30 | **87** |
| 2. | ყუბანეიშვილი მაია | 30 | 30 | 25 | **85** |
| 3. | სესიტაშვილი ზურა | 26 | 27 | 30 | **83** |
| 4. | ჩილინდრიშვილი დავითი | 26 | 29 | 27 | **82** |
| 5. | საღრიშვილი დიანა | 28 | 22 | 30 | **80** |
| 6. | ჩეკურიშვილი ზაზა | 29 | 25 | 23 | **77** |
| 7. | როინიშვილი შალვა | 25 | 24 | 26 | **75** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | გასიტაშვილი ტარიელი | 29 | 30 | 29 | **88** |
| 2. | ალიმბარაშვილი ალეკო | 28 | 29 | 29 | **86** |
| 3. | ბუბაშვილი ლელა | 26 | 29 | 28 | **83** |
| 4. | მამულაშვილი კობა | 28 | 26 | 26 | **80** |
| 5. | პაპუაშვილი ვაჟა | 26 | 27 | 25 | **78** |
| 6. | ბოხაშვილი ჯაბუ | 25 | 26 | 25 | **76** |
| 7. | ბუქლულაშვილი მანანა | 22 | 28 | 24 | **74** |
| 8. | პავლიაშვილი ცირა | 19 | 20 | 19 | **58** |

## პირველი ლიგა ოთხი ტურის შემდეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | დანდლიშვილი ნიკოლოზი | **30** | 30 | 29 | **30** | **60** |
| 2. | კვირიკაშვილი ვენერა | 22 | **30** | - | **28** | **58** |
| 3. | ბოჭორიშვილი იზოლდა | 28 | **29** | 28 | **29** | **58** |
| 4. | გიგანი ქეთევანი | 22 | **28** | - | **29** | **57** |
| 5. | მათეშვილი კაკო | - | 26 | **27** | **30** | **57** |
| 6. | ჭილიტაშვილი დათო | 13 | 25 | **25** | **30** | **55** |
| 7. | ზადიშვილი ანა | 25 | 22 | **27** | **27** | **54** |
| 8. | მაისურაძე დავითი | 20 | **27** | 10 | **27** | **54** |
| 9. | ჯუგაშვილი ალექსი | 19 | **28** | - | **24** | **52** |
| 10. | კობიძე თამრიკო | - | **27** | 19 | **25** | **52** |
| 11. | ვეშაგურიძე ირაკლი | 18 | **29** | 16 | **21** | **50** |
| 12. | ჯავახაძე ირმა | 19 | **26** | **-** | **24** | **54** |
| 13. | მემარნიშვილი ზურაბი | 16 | **28** | **20** | - | **48** |
| 14. | რობიტაშვილი თამაზი | 14 | **20** | 18 | **27** | **47** |
| 15. | თოდაძე ქეთევანი | - | **26** | - | **20** | **46** |
| 16. | ნანავა ვახტანგი | 20 | **23** | 20 | **23** | **46** |
| 17. | გრძელიშვილი ლაშა | 11 | **26** | - | **18** | **44** |
| 18. | ასპანიძე შალვა | **20** | **24** | 15 | 19 | **44** |
| 19. | ფრიდონაშვილი სოფიკო | 20 | **24** | 15 | **20** | **44** |
| 20. | კაპანაძე გივი | **21** | **23** | 20 | 19 | **44** |
| 21. | რურუა თამაზი | 16 | **24** | **19** | 17 | **43** |
| 22. | ჯახველიძე ლია | **-** | 14 | **15** | **25** | **40** |
| 23. | ლეკიაშვილი ლექსო | **14** | **25** | 8 | - | **39** |
| 24. | ცხოვრებაძე რომანი | **20** | - | - | **19** | **39** |
| 25. | სარიშვილი ზურა | 15 | **19** | 15 | **20** | **39** |
| 26. | ქვარიანი მანანა | 12 | **17** | 12 | **15** | **32** |
| 27. | ტუსკაძე მამუკა | 5 | **12** | 4 | **10** | **22** |
| 28. | ცეცხლაძე ავთანდილი | **10** | - | 7 | **14** | **24** |
| 29. | ცქვიტარია თემური | **11** | - | 8 | **8** | **19** |
| 30. | მიშველიძე პაატა | 8 | 7 | **10** | **9** | **19** |

### ამავე ნომრის საკროსვორდო რეიტინგის პასუხები (მე-3 გვ.)

1. მაისური. 2. პარადიგმა. 3. ბიურო. 4. კლმ. 5. ქორდა. 6. ვერტერი. 7. მძარცველი. 8. მარადიული. 9. გოდერძი. 10. მარკოზი. 11. ესკადრა. 12. მანდატური. 13. იბმ. 14. ურმია. 15. აბაკა. 16. ბრავო. 17. ბროლი. 18. ყბაჩა. 19. ქმარი. 20. გზები. 21. ოლე. 22. კამარილია. 23. აფსუა. 24. სტრატეგია. 25. ტაო. 26. ბლეფი. 27. მჩატე. 28. იოგურტი. 29. ციური. 30. არსიანი. 31. სამოა. 32. თუთია. 33. ჩადრი. 34. მტერი. 35. ბიგლი. 36. პირუეტი. 37. არტილერია. 38. გნუ. 39. ვიქტორინა. 40. ალბიონი.

# გასული ნომრის პასუხები

**მე-4-5 გვერდი**

თარაზულად: 1. სამუმი. 4. მაჟორდომი. 8. კარნიზი. 14. დანგლარი. 15. პართენონი. 16. ოფელია. 19. სკანდინავია. 20. ჯუდი გარლანდი. 23. თეორემა. 24. მალიბრანი. 25. ჩიტა. 29. ბელიზი. 30. ფლორიდა. 31. აზავერი. 35. ვენა. 36. გოლდფინგერი. 37. ალუმინი. 41. ბოზბაში. 42. დებრეცენი. 43. პრუსტი. 47. ტიფოზი. 48. ფანტომი. 49. კორიანტელი. 52. ტრუბადური. 53. ბერკეტი. 54. ვიცე. 58. ლამა. 59. შტილი. 60. ჭვავი. 61. ბრაკი. 66. ორურო. 67. ონდატრა. 68. სტანდარტი. 73. ტენისონი. 74. ლილიპუტია. 75. ბიბლია. 78. რესტორანი. 79. გერმანი. 80. ინტი. 84. ბერეტა. 85. რექტორატი. 86. ინდაური. 90. რომი. 91. ოდეტა. 92. პოზნანი. 93. ბერდია. 97. ანთეოსი. 98. კინტო. 99. კარპოვი. 104. ჰაინეკენი. 105. კრატერი. 106. კივი. 110. ტროცკი. 111. არანხუესი. 112. ლიბერია. 116. ნატურმორტი. 117. რევიზია. 118. მოსიძე. 121. ელია. 122. ჩიჩვირი. 123. ბუკინისტი. 127. ტრავოლტა. 128. ფაცაცია. 129. ტაბაკოვი. 130. მისია. 131. მორავია. 132. სანელებელი.

შვეულად: 1. სოდა. 2. მონიკა. 3. მელანთევზა. 5. ოვაცია. 6. დათო. 7. მანჯურია. 9. ნეფილე. 10. ზელანდია. 11. არბიტრი. 12. ანტიფრიზი. 13. კაციჭამია. 17. მარმელადი. 18. კარნავალი. 21. ტამბოვი. 22. გარდიგარდმო. 26. შლენდორფი. 27. არქიტექტურა. 28. გრემ გრინი. 32. პორშე. 33. გრაცი. 34. ანესთეზია. 38. აბეზარა. 39. ანტოშკა. 40. ჩიტირეკია. 44. სტიმული. 45. მანდოლინა. 46. ვიქტორინა. 50. აბატი. 51. პეშვი. 55. ამირანი. 56. გვარდია. 57. ოკეანია. 62. პროსპექტი. 63. მარიონეტი. 64. ატრიუმი. 65. სტალინგრადი. 69. სტრასბური. 70. ანეტო. 71. კუბერტენი. 72. გადია. 76. ტრიესტი. 77. ონანა. 81. კრემონა. 82. არქონტი. 83. სანეევი. 87. ედისონი. 88. ანდანტე. 89. იაპონია. 94. ბეტანკური. 95. დიუნანი. 96. ეპარქია. 100. კონტინგენტი. 101. სკურატოვი. 102. პროსტიტუცია. 103. დივიზია. 107. პორტსიგარი. 108. მურეი. 109. ჰეროსტრატე. 113. ფორინტი. 114. ჯიზია. 115. ჰეპატიტი. 119. არმადა. 120. ვივაჩე. 124. პონი. 125. ტაში. 126. ბოვე.

**საკროსვორდო ჩემპიონატის გასული ტურის პასუხები.**

**მე-10-11 გვერდები**

**უმაღლესი ლიგა.**

1. ოდნავ. 2. დიზენტერია. 3. აცეტონიტრალი. 4. კეთილშობილი. 5. ირაო. 6. **შვარცი**. 7. **ბოკონბაევი 8. ლინა**. 9. ედეპე. 10. გვარდია. 11. ნიკოლაე. 12. დაზვერვა. 13. გაზალკენტი. 14. იფსვიჩი. 15. პანტოგრაფია. 16. სცენა. 17. ალკუინი. 18. პავლიაშვილი. 19. **ბერიკიშვილი**. 20. **მანანა** (მაისურაძე). 21. **ამბრაზურა**. 22. **ბიარმია**. 23. **მაიორი** („ნატვრის ხიდან“). 24. **რჩეულიშვილი**. 25. **ხვიჩა** („მამელუქი“, იგივე მაჰმუდი). 26. **სესიტაშვილი** (...ბატონი ზურა - ფოტოზე). 27. ალოვი. 28. **სნურე** (სნიპ-სნაპ-სნურე). 29. **ლაყე**. 30. **სტრუქტურალიზმი**. 31. **ცვეთა**. 32. **ადივარი**. 33. ზიტა. 34. ტჩევი. 35. მინდოგი. 36. ადამი. 37. ანტუანი. 38. **რაუნდი**. 39. ათენი. 40. გვალვა. 41. პროთეზი. 42. ციოლკოვსკი. 43. **სტუმარი**. 44. **კურიერი**. 45. კატარღა. 46. ხორვატია. 47. ევერესტი. 48. აბრუ. 49. **მთხოვნელი**. 50. ხვალ. 51. ემილიო. 52. ადვაძე. 53. **ასლამაზოვი**. 54. კონდორი. 55. ანკა. 56. **ჩიტი** (ანდაზა - „ჩიტი ბრდღვნად არ ღირს“). **57. ღაზელი.** 58. **სტანისლავსკი**. 59. **ჩიკოპიტატა**. 60. იზელინი.

**პირველი ლიგა.**

_თარაზულად:_ 1. **ალონჟი**. 4. ჰერმაფროდიტი. 11. ჰომეროსი. 12. **ბლასტომერი**. 14. **კლასიკური**. 15. ადრიანო. 19. ლოთი. 20. **აგოგიკა**. 21. **პიურია**. 24. შოუ. 25. აკორდეონი. 29. **ავალიშვილი**. 30. **აკარიგუა**. 32. ისოკრატე. 33. ალატი. 34. ჯამი. 37. ატენი. 38. ქრომი. 39. კოლაუ. 44. ჰუნე. 45. ეპოსი. 46. მაგისტრი. 49. სპორა. 50. **ადენინი**. 54. მაკულატურა. 55. სტენდალი. 57. **ზვიო**. 58. სკაფანდრი. 59. ფიგუ. 60. **აფაზია**. 61. მატიე. 62. ბუნინი.

_შვეულად:_ 1. **აბპა**. 2. ოსმალეთი. 3. ქორესი. 5. **მილი**. 6. ფასადი. 7. ოპოზიციონერი. 8. იქედნური. 9. ილია. 10. ასიკაგა. 13. ტრაგიკული 16. პლანტაცია. 17. **აკერი**. 18. **სალივაცია**. 22. **პოზიტრონი**. 23. ბერკეტი. 26. ლაფონტენი. 27. ხვატი. 28. **აგიაპანტი**. 31. **კლიმი**. 35. კროსი. 36. **კოფიანანი**. 40. აჰურამაზდა. 41. **აპორეტიკა**. 42. მაგნიტური. 43. რიტორიკული. 47. **შპილი**. 48. ადა. 51. ოკრიბა. 52. გრაფია. 53. მარიხი. 56. ანუი.

**ფოტოები**: 1. „არმაგედონი“. 2. „დავიწყებული მელოდია ფლეიტისათვის“. 3. „შეყვარებული შექსპირი“. 4. „პასპორტი“. 5. „ინგლისელი პაციენტი“

**საპრემიო კროსვორდი. მე-18 გვერდი**: 1. გრამატიკოპულო. 2. არქეოპტერიქსი. 3. ბრერა. 4. ფიშტო. 5. კლოსი.

**საბავშვო კროსვორდი. მე-15 გვერდი.**

_თარაზულად:_ 1. სამიანი. 5. სპორტი. 10. ასეთი. 11. კვადრატი. 13. პალტო. 14. კვესი. 15. კუ. 18. რე. 19. მასწავლებელი. 21. სიგანე. 23. ბაიანი. 26. ორი. 27. დევი. 28. ანტენა. 31. ია. 32. კრულვა. 33. კრივი. 34. არიცია. 35. ნათია.

_შვულად_: 2. ათეული. 3. ირინოლა. 4. ნიკა. 6. პარასკევი. 7. რეტი. 8. კასპერი. 9. დახვავება. 12. გურია. 16. მწვერვალი. 17. მეცნიერი. 20. ჩიჩია. 22. ანდერძი. 24. გოგიტა. 25. ბაღი. 29. ნაკლი. 30. ჯაფა.

**მე-17 გვერდი**

_თარაზულად:_ 1. ზვამბაია. 5. ეგზარქოსი. 12. იაროსლავლი. 13. აბორდაჟი. 15. ევოლუცია. 16. ადანი. 17. კობე. 20. იდიომატური. 22. არარატი. 25. ბალი. 27. სკილაჩი. 28. გმინვა. 30. ანონსი. 32. რასპუტინი. 33. ცა. 35. ფსთა. 36. ვივიენ. 38. მიუსერა. 39. მილიონერი. 41. როლსი. 42. ტყე. 44. ხე. 45. ნაბახუსევი. 46. გალერეა. 48. ლაზი. 49. ასპირინი. 50. ოლიფა.

_შვეულად._ 1. ზვიგენი. 2. აპრიორი. 3. ბასტურმა. 4. ირანისტიკა. 6. გე. 7. ანბანური. 8. ქორო. 9. სტაროსტინი. 10. ოლე. 11. გინეა. 14. ცდა. 18. ურალმაში. 19. კრიმანჭული. 21. დიაგნოსტიკა. 23. ოჩოპინტრე. 24. შარადა. 26. იუნგა. 29. ეტიმოლოგია. 31. იუვენტუსი. 34. ვესტერნი. 37. ვერდერი. 40. ილაჯი. 43. ეკალა. 44. ხილი. 45. ნეა. 47. ლეო.

**მე-3 გვერდი**



**მე-20 გვერდი**



**მე-6 გვერდი**



**მე-8 გვერდი**



**მე-12 გვერდი**



**ბატონი ნუკრი მაისურაძის მითითებით!**

2001 წლის ნობელის პრემიის ლაურეატები

**1. მშვიდობის დარგი**

– გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და კოფი ანანი.

**2. ლიტერატურა**

- ვ.ს.ნაიპოლი (ტრინიდადი)

**3. ეკონომიკა**

- ჯორჯ ა. აკერლოფი, ა. მაიკლ სპენცი და ჯოზეფ დ. სტიგლიცი (სამივე აშშ).

**4. ქიმია**

- უილიამ ს. ნოულესი (აშშ)
- რიოჯი ნოიორი (იაპონია).
- კ. ბერი შარპლესი (აშშ)

**5. ფიზიკა**

- ერიკ ე. კორნელი (აშშ)
- ვოლფგანგ კეტერლი (გერმანია)
- კარლ ე. ვიმენი (აშშ).

**6. ფსიქოლოგია და მედიცინა**

– ლელანდ ჰ. ჰარტველი (აშშ)
- რ. ტიმოთი ჰანტი (დიდი ბრტანეთი)
- პოლ მ. ნიურსი (დიდი ბრიტანეთი)

**პირველი გვერდი**



**მე-20 გვერდი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 6 | მ | 1 | ღ | 30 |
| ბ | 24 | ნ | 9 | ყ | 8 |
| გ | 29 | ო | 14 | შ | 27 |
| დ | 10 | პ | 15 | ჩ | 28 |
| ე | 4 | ჟ | 31 | ც | 23 |
| ვ | 19 | რ | 7 | ძ | 32 |
| ზ | 22 | ს | 5 | წ | 17 |
| თ | 18 | ტ | 20 | ჭ | 2 |
| ი | 11 | უ | 13 | ხ | 26 |
| კ | 16 | ფ | 25 | ჯ | 33 |
| ლ | 3 | ქ | 21 | ჰ | 12 |

**მე-9 გვერდი**



ი/ს **„ფანტაზია-2000“** (ნატალია ბერიკიშვილი)
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს
რაიონულ სასამართლოს მიერ № 5/1-2304
ტელ.: **79-53-70, (8-77) 45-19-80**
e-mail: sashiko45@hotmail.com
**ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების** რედაქტორობით

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 15 | 3 | 14 | 6 | 13 | | 8 | 15 | 23 | 24 | 15 | |
| 15 | | 14 | | 24 | | 23 | | 8 | | 15 | | 28 |
| 5 | 25 | 23 | 12 | 15 | 4 | 17 | 13 | 7 | 13 | 21 | 5 | 13 |
| 31 | | 18 | | 23 | | 31 | | 25 | | 13 | | 27 |
| 5 | 31 | 33 | 14 | 27 | 13 | | 32 | 5 | 15 | | | 25 |
| 23 | | 13 | | 31 | | 11 | | 13 | | 15 | | 23 |
| 2 | | | 15 | 11 | 13 | 3 | 15 | | 15 | 12 | 23 | 13 |
| 25 | | 28 | | 13 | | 15 | | 8 | | 31 | | 15 |
| 24 | 13 | 23 | 13 | | 20 | 17 | 14 | 5 | 15 | 23 | 13 | |
| 25 | | 31 | | 15 | | 13 | | 15 | | 29 | | 2 |
| 7 | 15 | 11 | 25 | 17 | 13 | | 1 | 23 | 22 | 25 | 4 | 13 |
| 13 | | 25 | | 25 | | 13 | | 13 | | 31 | | 17 |
| | 15 | 20 | 15 | 20 | 13 | 4 | 13 | | 15 | 4 | 27 | 13 |
| 30 | | 13 | | 17 | | 10 | | 31 | | 13 | | 23 |
| 15 | 5 | 31 | 23 | 15 | 7 | 13 | 21 | 5 | 13 | | | 25 |
| 29 | | 4 | | 27 | | 15 | | 1 | | 9 | | 12 |
| 13 | 17 | 15 | 7 | 13 | 15 | | 19 | 15 | 19 | 15 | 7 | 13 |
| 15 | | 7 | | 15 | | 16 | | 7 | | 10 | | 15 |
| | 1 | 13 | 15 | | 33 | 15 | 26 | 31 | 5 | 13 | 15 | |

| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ | თ | ი | კ | ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 21 | 18 | | | |

| მ | ნ | ო | პ | ჟ | რ | ს | ტ | უ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 23 | | | | | |

| ღ | ყ | შ | ჩ | ც | ძ | წ | ჭ | ხ | ჯ | ჰ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | | | | | | 33 | | |

# სკანდინავიური იაპონური იტალიური

კროსვორდები და ნახატები

ფანტაზია

ბარში კლიენტი შედის და ხედავს, რომ იქაურობა მთლად ცარიელი.

- სად არის ხალხი?! - კითხულობს გაოცებული სტუმარი.

- ყავისფერქალალდა პიტერის ჩამოსახრჩობად წავიდნენ...

- ოჰო?!... კი მაგრამ, რა ნიშნავს ეს უცნაური სახელი?

- იცით რაშია საქმე... პიტერს ყავისფერი ქალალდის შარვალი აცვია, პერანგიც ყავისფერი ქაღალდის აქვს და, თქვენ წარმოიდგინეთ, შლაპაც კი!

- მერე-და რატომ უნდა ჩამოახრჩონ?!

- კაცო, ტვინი შეგვიჭამა შარიშურით და აბა, რა ვქნათ?!

* * *

დედა ეკითხება ქალიშვილს:

- ვინაა შენი ახალი მეგობარი? წესიერი თუა?

- რა თქმა უნდა, დედიკო! - ის არ სვამს, არ ეწევა, ჰყავს ცოლი და სამი მშვენიერი ბავშვი.

* * *

- რატომ არ ატარებენ ჩინელები კონტაქტურ ლინზებს?

- თვალების ფართოდ ახელა არ შეუძლიათ.

* * *

**В аптеку заходит красивая девушка в норковой шубе. Фармацевт спрашивает:**

**- Вы что-то хотели?**

**В ответ девушка распахивает шубу (под которой другой одежды вообще нет!) и говорит:**

**- Понимаете, я уже месяц не видела мужчины...**

**- Понимаю, понимаю, вот, возьмите эти глазные капли...**

* * *

**- Что-то перестарался я, - думал холодильник, глядя на падающий за окном снег...**




45

25

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 43 | 44 | 45 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | 1 | | | | | 1 | 2 | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | |
| | | | | | | | | 2 | 4 | 1 | | 5 | | 4 | 6 | | | | | 1 | 6 | | | 7 | 1 | 3 | | | | | 6 | 4 | | 5 | | 1 | 4 | 2 | | | | | | | |
| | | | | 4 | | | 2 | 2 | 1 | 7 | 10 | 9 | 5 | 2 | 8 | 6 | 3 | | | 3 | 1 | | 1 | 1 | 6 | 3 | | | 3 | 6 | 8 | 2 | 5 | 9 | 10 | 7 | 1 | 2 | 2 | | | 4 | | | |
| | 5 | 6 | 4 | 4 | 10 | 10 | 6 | 1 | 7 | 6 | 3 | 3 | 10 | 11 | 3 | 6 | 4 | 4 | 4 | 2 | 5 | 1 | 2 | 1 | 5 | 2 | | 5 | 5 | 7 | 3 | 11 | 10 | 3 | 3 | 6 | 7 | 1 | 6 | 10 | 10 | 4 | 4 | 6 | 5 |
| | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 2 | 2 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 2 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1 | 1 | 3 | 1 |
| | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | | | | 6 | 1 | 2 | 6 |
| | | | 1 | 6 | 1 | 1 | 1 | 6 | 1 |
| | | | 6 | 2 | 1 | 1 | 3 | 2 | 6 |
| | | | | 8 | 1 | 1 | 1 | 1 | 8 |
| | | | 4 | 5 | 3 | 1 | 1 | 5 | 4 |
| | | 3 | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 1 | 3 |
| | | 4 | 6 | 2 | 2 | 2 | 2 | 6 | 4 |
| | | | | 5 | 6 | 1 | 1 | 6 | 5 |
| | | | | | | | 16 | 1 | 16 |
| | | | 2 | 5 | 7 | 1 | 7 | 5 | 2 |
| 2 | 3 | 2 | 7 | 1 | 1 | 7 | 2 | 3 | 2 |
| | 1 | 4 | 2 | 7 | 3 | 7 | 2 | 4 | 1 |
| | | | | 4 | 2 | 8 | 7 | 2 | 4 |
| | | | 4 | 2 | 5 | 3 | 8 | 2 | 4 |
| | | | | 7 | 3 | 1 | 3 | 4 | 7 |
| | | | | 3 | 5 | 2 | 1 | 5 | 3 |
| | | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 |
| | | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 |
| | | | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 2 |
| | | | | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | | 12 | 2 | 2 | 7 | 2 | 2 | 12 |

*დაბოლოს, ერთი თხოვნა გვაქვს - ჩვენი პირველი საცდელი ნომრის გაცნობის შემდეგ გთხოვთ, მიხვიდეთ თქვენს მეგობრებთან და მოყვრებთან, დაივიწყოთ ყველა წყენა და გაჭირვება და მოეფეროთ მათ!*







გამომცემლობა „ლიტერამ“ წელს დაიწყო მოსწავლე-
ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი სამეცნიერო-პოპულარული,
ისტორიული და ლიტერატურული კლასიკური ძეგლების გამოცემა,
რომლებიც აღჭურვილია შ ესაბამისი ლექსიკონით, განმარტებებით
და აუცილებელი მინიშნებებით.
თქვენ საშუალება გეძლევათ ქართულ ენაზეც გაეცნოთ
უნიკალური თხზულებების ადაპტირებულ ვარიანტებს






**თანამედროვე ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველებს ვაცნობებთ, რომ გამომცემლობა „საარმა“ დასტამბა სერია „უბის წიგნები“, სადაც ერთ ბლოკში შეკრულია შემდეგი ავტორების თხზულებები:**




**ნუგზარ შატაიძე**




**რევაზ ინანიშვილი**




**გურამ დოჩანაშვილი**




**დათო მაღრაძე**




**ვაჟა გიგაშვილი**




**ბაადურ ბალარჯიშვილი**